ISSN 1987-5002

# კვირის პალიტრა

აღმოაჩინე ყოველი კვირა

პალიტრა მედია
WWW.KVIRISPALITRA.GE

№4 (1435) ◆ 24 - 30 იანვარი, 2022 წ. ◆ ფასი 2 ლარი

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად

საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი
სამიათასწლოვანი ისტორია
დონალდ რეიფილდი



სპეციალური ფასი: 13.50₾
გაზეთთან ერთად: 15.50₾

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

## იმედისმომცემი ა(მ)ბები

**„უკვე გავაფორმეთ პრეპარატ „პაქსლოვიდის“ შეკვეთა – თუ დალევთ, 89%-ით დაცული ხართ მდგომარეობის დამძიმებისგან“**

ივანე ჩხაიძე:
„დარწმუნებული ვართ, პიკზე ინფიცირების 12-15 ათასი შემთხვევა გვექნება, შეიძლება 25-30 ათასამდეც გაიზარდოს. სავარაუდო პიკური პერიოდია იანვრის ბოლო-თებერვლის დასაწყისი. შემდეგ უკვე ძალიან სწრაფი კლება დაიწყება“

**„ფაიზერმა“ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ მისი წარმოებული ვაქცინა ეფექტიანობას ინარჩუნებს ფლაკონზე მითითებული ვადის გასვლიდან კიდევ სამი თვის განმავლობაში“**



გვ.31



## „მიშას დაბრუნება ივანიშვილზე მეტად ნიკანორ მელიას არ უნდოდა“

**სკანდალური ინტერვიუ მაია ორჯონიკიძესთან, რომელმაც პროტესტის ნიშნად „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა**

გვ.6,7

## მდიდარი ღარიბი და ღარიბი მდიდარი

**რას ურჩევს ფსიქოლოგი მათ, ვისაც წარმატების მიღწევა სურთ**



გვ.9

სუპერკუპონი!
ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!
დაზოგე 25 ლარი

და მიიღე საოცნებო ფასდაკლება „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიებში!
ააწყვე წიგნის 4 ნაწილად დაშლილი ყდა




...ლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის!

## დაიწყება თუ არა დიდი ომი?!



**როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება**

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ვინმეს სურს საქართველომ რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნას, ეს მისი პრობლემაა, რადგან რომც მოვინდომოთ, ვერ გავხსნით. ვილაცე-ბს კი უნდათ ომი, მაგრამ...“

გვ.27

## ოსმალეთის მზეთუნახავი ქართული ფესვებით



გვ.14

**ჩა ხდება – გაიგე სხვაგან... ჩატომ ხდება – წაიკითხე აქ!**

# „რუსეთმა, ფაქტობრივად, გვითხრა, კიდევ უფრო უნდა გაისუსოთო“

**უკრაინასთან დაკავშირებით ვითარება კვლავ უკიდურესად რთულია. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა ოკუპირებულ ყირიმში და უკრაინის საზღვრის მახლობლად დაახლოებით 127 ათასამდე ჯარისკაცს მოუყარა თავი, რაც მსოფლიოს აშფოთებს. არ გამორიცხავენ, მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო იერიშისთვის ემზადებოდეს. მოსკოვი უარყოფს, რომ უკრაინაში შეჭრას აპირებს, თუმცა ბოლოდროინდელი პროცესები სხვაგვარ სურათს ქმნის. 21 იანვარს აშშ-ისა და რუსეთის საგარეოპოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებმა ჟენევაში მორიგი შეხვედრა გამართეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა შეხვედრაზე სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწიეს, თუმცა მათივე განცხადებით, მოლაპარაკებები მხარეებს ხელს უწყობს ერთმანეთის პოზიციების გაგებაში. საათნახევრიანი შეხვედრის მიზანი იყო ევროპაში ომის თავიდან აცილება მაშინ, როცა მოსკოვი ნატოსგან ითხოვს გარანტიას, რომ ის საკუთარ რიგებში არ მიიღებს უკრაინასა და საქართველოს. როგორც მოლაპარაკების შემდეგ ორივე დიპლომატმა განაცხადა, შეხვედრა გულღია იყო და გაჩნდა იმედი, რომ უკრაინის კრიზისში არსებობს დიპლომატიის გამოყენების შანსი.**



**ამის პარალელურად უკრაინის თავდაცვის გასაძლიერებლად სამხედრო დახმარება გაიგზავნა აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის ზოგიერთი ქვეყნიდან, ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს პარტნიორები ხმელთაშუა ზღვაში 12-დღიან საზღვაო წვრთნას ჩაატარებენ, რომელიც 24 იანვარს დაიწყება და 4 თებერვლამდე გაგრძელდება.**

**ბლინკენ-ლავროვის შეხვედრის შეფასებით დავიწყეთ ინტერვიუ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძესთან:**

— იმ პროცესებში, რაც დღეს ხდება, რთულია რამე პოზიტიურის დანახვა, მაგრამ, როგორც წესი, მედალს ორი მხარე აქვს. დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ შექმნილი ვითარება, გარკვეულწილად, დასავლეთის ელიტის თვალის ახელის ინსპირატორად იქცა. ეს შეიძლება მთელ დასავლეთს არ ეხება, მაგრამ ნაწილს ნამდვილად მოუნია იმ რეალობის აღიარებამ, რომელსაც რუსეთი 2008 წლიდან ქმნის. ისინი ამაზე თვალს ველარ დახუჭავენ და მოუწევთ, შეიმუშაონ რუსეთის შეკავების სტრატეგია.

**მე ამ ნაწილს თვალახელილ დასავლეთს ვუწოდებ, რომლის მთავარ სახედ და ლიდერად ჩანს სწორედ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი, რომელმაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში რაციონალურობითა და რუსეთის მიმართ სიმკაცრით დაგვამახსოვრა თავი:**

ის ადეკვატურ სახელს არქმევს 2008 წლიდან დღემდე რუსეთის მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს და ძალიან მკაცრია სანქციებზე ლაპარაკისასაც. ის იმ ძლიერი ამერიკის სახეა, რომელიც მშვენლად და დამცველად ეგულებოდა ბევრ ქვეყანას მსოფლიოში.

ამ ფონზე 21 იანვრის შეხვედრა ცოტა უფრო მშვიდი იყო. აშკარაა, რომ დასავლეთი ცდილობს, კრიზისიდან გამოსასვლელად დიპლომატიური გზები მოძებნოს. არსებითი შედეგი ამ შეხვედრას არ მოჰყოლია, მაგრამ როგორც მონაწილეებმაც აღნიშნეს, ამას არც ელოდნენ. ერთადერთი სიახლე იყო განცხადებები, რომ აშშ რუსეთს წერილობით გააცნობს თავის პოზიციებს.

აქ ერთი მომენტია საინტერესო: როგორც ამერიკულ, ისე რუსულ წყაროებზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმდნენ, რომ აშშ-ის წერილობით პოზიცია არ გახმაურდება, რაც დასავლურ მედიაში ეჭვის საფუძველი გახდა. ეს არის მომენტი, რომელიც დაგვაფიქრებს, რა არის ამ დოკუმენტის გასაიდუმლოების საფუძველი და სიფრთხილისკენ გვიბიძგებს.

**— ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის კონგრესში უკვე დარეგისტრირდა რუსეთისთვის სანქციების დაწესების თაობაზე მომზადებული კანონპროექტი.**

— ეს 55-გვერდიანი დოკუმენტია და შეეხება არა მხოლოდ უკრაინას, არამედ ნატოს აღმოსავლეთევროპელ წევრებსაც. მისი მიზანია, შემუშავდეს ნაბიჯები და სტრატეგია რუსეთის აგრესიის, მათ შორის — არაკონვენციური, ე.წ. პროქსიძალების შესაკავებლად. ამაში იგულისხმება ის გასამხედროებული დაჯგუფებები, რომლებიც თითქოს ოფიციალურად რუსეთის იურისდიქციის ქვეშ არ არიან, მაგრამ, ფაქტობრივად, კრემლიდან იმართებიან. როგორც წესი, ეს დაჯგუფებები იქმნება ამა თუ იმ ქვეყანაში რუსული აგენტურის და პრორუსულად განწყობილი ადამიანების ბაზაზე, ან ამაში უშუალოდ რუსული სპეცრაზმი მონაწილეობს, ოღონდ ისე, რომ მათ მოქმედებაში რუსული კვალი მაქსიმალურად არის დაფარული.

ალარაფერს ვამბობ იმ მასირებულ ჰიბრიდულ ომზე, რომელსაც რუსეთი აწარმოებს დასავლეთის წინააღმდეგ და რომლის მძიმე შედეგებსაც ახლა ყველა ერთად ვიმკით

თავის დროზე რუსეთი ცივ ომში დამარცხდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი ენერგორესურსების გაყიდვის წყალობით სამხედრო თვალსაზრისით წელში გაიმართა, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ამ ქვეყანამ დასავლეთზე სერიოზული ჰიბრიდული შეტევა დაიწყო. მართალია, ამ მასირებულ ჰიბრიდულ ომში რუსეთი მთლად გამარჯვებული ვერ არის, მაგრამ ამ ეტაპზე აშკარად აღწევს წარმატებას.

> „ლაპარაკია ორი ტიპის სანქციაზე: აშშ-ში ქონების დაბლოკვასა და ვიზების არმიცემაზე ან მოქმედი ვიზების გაუქმებაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორებია, მაგრამ გადაწონის ეს პუტინის სურვილს, აღადგინოს საბჭოთა კავშირი? რა გითხრათ“

> **უკრაინასთან დაკავშირებულმა კრიზისმა აჩვენა, როგორ არის გაყოფილი პოზიციები დასავლეთში და როგორ მოახერხა რუსულმა ფულმა, რომელიც ამ ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილია, ეყიდა დასავლეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი და გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე**



უკრაინასთან დაკავშირებულმა კრიზისმა აჩვენა, როგორ არის გაყოფილი პოზიციები დასავლეთში და როგორ მოახერხა რუსულმა ფულმა, რომელიც ამ ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილია, ეყიდა დასავლეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი და გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე, რაზეც უკვე დასავლეთშიც ლაპარაკობენ. ამ ორიოდე დღის წინ საქართველოში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი და როცა წამოიჭრა საკითხი, რა უნდა გაკეთდეს რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, უპირველეს ნაბიჯად რუსული ფულის შეკავება დასახელდა, რაც დამანგრევლად მოქმედებს დასავლეთზე და მას ბაბილონის გოდოლად აქცევს, სადაც სულ უფრო რთულდება საერთო პოზიციების შემუშავება.

მეტიც, ნატოს ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდებიან. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ესპანეთმა გადაწყვიტა თავისი სამხედრო გემების შავ ზღვაში შეყვანა, რასაც მოჰყვა ზოგიერთი საპარლამენტო პარტიის უკმაყოფილება, რომელთა ნაწილი დაუფარავად გამოხატავს რუსეთის მიმართ სიმპათიას. და ამ მხრივ ესპანეთი გამონაკლისი არ არის. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ შეიძლება ამის უკან რუსეთი იდგეს.

მეორე ფაქტორი, რის გამოც დასავლეთმა ყურადღება მოადუნა, არის საბაზრო ეკონომიკა, რომლითაც ის რუსეთის მოზმას იმედოვნებდა, დასავლეთში მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკური ჩართულობა და სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობები განაპირობებდა რუსეთში იმგვარი ელიტის ჩამოყალიბებას, რომელიც დასავლური დემოკრატიული საზოგადოების ნაწილად უფრო იგრძნობდა თავს და შეაკავებდა რუსეთის სვლას ავტორიტარიზმისა და იმპერიული ტენდენციებისკენ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და დასავლეთის ეს მიდგომა რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტად კი არ იქცა, პირიქით, რუსეთმა, გაეხსნა რა დასავლეთში სავაჭრო-ეკონომიკური სივრცე, თვითონ მიიბა იქაური ბიზნესის ინტერესები და დღეს ძალიან მსხვილი ევროპული ბიზნესის ნაწილი რუსეთისთვის სანქციების დაწესების წინააღმდეგია.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ გერმანიის ძალიან ახლომხედველი პოლიტიკა, რომელიც დაიწყო შრედერის დროს და გაგრძელდა მერკელის მმართველობისას, როდესაც ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის წინაშე აიღო ატომური რეაქტორების დახურვის ვალდებულება, რომლის შესრულება დღევანდელ ხელისუფლებას უწევს და რის შედეგადაც გერმანია უფრო მეტად გახდება დამოკიდებული რუსულ გაზზე.

**— ისევ სანქციების თემას რომ დავუბრუნდეთ, კონგრესში წარდგენილი დოკუმენტი მასშტაბურ შეზღუდვებს ითვალისწინებს, მაგრამ იქნება ეს ქმედითი?**

— ეს საინტერესო დოკუმენტია, მასში პირდაპირ გვარ-სახელებით არიან მოხსენიებული რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლები, პუტინით დაწყებული, ამ ჩინოსანთა ოჯახის წევრებით დამთავრებული. იქ ლაპარაკია, რომ უნდა გამოიკვლიონ მათი ქონება, ყველა ანგარიში და შემდგომ ეს ყველაფერი გამოქვეყნდეს. ასევე სანქციების ჩამონათვალში ხვდებიან ბანკები, გაზის, ნავთობის, ქვანახშირის, ანუ ენერგორესურსებისა და მინერალების მომპოვებელი კომპანიები. ეს შეეხება „ჩრდილოეთ ნაკად 2“-ის პროექტთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებსაც.

ლაპარაკია ორი ტიპის სანქციაზე: აშშ-ში ქონების დაბლოკვასა და ვიზების არმიცემაზე ან მოქმედი ვიზების გაუქმებაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორებია, მაგრამ გადაწონის ეს პუტინის სურვილს, აღადგინოს საბჭოთა კავშირი? რა გითხრათ — მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დოკუმენტში რუსეთის აგრესიად მიიჩნევა არა მხოლოდ რუსეთის სამხედრო დანაყოფების ჩატარებული ოპერაციები, არამედ ის პარამილიტარისტული პროქსიჯგუფებიც. რამდენიმე დღის წინ დიდი რეზონანსი გამოიწვია პრეზიდენტ ბაიდენის ფრაზამ უკრაინაში რუსეთის მცირე და დიდი შეჭრის თაობაზე — სანქციებს დასავლეთი მხოლოდ ფართომასშტაბიანი შეჭრის შემთხვევაში გამოიყენებსო, თუმცა ამას შემდგომ მოჰყვა თეთრი სახლის განმარტება, რომ სანქციებს გამოიწვევს რუსეთის ნებისმიერი სახის შეჭრა უკრაინაში, ხოლო მცირე შეჭრაში იგულისხმებოდა ე.წ. პროქსიჯგუფების მოქმედება და კიბერთავდასხმები. ეს განმარტებაც ნიშნავდა, რომ თუ დონეცკსა და ლუგანსკში მოქმედი რუსეთის მიერ მომზადებული გასამხედროებული პროქსიჯგუფები გადავლენ შეტევაზე, ეს სანქციების საფუძველი არ გახდება, განსახილველი კანონპრო[illegible] რუსეთს პასუხისმგებლობას აკისრებს დონბასსა და ლუგანსკში მოქმედ გასამხედროებულ დაჯგუფებებზეც, ანუ რუსეთს შეზღუდვები მათი მოქმედების გამოც დაუწესდება, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა, თუკი ეს კანონპროექტი ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა. დოკუმენტში ასევე ლაპარაკია უკრაინისთვის ყველა ტიპის სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე, რათა უკრაინამ შეძლოს როგორც ხმელეთიდან და ზღვიდან, ასევე ჰაერიდან განხორციელებული შეტევების მოგერიება. ასევე საუბარია უკრაინისთვის დახმარების ალმოჩენაზე კიბერშეტევებისა და საინფორმაციო დივერსიების საწინააღმდეგოდ.

ამ კანონპროექტში არანაკლებ საინტერესოა ბალტიისა და ნატოს წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არაერთგზის ხსენება და მათი დახმარების გაზრდის აუცილებლობაც, რაც ნიშნავს, რომ აშშ-ის აზრით, რუსეთის სამიზნე არა მხოლოდ უკრაინა, არამედ ნატოს ის წევრი ქვეყნებიც შეიძლება გახდნენ, რომლებიც ყოფილ საბჭოთა სივრცეს წარმოადგენენ. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთმა გამოფხიზლება დაიწყო. ბლინკენმაც ხომ თქვა, თუ უკრაინა დავთმეთ, ამას პანდორას ყუთის ეფექტი ექნებაო. რუსეთიც მოლოდინს ამართლებს : ლავროვ-ბლინკენის 21 იანვრის შეხვედრაზე რუსეთმა ბულგარეთიდან და რუმინეთიდანაც მოითხოვა ნატოს შეიარაღებისა და ჯარების გაყვანა. ასე რომ, რუსეთს მადა ნამდვილად ჭამაში მოსდის.

**ისმის კითხვა: რისი იმედი აქვს პუტინს, რომელიც იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომლის ეკონომიკაც ურთულეს მდგომარეობაშია? სამწუხაროდ, მას აქვს სწორედ იმ უპირატესობის იმედი, რომელიც მან დასავლეთთან ჰიბრიდულ ომში მოიპოვა: ევროპის ქვეყნებში საზოგადოების რყევა, ინსტიტუციების მიმართ ნდობის დაკარგვა, ნიჰილიზმის დამკვიდრება და ა.შ. მოკლედ, ის ყველაფერი, რასაც საქართველოში ვხედავთ.**

დასავლეთში არაერთი კვლევითი ცენტრი იკვლევს რუსეთის მოქმედებას. ვითარება ასეთია: იცი, ვინც გებრძვის, მაგრამ ეფექტიანი კონტრსტრატეგია არ გაქვს. დასავლეთში ჯერ ვერ მოიფიქრეს, როგორ შეაკავონ რუსული ფული და რუსული გავლენა საინფორმაციო ველსა და პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ელიტაზე, სამწუხაროდ, შექმნილი ვითარება ამას აჩვენებს...

> „აუცილებლად უნდა ვახსენოთ გერმანიის ძალიან ახლომხედველი პოლიტიკა, რომელიც დაიწყო შრედერის დროს და გაგრძელდა მერკელის მმართველობისას“

**— ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება კვლავ ე.წ. რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას ატარებს და უკრაინასთან დაკავშირებით სიჩუმეს ამჯობინებს, არადა თითქმის ყველა ეხვდებით, რომ თუ რუსეთმა უკრაინაში თავისი გაიტანა, მისი შემდეგი ლუკმა საქართველო იქნება. ამავდროულად, ხელისუფლების წარმომადგენლები ნატოში ინტეგრაციაზე ლაპარაკობენ და გარანტიებსაც ახსენებენ.**

— თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რუსეთისთვის ეს სიჩუმე სულაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ ორიოდე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე, რომლის პასუხადაც მუქარანარევი გაფრთხილება მოვისმინეთ — იმედია, საქართველო გაითვალისწინებს არსებულ გამოცდილებას და უფრო დაბალანსებული იქნება რუსეთთანო.. რუსეთმა, ფაქტობრივად, გვითხრა, რაღაც თქვენი სიჩუმე არ მომწონს და კიდევ უფრო უნდა გაისუსოთო... ზოგადად, რუსული პოლიტიკის სტილია, რომ ის ერთი დათმობით არასდროს კმაყოფილდება. თუ რამე დაუთმე, მეტს და მეტს იოხოვს და მარწუხებში მანამდე მოგაქცევს, ვიდრე თავის სურვილს ბოლომდე არ აასრულებს.

არადა, ამ ხელისუფლებამ მეტი რაღა უნდა გააკეთოს, რაც ორიოდე დღის წინ პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილმა გააკეთა, როდესაც ევროპარლამენტარები, ფაქტობრივად, ქვეყანაში არ შემოუშვა. ევროპარლამენტარებისთვის კარის მიხურვა საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი ხელწერის — დასავლეთის მიმართ შეურაცხმყოფელი რიტორიკის ლოგიკური გაგრძელებაა.

ამავე დროს, ხელისუფლებისგან ვისმენთ განცხადებებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ამერიკის ხმასთან ინტერვიუში განაცხადა, გვაქვს გარანტიები, რომ ივნისში, ნატოს მადრიდის სამიტზე, ძალიან მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება საქართველოს ნატოში შემდგომი ინტეგრაციის თვალსაზრისითო — ასეთი ტექსტი ამ ხელისუფლების პირობებში, მეტიც, 2008 წლის შემდეგ, არ მომისმენია. თავისთავად ეს ფრაზა იმედის მომცემია, მაგრამ მეორე მხრივ, მოვისმინეთ აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება, უკრაინის ნატოში გაწევრება ახლო პერსპექტივის საქმე არ არისო. და თუ არ გაწევრდება უკრაინა, საინტერესოა, რა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ? მით უფრო, თუ უკრაინაში ომი დაიწყო

**მოკლედ, საქართველოსთვის ამ თვალსაზრისით მიცემული გარანტიები ჩემთვის ძალიან ბუნდოვანია. ამერიკელები ამბობენ, რუსეთის სავარაუდო ნაბიჯების საპასუხოდ 18 კონტრსცენარი გვაქვს შემუშავებულიო და შესაძლოა, ესეც ერთ-ერთი სცენარის ნაწილი იყოს...**

ჩვენ კი ვამბობთ, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას ეწევა, მაგრამ მოდი, პირდაპირ ვთქვათ: რუსეთის მიმართ ამგვარი პოლიტიკა ჩვენზე ადრე, ობამას ხელისუფლების დროიდან მოყოლებული, დასავლეთმა დაიწყო.

**რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა სწორედ ის არის, რაც ობამას პრეზიდენტობის შემდეგ ამერიკასა და ევროპაში ხდება, რასაც გადატვირთვის პოლიტიკა დაარქვეს და რამაც არ გაამართლა.**

სწორედ ამ პოლიტიკამ განაპირობა დასავლეთის წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომში რუსეთის უპირატესობა, რამაც არა მხოლოდ დასავლეთის, როგორც ერთი ნების მქონე სივრცის პარალიზება გამოიწვია და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობა გააღრმავა, არამედ უშუალოდ ამ ქვეყნებში ისეთი პრობლემები შექმნა, რომელთა გადასაჭრელად უდიდესი ძალისხმევის დახარჯვა უწევთ.

*ნათია დოლიძე*

## კვირიდან კვირამდე

### ლავროვისა და ბლინკენის შეხვედრა ჟენევაში

21 იანვარს, ჟენევაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საათნახევრიანი შეხვედრა გამართეს, რომლის მიზანი იყო ევროპაში ომის თავიდან აცილება.

„არ მოველოდით, რომ დღეს რაღაც სერიოზული გარღვევა მოხდებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა უფრო მკაფიო გზას ვადგავართ ერთმანეთის პოზიციების გასაგებად“, — განაცხადა ბლინკენმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ლავროვმა იმედი გამოთქვა, რომ ამ მოლაპარაკებების შემდეგ „ემოციები იკლებს“. უკრაინის საზღვართან სამხედრო ძალების თავმოყრასთან ერთად მოსკოვი დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიებს მოითხოვს. მისი მთავარი მოთხოვნაა წერილობითი გარანტია, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, უპირველესად კი — უკრაინა და საქართველო, არ გახდებიან ნატოს წევრები.

მოსკოვი აღშფოთებულია სამხედრო დახმარებით, რომელსაც დასავლეთი უკრაინას უწევს. ლავროვის განცხადებით, შეხვედრაზე ბლინკენმა პირობა დადო, რომ მომავალ კვირაში წერილობით წარმოადგენს პასუხს უკრაინისა და ნატოს შესახებ რუსეთის მოთხოვნებზე.

ბლინკენმა დაადასტურა, რომ აშშ წერილობით უპასუხებს რუსეთის მოთხოვნებს და იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის დელეგაციები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს მას შემდეგ, რაც მოსკოვი ვაშინგტონის პასუხს შეისწავლის.

### ზალკალიანი ბრიუსელში

ნატოსა და აშშ-თან რუსეთის დაძაბული მოლაპარაკების პარალელურად, 17-18 იანვარს, ბრიუსელში შეხვედრები გამართა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა. მისი და ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის შეხ-



ვედრის შემდეგ დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ ნატოს წითელი ხაზები გადის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ჩვენს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

„კიდევ ერთხელ მივიღე გარანტია, რომ ღია კარის პოლიტიკა იქნება მადრიდის სამიტის (29-30 ივნისი) დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. ასევე მივიღე რწმუნება იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დავრჩეთ იმ დღის წესრიგში, რომელიც იყო ინტეგრაციის გზაზე და ამაში გვაქვს ჩვენი ნატოელი პარტნიორების სრული მხარდაჭერა“, — განაცხადა მან.

ბრიუსელში პოლონეთის მისიის ინიციატივით შედგა დავით ზალკალიანის შეხვედრა ნატოს ელჩებთანაც. ალიანსის ქვეყნების მუდმივმა წარმომადგენლებმა საქართველოს მიაწოდეს ინფორმაცია რუსეთის ულტიმატუმზე ნატოს პასუხებთან დაკავშირებით და იმის შესახებაც, რომ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება არ იცვლება.

„ჩვენი ნატოელი პარტნიორები მყარად რჩებიან იმ პოზიციაზე, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებები არ გადაიხედება“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

### რატომ არ შედგა ევროპარლამენტარების ვიზიტი საქართველოში?

საქართველოში 21-22 იანვარს დაგეგმილი ევროპარლამენტარების ვიზიტი გაუქმდა. „როგორც ჟან მონეს დიალოგის თანაფასილიტატორები, ვწუხვართ, რომ 21-22 იანვარს დაგეგმილი ვიზიტი თბილისში არ გაიმართება, რადგან პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ვერ გამონახა დრო, რომ მოლაპარაკებებში ჩაერთოს“, — ვკითხულობთ ევროპარლამენტის წევრების, ვიოლა ფონ კრამონის, მირიამ ლექსმანისა და მარინა კალიურანდის განცხადებაში. პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტმა სიტუაცია განმარტა. „აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ ჟან მონეს დიალოგის ინიცირებასთან დაკავშირებით ევროპარლამენტის პრეზიდენტთან კომუნიკაციის დაწყების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ახალი თავმჯდომარე და ევროპარლამენტის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. დიალოგის პროცესში თავმჯდომარეების პირადი როლისა და ჩართულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დიალოგის დაწყების მომზადებამდე შედგეს შეხვედრა ახლად არჩეულ თავმჯდომარეებს შორის და მოხდეს შეთანხმება დიალოგის წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოსამზადებელი ვიზიტის დაგეგმვა სწორედ ამის შემდეგ იქნება ლოგიკური და მიზანშეწონილი“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

### სააკაშვილის საქმეზე დაკავებულები გაათავისუფლეს

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში უკანონოდ შემოსვლის საქმეში ბრალდებულები: გიორგი ნარიმანიძე, ელგუჯა ცომაია, ზურაბ და შალვა წოწორიები 5000-5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ. ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, გიორგი კურატიშვილმა, მიიღო. მათ გირაოს გადახდის ვადად ერთი თვე განესაზღ-



ვრათ. როგორც დაცვის მხარემ განმარტა, იმის გამო, რომ ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს, ასევე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უდავოდ ცნეს, დაკავებულებს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა გირაოთი უნდა შესცვლოდათ.

შეგახსენებთ, ბრალდებულებს: გიორგი ნარიმანიძეს, ელგუჯა ცომაიას, შალვა და ზურაბ წოწორიებს მძიმე დანაშაულის დაფარვას ედავებიან. რაც შეეხება ელგუჯა ცომაიას, მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დახმარებისთვის.

### ახალაია ციხეს დატოვებს

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებას 1-ლ მარტს დატოვებს. 9-წლიანი სასჯელის ვადა მას გასული წლის 6 ნოემბერს ამოეწურა, თუმცა, როგორც მისი მეუღლე და ადვოკატი ანი ნადარეიშვილი განმარტავს, მსჯავრდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის პერიოდი არ ჩაუთვალეს და 9-წლიანი სასჯელის ათვლა განაჩენიდან დაიწყეს. როგორი იქნება საპატიმროს დატოვების შემდეგ თავდაცვის ყოფილი მინისტრის გეგმა და დაბრუნდება თუ არა ის პოლიტიკაში, ჯერჯერობით უცნობია.



თვალსაზრისი

# „სინდისდამძიმებული ადამიანი ვერასოდეს იქნება თავისუფალი“

***თ**ემის თემაზე მისი ნაწარმოებები ერთ-ერთი გამორჩეულია თანამედროვე მწერლობაში. პრემია „საბას“ ლაურეატის ნაწარმოებებში ისეთივე სასტიკი და პირდაპირია ცხოვრება, როგორიც სინამდვილეში. გელა ჩქვანავა სოხუმელია, მას ომში მონაწილეობამ სრულიად ახალგაზრდას მოუწია და სხვებივით მასაც წარუშლელი კვალი დაამჩნია.*

**— ჩვენს ქვეყანას თითქმის არასდროს ჰქონია მშვიდი და დალხენილი ცხოვრება, არც ახლა გვაქვს. როგორ ფიქრობთ, სად ვართ ახლა ან საით მივდივართ?..**

— მშვიდი ცხოვრება ერს ადუნებს. კაცობრიობა ჯერ იმდენად არ დალვინებულა, რომ მოცალეობის ჟამს თვითგანვითარებას მიჰყოს ხელი. ზედმეტი რომ არაფერი ვარგა, ეს სწორედ მშვიდ ცხოვრებას შეეხება — თანამედროვე ეპოქაში გამრყვნელადაც კი მოქმედებს. გადაილალა ქართველი მტრებთან ბრძოლაში, გამუდმებული დაძაბული ყოფით, იმდენად გადაილალა, რომ არაადეკვატური გახდა.

ჩვენ რუსებივით ბელადომან ერად ჩამოვყალიბდით. თავს ვიტყუებთ, რომ ის ერთი, მხსნელი ლიდერი მოაგვარებს ქვეყნის საქმეებს, იქნება შეუმცდარი და სამართლიანი. საბოლოოდ კი ნახევრად შეშლილი, პროვინციული აზროვნების ინდივიდი შეგვრჩება ხელთ. მერე საკუთარი თავის გვრცხვენია, ამას როგორ ვანდეთ სახელმწიფოს მართვაო.

ამჟამადაც მეტად საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ — ორი ბელადით. ერთპიროვნული მმართველობით გაამპარტავნებული ეს ჩვენი „მესიები“ ცოცხალი თავით არ თმობენ ძალაუფლებას და გვიწევს რევოლუციების (დადგმულის თუ ნამდვილის) და არეულობის მოწყობა. ჩაკეტილ, მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ. სამშობლოს ერთგული მმართველი, ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი აუცილებლად მიხვდებოდა, რომ იდეამ, რაგინდ კარგი და დროულიც უნდა იყოს, მოძველება იცის, იმდენად, რომ შემაფერხებელ ფაქტორადაც იქცევა. ერის განვითარებისთვის უკვე სხვა ორიენტირებია საჭირო. ნებისმიერ ქველმოქმედებაზე უფრო ახლა ერს განათლება სჭირდება — განათლებული და ჯანსაღად მოაზროვნე მომავალი თაობა. უდიდესი ქველმოქმედება სამუშაო ადგილების შექმნა იქნებოდა...

ყველა დავით აღმაშენებლობაზე აცხადებს პრეტენზიას, პირდაპირ დავით აღმაშენებლობაზე, შედარებით ნაკლები და მოკრძალებული კატეგორიულად არ სურთ. რომ მოუსმინო, საქართველო მათ იხსნეს, გამოიყვანეს უკუნიდან, გააცნეს მსოფლიოს, განუხრელად სწამთ და სჯერათ, რომ სწორედ მათ გადაარჩინეს გარდაუვალ დაღუპვას...

**— გვასწავლა რამე გასული წლების გამოცდილებამ, თუნდაც უახლეს ისტორიაში რამდენიმე ომმა?..**

— რაც ვიყავით, ისეთად დავრჩით, ას გაუტანელზე ერთი თავგანწირული მოდის, მაგრამ ის ერთი ოთხმოცდაცხრამეტის ბედოვლათობასა და უპასუხისმგებლობას გადაწონის ხოლმე. გულარხეინობა და სიზარმაცეა ჩვენი ეროვნული სენი. ომშიც ასეთი ვართ. არც ევროპელები ვართ, აღარც აზიელები, ჭეშმარიტი კავკასიელები ვართ. გაგვიტკბა უსამართლოდ დაჩაგრულის პოზიციაში ყოფნა, ვერ გადავეჩვიეთ ილუზორულ პერსპექტივებს, დასავლეთისა და ამერიკის იმედად ყოფნას. ყველას თავისი გასჭირვება, გამოგვიყენებენ და მიგვაგდებენ ისევ ურჩხულის პირისპირ. ჩვენ



წუთითაც არ ვყოფილვართ თავისუფალი. ან გარეშე მტრების კარნახით გვიწევდა და გვიწევს ცხოვრება, ან ჩვენივე „ხელმწიფეები“ და ჩინოვნიკები გვახრჩობენ, ბიუჯეტის ქურდები, კანონმორჩილი მოქალაქეების ფულით შვილებს რომ ასწავლიდნენ კემბრიჯებსა და ოქსფორდებში. ახლა ისინი დაბრუნდნენ და ჩვენს შვილებს ასწავლიან ტელეეთერიდან, რომ თავისუფლება ღირსეულთა შორის ღირსეულთა ხვედრია, რომ უნდა ვიყოთ პატიოსნები, კანონმორჩილები...

კი ჯიუტად ჭკუას ვერ ვსწავლობთ, ოღონდ კი მოვასწროთ და თავი სილაში ჩავრგოთ სირაქლემებივით, ასე გვგონია, ყველა პრობლემა თავისით მოგვარდება.

**— 30 წელია თავისუფალი ქვეყანა ვართ და, ალბათ, ყველას გაგვჩენია კითხვა — ვართ კი პიროვნულად თავისუფალი ადამიანები?**

— წუთითაც არ ვყოფილვართ თავისუფალი. ან გარეშე მტრების კარნახით გვიწევდა და გვიწევს ცხოვრება, ან ჩვენივე „ხელმწიფეები“ და ჩინოვნიკები გვახრჩობენ, ბიუჯეტის ქურდები, კანონმორჩილი მოქალაქეების ფულით შვილებს რომ ასწავლიდნენ კემბრიჯებსა და ოქსფორდებში. ახლა ისინი დაბრუნდნენ და ჩვენს შვილებს ასწავლიან ტელეეთერიდან, რომ თავისუფლება ღირსეულთა შორის ღირსეულთა ხვედრია, რომ უნდა ვიყოთ პატიოსნები, კანონმორჩილები და ა.შ.

არაერთი ეროვნულ გმირად აღიარებული ინდივიდი მეგულება, სხვათა შვილებს ომში წასვლასა და თავგანწირვისკენ რომ მოუწოდებდნენ, საკუთარ პირმშოებს კი ევროპა-ამერიკაში გზავნიდნენ სასწავლებლად. სწორედ ეგ სწავლამორჩენილები არიან დღეს ეროვნული სინდის-ნამუსის სიმსივნეები.

თავისუფლება უპირველესად კანონმორჩილებაა. კანონმორჩილება თანამოძმეთა, თანამოქალაქეთა პატივისცემაა, მათდამი სოლიდარობის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. სინდისდამძიმებული ადამიანი ვერასოდეს იქნება თავისუფალი. დღევანდელ საზოგადოებაში იმდენი ბოლმაა დაგროვილი, ლამის ყველაფერზე ჩაიქნიო ხელი და ვირთხასავით მხოლოდ საკუთარი თავისთვის იარსებო, მაგრამ როგორც იტყვიან, მომავლის იმედი ოხერი რამაა, ყველაზე ბოლოს ეგ კვდება.

**— აფხაზეთიდან ხართ, როგორ ფიქრობთ, ამ რეგიონის დასაბრუნებლად აკეთებდა და აკეთებს რამეს ხელისუფლება?**

— შეიძლება უცნაურიც იყოს ამის თქმა, მაგრამ ასე მგონია, აფხაზეთის ნებსით თუ უნებლიეთ გამსხვისებელი შევარდნაძე უფრო დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამდა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ვიდრე ახლანდელი თუ წინამორბედი ხელისუფლება. მათი ყველა ქმედება თვითრეკლამის თუ საკუთარი არსებობის გამართლების ცდა მგონია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ვინც თითქოსდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის გადაწყვეტაზე დებენ თავს, არც ცდილობენ ჩაუღრმავდნენ კონფლიქტის ისტორიას.

დღეს ომში ვითომდა გამარჯვებული აფხაზები ჩვენზე უარეს დღეში არიან. ის ქალაქი, რომლის ქართველებისგან დაცლისთვის თავს არ ზოგავდნენ, მათი აღარც არის და ამის აღიარება საშინლად ეუხერხულებათ. ამის ბრალია მათი აგრესიაც.

კარგად მახსოვს ომამდელი აფხაზ „აიდგილარელთა“ და სომეხ „კრუნკელთა“ განწყობა (ამ უკანასკნელმა ქართველთმოძულეობაში აფხაზებსაც ბევრად აჯობეს). ახლა „კრუნკში“ გამოზრდილებს აფხაზეთი თავისად მიაჩნიათ და ამას მოურიდებლადაც აცხადებენ. ასე რომ, პრობლემის მოგვარება რაც დრო გადის, მით უფრო რთულდება. გამოსავალი ერთია — მართლა დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო უნდა გავხდეთ, რათა აფხაზებმა ჩვენთან დიალოგი მოინდომონ. სხვანაირად კონფლიქტის მოგვარება წარმოუდგენელია. ჩვენი „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკოსები ისევ და ისევ მხოლოდ საკუთარი არსებობის გამართლებაზე არიან ორიენტირებული. აფხაზები ამას გრძნობენ და არ გვენდობიან. ვერავინ დამაჯერებს, რომ აფხაზებს პათოლოგიურად ვძულვართ, კარი ბოლომდე მიხურული არ არის. ახლა საქმე მომავალ მთავრობაზეა. ეგეც თუ ისეთივე ტინგიცა და ბაქია გამოდგა, აი, მაშინ მართლა ყველა შანსი დაკარგულია.

ომის დაწყებისას ოცდახუთი წლის გახლდით. ჩვენ უაფხაზებო აფხაზეთი გვინდოდა (იყო ასეთი მოარული გამოთქმაც — 80 000 არიან, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაეტევიანო), აფხაზებს — უქართველებო. რუსები კიდევ ხომ კონფლიქტის გაჩაღებაში ისე არიან დაოსტატებული, ეროვნულ თვისებად ჩამოუყალიბდათ. მათი უმეტესობისთვის ცნება „სამშობლო“ ისეთი სახით, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია, არც არსებობს — დერჟავაა მათი სამშობლო, სხვათა მიწა-წყალზე შექმნილი. აფხაზებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ რუსეთს მათი სიყვარული არ ამოძრავებდა, ქართველებთან ომში გამოვიყენებთ და მათაც მოვიშორებთ თავიდანო, ფიქრობდნენ, მაგრამ მწარედ შეცდნენ.

სოხუმში უამრავი კაფე იყო. ახალგაზრდების ნაწილი ამ კაფეების მიხედვით ვიყოფოდით, ანუ ვინ რომელ კაფეში აზირჟავებდა. ერთმანეთსაც მოვინახულებდით ხოლმე და იშლებოდა სუფრები იქაც კი, სადაც, წესით, ნაყინ-ყავა-ნამცხვრის გარდა არაფერი უნდა ყოფილიყო. მერე უცებ სანგრების სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით. დარწმუნებული ვარ, სასიკვდილოდ ერთმანეთს არც ერთი მხარე არ გავიმეტებდით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ერთმანეთს ოჯახის წევრები, ახლობლები, მეზობლები დავუხოცეთ... არც ერთი მხარე არ ვაღიარებთ რომ ორივე დავმარცხდით. ომი 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა — ამ ხნის განმავლობაში ვხოცეთ ერთმანეთი.

**— ტყვეობაში მოგიწიათ ყოფნა, როგორ შეძელით თავის დაღწევა?**

— უცნობმა აფხაზმა ქალმა გადამარჩინა, ვისაც შვილი ერთ-ერთმა ქართულმა ფორმირებამ წამებით მოუკლა გაგრაში. მერე — ქართველმა იელოველებმა, რომლებმაც ომის პირველ თვეებში, აფხაზი იელოველები შეიფარეს, ამიტომაც დაინდეს აფხაზებმაც სოხუმის დაცემის შემდეგ. მეც იელოველად გამასაღეს.

**— რამდენიმე დღის წინ ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ დატრიალებულ ტრაგედიას გვერდს ვერ ავუვლით. თითქმის 30 წელია დევნილების ბინებით უზრუნველყოფა მოუგვარებელი პრობლემაა სახელმწიფოსთვის.**

— ასე მგონია, სახელმწიფო განგებ არ აგვარებს, რათა მეტი დაფინანსება მიიღოს მსოფლიოსგან და ჩინოვნიკებმა იხეირონ. ბინების განაწილებაშიც ხომ ყველაფერი გულისამრევი ფარსია. საცხოვრებლით რომ დაგაკმაყოფილონ, პირველ ყოვლისა სოციალურად დაუცველი უნდა იყო, სტატუსის მოსაპოვებლად კი უნდა იპირფერო, დამალო შემოსავლები, თუ რამე ქონება გაქვს, სხვაზე გააფორმო, გაიტანო ბინიდან შედარებით ღირებული ავეჯი და ელექტროტექნიკა სოცაგენტის მოსვლის მოლოდინში, მიიღო მწუხარე სახე, ღვარო ცრემლები ან ფიქციური განქორწინება გააკეთოს ცოლ-ქმარმა... მერე (რამდენადაც ვიცი) ბინის მიღების პრეტენდენტის საქმეს სუს-ი განიხილავს. დავიჯერო, სუს-ი იმდენად ცდება, რომ ერთსა და იმავე ოჯახს ზოგჯერ რამდენიმე ბინას და სოლიდურ ფულად დახმარებას აძლევენ?! ამიტომ ვამბობ, ფარსია ყველაფერი-მეთქი. ვისაც მართლა უჭირს, იმათ უმეტესობას თვალთმაქცობა არ შეუძლია და რჩება გაბითურებული. ვინც შუბლისძარღვგაწყვეტილი ჩალიჩაა, იმან კი აიწყო ცხოვრება. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რამდენია ისეთი, სოხუმში, ოჩამჩირეში თუ სხვაგან მხოლოდ გავლით რომ გახლდათ ომამდე ნამყოფი და დღეს სახელმწიფოსგან დევნილის სტატუსით მიღებულ ბინაში ცხოვრობს?!

**— ბოლოს, რას ნიშნავს თქვენთვის წერა, ლიტერატურა, პოეზია?.. ავტორს შეუძლია შეცვალოს მკითხველის ცხოვრება?..**

— წერისთვის დავიბადე. როცა ვწერ, კარგად ვარ, თუ ვერ ვიცლი, განერვიულებული დავდივარ. კარგა ხანია კითხვის ფუფუნებაც არ მქონია. სულ იმის იმედად ვიყავი, რომ ქვეყანაში ცხოვრება მოწესრიგდებოდა, მეც მექნებოდა ჩემი ბინა, სტაბილური შემოსავალი და წერა-კითხვისთვისაც დრო და ნერვები დამრჩებოდა, მაგრამ ძალზე მიამიტი აღმოვჩნდი. ძნელია წერო, როცა ოჯახს ხეირიანად ვერც არჩენ, როცა შვილებს რაღაც აკლიათ, როცა ლუკმაპურის მოსაპოვებლად მძიმე შრომა გიწევს. ჩემდა გასაკვირად, მაინც ვახერხებ კალმის ხელში აღებას, ალბათ, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია. ავტორს შეუძლია შეცვალოს მკითხველის ცხოვრება? ალბათ, კი. თავის დროზე, ჩეხოვმა და ფოლკნერმა გადამიტრიალეს ცნობიერება, სხვა სივრცეები და განზომილება დამანახეს. ჩეხოვზე დიდი ნოველისტი ჯერ არ შემხვედრია, არც ფოლკნერზე კაცთმოყვარე. გენიოსისთვის, რომელიც ადამიანის სულს ყველა პლასტით იცნობს, ყოველთვის არსებობს ცდუნება ხმაში სარკასტული ნოტები გაერიოს. ფოლკნერმა ამ ცდუნებას გაუძლო, ერთხელაც არ წასცდენია კალამი საიმისოდ, რომ მკითხველისთვის საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა, მინიშნებითაც კი. ამიტომაცაა ის ჩემთვის დიადთაგან უდიდესი (სხვათა შორის, ომიც გამოიარა). ჭეშმარიტად დიდი უნდა იყოს ავტორი, დიდი და სულგრძელი, რომ მკითხველზე იმოქმედოს. ასეთები ერთეულები არიან.

ომის დაწყებისას ოცდახუთი წლის გახლდით. ჩვენ უაფხაზებო აფხაზეთი გვინდოდა (იყო ასეთი მოარული გამოთქმაც – 80 000 არიან, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაეტევიანო), აფხაზებს – უქართველებო. რუსები კიდევ ხომ კონფლიქტის გაჩაღებაში ისე არიან დაოსტატებული, ეროვნულ თვისებად ჩამოუყალიბდათ. მათი უმეტესობისთვის ცნება „სამშობლო“ ისეთი სახით, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია, არც არსებობს – დერჟავაა მათი სამშობლო, სხვათა მიწა-წყალზე შექმნილი...

*ლალი პაპასქირი*

*პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, პარტია — „სამართლიანობისთვის" — ლიდერი, იურისტი ეკა ბესელია ახლა შორიდან ადევნებს თვალს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მწვავედ აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად იყო. თვლის, რომ მისმა ყოფილმა პარტიამ წინა ხელისუფლების კურსი აირჩია. როგორც ცნობილია, მან შარშან დააფუძნა „მართლმსაჯულების სახლი", რომლის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის — მოსამართლეების, ადვოკატების, პროკურორებისა და საჯარო მოხელეების მომზადება. ახლა მისი საქმიანობა, ძირითადად, ეს არის და დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს ახდება მისი ყველაზე დიდი სურვილი — ქვეყანაში იქნება სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო.*

# „დღევანდელი რეალობა იყო „ოცნების" ოცნება, რომელიც აუხდათ"



**„ყოჩაღ, წალენჯიხას! მან ეს შეძლო! აღფრთოვანებული ვარ მათი გამბედაობით"**

**„შეიძლება ბევრმა სწორად ვერ გაიგო, როდესაც ვთქვი, სააკაშვილის მიმართ შურისძიების გრძნობა არა მაქვს-მეთქი და ამას ძალიან ბევრი ინსინუაცია მოჰყვა. დისკუსიაში ჩართვას არ ვაპირებ, მაგრამ როცა შურისძიება გამოძრავებს, სამართლიანობას კარგავ და ობიექტური აღარ ხარ...**

**— დღეს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას როგორ შეაფასებთ?**

— ბოლო მოვლენებით დავიწყოთ. ვხედავთ, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე როგორ ცდილობს ოპოზიცია, რამდენიმე საკრებულოში მაინც აიღოს პასუხისმგებლობა და ოპოზიციური საკრებულოს შექმნა მოახერხოს. ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მაგალითები მნიშვნელოვანი სიგნალია, რომ ძალაუფლების გადანაწილება ადგილობრივი თვითმმართველობიდან დაიწყოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რა მოხდება ბათუმში, სენაკში — ყველგან, სადაც შეიძლება ოპოზიციურმა ძალებმა შეთანხმება მოახერხონ. ვერ ვგრძნობთ, რომ ოპოზიციას შეუძლია ძლიერი დღის წესრიგი შექმნას, არ ჩანს, რომ ის იყენებს საპარლამენტო ბერკეტებს. 2016-20 წლების პარლამენტში ჩვენ დავტოვეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რეგლამენტით გავაძლიერეთ საპარლამენტო კონტროლი, მაგრამ ამას ახლა არავინ იყენებს. ასევე მიკვირს, რატომ არ არის დღის წესრიგში ისეთი მწვავე საკითხები, რომლებიც მაშინ ოპოზიციისთვის პარლამენტში შესვლის საფუძველი გახდა — პრეზიდენტ მიშელის დოკუმენტს ვგულისხმობ, რომელსაც თავის დროზე ხელი მოაწერეს, მაგრამ მერე „ოცნებამ" მისი ანულირება გადაწყვიტა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პარლამენტში შესული ოპოზიცია დაკმაყოფილდა იმით, რომ გახდა პარლამენტის ნაწილი. ეს მოსწონთ და ვადამდელი არჩევნების საკითხი მწვავედ აღარ დგას. მე ვფიქრობ, დღევანდელი რეალობა იყო „ქართული ოცნების" ოცნება, რომელიც მათ აუხდათ. „ოცნებას" შერჩა გაყალბებული არჩევნები, პარლამენტში მარტო არ დარჩა, შექმნა მრავალპარტიულობის იმიტაცია და ამაში მას ოპოზიცია დაეხმარა. თქვეს, იმიტომ შევდივართ პარლამენტში, რომ პარლამენტის ტრიბუნა გამოვიყენოთო, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნა არ არის მხოლოდ ხმამაღალი განცხადებების ადგილი, პარლამენტი არის საპარლამენტო ბრძოლის არეალი და მე ამას ვერ ვხედავ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, ყოჩაღ მათ! იქაური მოსახლეობა ვერავინ მოისყიდა და ვისურვებ იგივე მოხდეს სენაკში, ბათუმში, რომ მოახერხონ და ოპოზიციონერი გაიყვანონ საკრებულოს თავმჯდომარედ, რომელიც ცვლილებების სერიოზული ბერკეტი გახდება და ადგილობრივ დონეზე მაინც იგრძნობენ ადამიანები, რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა ხმას მრავალპარტიულობას აძლევ. ყოჩაღ, წალენჯიხას! მან ეს შეძლო! აღფრთოვანებული ვარ მათი გამბედაობით.

**— დიდი ხმაური გამოიწვია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებამ. ამას მოჰყვა სასამართლოში პენიტენციური დაწესებულების სარჩელი და სასამართლომ გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება.**

— აშკარაა, რომ ეს იყო პერსონალური შურისძიება. სახელმწიფო ინსპექტორი თავიდან მოიშორეს საკანონმდებლო ცვლილებით, რომელსაც რეფორმა დაარქვეს. სინამდვილეში ეს იყო მისი დასჯის ოპერაცია. ქალბატონი ლონდა თოლორაია აღმოჩნდა ამ სამსახურის კარგი თავმჯდომარე. მან გამოიჩინა პრინციპულობა და ამის გამო „ოცნებამ" დასაჯა. რასაც „ოცნება" ვერ აკონტროლებს, მისთვის მიუღებელია. სახელმწიფო ინსპექტორი მოიშორეს საბჭოური მეთოდით და ამას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. ამერიკის ელჩის განცხადება ძალიან მწვავე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, „ოცნების" წარმომადგენლები საელჩოების განცხადებებს არაფრად აგდებენ. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა ვეტო არ დაადო არც ამ კანონს, არც — მოსამართლეების არჩევისა და საერთო სასამართლოების კანონში ცვლილებებს. სხვა ბერკეტი, რომ შეჩერდეს ასეთი საზიანო პროცესი, არ არსებობს. რაც ახლა პარლამენტში ხდება, არის 2012 წლამდელი სიტუაციის გამეორება, სადაც დომინანტი იყო ერთი პარტია და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. რაც უნდა, იმას აკეთებს „ოცნებაც", ხელის შემშლელი კი აღარავინ ჰყავს. ხალხიც თითქოს ეგუება ამას. ხელისუფლება ძალიან გათამამდა ამით და ეს მაშინებს. ახლა ზამთარია და მესმის, რომ რთულია ყინვაში საპროტესტოდ ქუჩაში გამოსვლა, მაგრამ იმედი მაქვს, გაზაფხულზე მოიძებნება ისეთი ენერგია საზოგადოებაში, რომელიც ხელისუფლებას აიძულებს, უკან დაიხიოს და ვადამდელი არჩევნების საკითხი მომზადდეს.

**— ლონდა თოლორაია გიორგი გახარიას დროს დაინიშნა ამ თანამდებობაზე. ამბობენ, რომ მისი ნაბიჯები სწორედ იმის შედეგია, რომ ის გახარიას გუნდის წევრია.**

— გამოცდილება გვაჩვენებს, რომ არავის გუნდის წევრობა არ არის პრინციპულობის წინაპირობა. ან ხარ პრინციპული, ან — არა, ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, ის გახარიას ინიციატივით წარდგენილი კანდიდატი იქნებოდა თუ არა. ლონდა თოლორაია აღმოჩნდა ისეთი საჯარო მოხელე, რომელმაც გაიაზრა თანამდებობრივი პასუხისმგებლობა და გადაწყვიტა, სამსახურებრივი და საჯარო ინტერესი „ოცნების" სამსახურში ყოფნაზე მაღლა დააყენოს. ჩვენ გახარიას გუნდში ბევრი გვინახავს, რომლებიც გადაიბირეს და მიხარია, რომ ლონდა ასეთი პრინციპული აღმოჩნდა. „ოცნება" უკვე იმით გამოირჩევა, რომ დაუმორჩილებლობას არავის პატიობს.

**— თქვენ ამ პარტიის წევრი იყავით...**

— სამწუხაროდ, ჩემს ყოფილ პარტიაში ველარაფერს ვხედავ ღირებულს, რის გამოც ეს პარტია შევქმენით. ახლა ისინი ერთმანეთს უმტკიცებენ ერთგულებას, ერთმანეთს ეპრანჭებიან და კეკლუცობენ, ამით კი ცდილობენ თავი მოაწონონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

**— მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესებს, ალბათ, თვალს ადევნებთ. ამ დღეებში ციხიდან გაათავისუფლეს ელგუჯა ცომაია და მასთან ერთად დაკავებული სხვა პირები. როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს?**

— მათი პატიმრობა არ იყო დასაბუთებული. ასეთი მუხლებით წინასწარ პატიმრობას არ უფარდებენ. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მათ აღიარებითი ჩვენება მიაცემინეს და ამის საფუძველზე გაათავისუფლეს. საერთოდ, დღევანდელი სასამართლო კრიტიკას ვერ უძლებს და სწორედ ასეთი საქმეების განხილვის დროს ჩანს მისი სისუსტე. ვნახოთ, რომელი განაჩენი იქნება ისეთი, რომელიც სანდოობის განცდას გაგვიჩენს. ერთ-ერთი ბოლო — წერეთელი-ჯაფარიძე-ხაზარაძის საქმე პოლიტიზებული მართლმსაჯულების მაგალითი იყო. მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აშკარად ადასტურებს პოლიტიკურ დევნას. სასამართლომ შეცვალა კვალიფიკაცია, რაც აჩვენებს, რომ ამ ადამიანების მიმართ პოლიტიკური მოტივი არსებობდა. ქვეყნის ყველაზე მძიმე სენი მორჩილი სასამართლოა. მე ყველაზე მეტად ეს მაწუხებს და „მართლმსაჯულების სახლიც", რომელიც დავაფუძნე, სწორედ იმას ემსახურება, რომ მომავალი სასამართლო სისტემისთვის მომზადდნენ ახალი პროფესიონალები, რომლებმაც უნდა შეცვალონ ისინი, ვინც დღეს არიან სასამართლოში. აქტიურად ვმონაწილეობ ამ პროცესში, ახალგაზრდებს ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ. უნდა შევქმნათ ფუნდამენტი და მოვემზადოთ ცვლილებებისთვის.

**„ახლა ერთმანეთს ირჩევენ მაზლი და ქვისლი, სასამართლო გახდა სანათესავო კორპორაცია, რომელიც დაემსგავსა ოჯახურ ბიზნესს"**

**— სასამართლოს რეფორმაზე ლაპარაკობთ, მაგრამ ვხედავთ, ხელისუფლება როგორ ირჩევს უვადოდ მოსამართლეებს. ამბობენ, რომ მოსამართლეებად მხოლოდ კლანის წევრები ინიშნებიან. ამის მოგვარება როგორ შეიძლება?**

— ვიდრე კლანი არსებობს, ისინი შიგნით სხვას არ შეუშვებენ. მაგრამ უნდა გვყავდეს მომზადებული კადრები, რომლებიც შეცვლიან იმ ადამიანებს, ვინც, პრაქტიკულად, უკვე დაამთავრა საკუთარი კარიერა და საზოგადოებას თავი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით დაამახსოვრა. მაქვს გეგმა, როგორ შეიძლება ეს დასრულდეს. მაქვს კანონპროექტიც, რომელიც ინიცირებული იყო პარლამენტში და მაშინ უმრავლესობამ ჩააგდო. ყველა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორი ამბობს, რომ ცვლილებები სასამართლოთი უნდა დაიწყოს. ახალი კადრების მოყვანით დასრულდება მონოპოლიზაცია. რაც შეეხება იმას, თითქოს პრობლემა მათი უვადოდ არჩევაა... უვადოდაც და ვადითაც მოსამართლე კანონით ინიშნება და ახალი კანონი ყველაფრის დარეგულირებას შეძლებს. მოდელი, რომელიც მაშინ მე პარლამენტში წარვადგინე, ითვალისწინებს უვადოდ არჩეული მოსამართლეების უფლებამოსილების შეჩერებას. უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი; მერე შეიცვალოს იუსტიციის საბჭო; პარლამენტმა უნდა აირჩიოს ხუთი ახალი წევრი; იუსტიციის უმაღლესი სკოლა უნდა შეიცვალოს და სადისციპლინო კოლეგია არ უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს ხელში. რაც შეეხება მოსამართლეების არჩევას, კანონპროექტში არჩევის ახალი წესიც გვაქვს. უნდა იყოს გრძელი სია, ისე, როგორც ვირჩევდით სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო საბჭოს სპეციალურ კომიტეტში, რომლის წევრი ექვსი წელი ვიყავი. იმ ექვსი წლის განმავლობაში ბევრი ქვეყნის მოსამართლე აგვირჩევია, ამის უშუალო მონაწილე ვარ და ეს მოდელი შევთავაზე პარლამენტსაც. დღეს იუსტიციის საბჭო გაცხრილავს სიას, დატოვებს სასურველ კანდიდატებს, მერე კი იმ მოკლე სიას უგზავნის პარლამენტს და პარლამენტი არც აკვირდება, ისე უჭერს მხარს. ჩვენს მოდელში იუსტიციის საბჭოს ასეთი ძალაუფლება არ აქვს და გადაწყვეტილების მიმღები რეალურად ხდება პარლამენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო რომ შეიცვლება, იქ კლანური ინტერესებიც აღარ იქნება. ახლა ერთმანეთს ირჩევენ მაზლი და ქვისლი, სასამართლო გახდა სანათესავო კორპორაცია, რომელიც დაემსგავსა ოჯახურ ბიზნესს. დაკარგეს განცდა, რომ ეს არის მართლმსაჯულების სისტემა... ერთი სიტყვით, გამოსავალი არსებობს, მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება.

**— მიხეილ სააკაშვილის თემას მინდა დავუბრუნდეთ, ექიმები ამბობენ, რომ მისი სამკურნალოდ უცხოეთში წაყვანაა საჭირო. როგორ ფიქრობთ, ეს საკითხი როგორ გადაწყდება?**

— აქ მნიშვნელოვანია უკრაინის პოზიცია... „ოცნებამ" სააკაშვილის თემაც სათავისოდ გამოიყენა — არჩევნების წინა დღეს საზოგადოებაში გააჩინა შიში და ძახილით: „მგელი მოდის, მგელი მოდის", შეძლო ამომრჩევლის მობილიზაცია. მე არ ვიცი, სააკაშვილის პარტია რას გეგმავს. მე სააკაშვილის მიმართ რა პრეტენზიებიც წარსულში მქონდა, დღესაც იგივე მაქვს, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ყველას უნდა მოექცე კანონიერად. დღევანდელი სასამართლოს ვერდიქტი ვერ იქნება სანდო. განაჩენი სამართლიანი და კანონიერიც რომ იყოს, სასამართლოს ისე აქვს ნდობა დაკარგული, მას მაინც ეჭვით შეხედავენ.

**— ბევრს გაუკვირდა სააკაშვილთან დაკავშირებული თქვენი განცხადება, რადგან ყველას ახსოვს, როგორ ებრძოდით იმ ხელისუფლებას. მან უნდა აგოს თუ არა პასუხი?**

— რა თქმა უნდა, უნდა აგოს! მე არასოდეს მითქვამს, რომ ის უდანაშაულოა, რომ წარსულში სისტემური დანაშაული არ ხდებოდა, მაგრამ როცა ვამბობ, რომ მან პასუხი უნდა აგოს სამართლიანი სასამართლოს წინაშე, მაშინვე მახსენდება, რომ ეს ის სასამართლოა, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ დავალებებს ასრულებს. მე ვიბრძოდი სააკაშვილის დროსაც და ივანიშვილის დროსაც იმისთვის, რომ თავისუფალი სასამართლო გვქონოდა. ამას ვერ მივაღწიეთ. კობახიძე იქნება, სააკაშვილი თუ სხვა ვინმე საბრალდებო სკამზე, სამართლიანად უნდა გასამართლდეს და არავის მიმართ არ უნდა აღსრულდეს პოლიტიკური მართლმსაჯულება. შეიძლება ბევრმა სწორად ვერ გაიგო, როდესაც ვთქვი, სააკაშვილის მიმართ შურისძიების გრძნობა არა მაქვს-მეთქი და ამას ძალიან ბევრი ინსინუაცია მოჰყვა. დისკუსიაში ჩართვას არ ვაპირებ, მაგრამ როცა შურისძიება გამოძრავებს, სამართლიანობას კარგავ და ობიექტური აღარ ხარ. თავის დროზე ჩემს გუნდს დავუპირისპირდი იმიტომ, რომ მათაც ძალაუფლება გაუტკბათ, კორუფციაში ჩაერთვნენ, სასამართლოს კონტროლი გადაწყვიტეს და წინა ხელისუფლების გაკვალული ყველა გზებით დაიწყეს სიარული, ეს კი მიუღებელი იყო.

**— მომავალში პოლიტიკაში გააქტიურებას გეგმავთ?**

— მაქვს კონსულტაციები სხვადასხვა პარტიასთან, განსაკუთრებით მათთან, ვინც არც ამ ხელისუფლების მხარდამჭერია და არც — „ნაცმოძრაობის". თუ იქნება რაიმე ფორმატი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება დავეხმარო ჩემს ქვეყანას, იქ ვიქნები.

**— შეიძლება კონსულტაციები გახარიას პარტიასთანაც გქონდეთ?**

— არც მათთან კონსულტაციას გამოვრიცხავ, მაგრამ მე ჩემს პარტიას წარმოვადგენ. შეიძლება გაჩნდეს საკონსულტაციო ფორმატი, რომელიც იქცევა ალტერნატივად და არ იქნება დაკავშირებული არც — წინა ხელისუფლებასთან და არც — „ქართულ ოცნებასთან".

*თეა ხურცილავა*

შიშველი სიმართლე?!

# „მიშას დაბრუნება ივანიშვილზე მეტად ნიკანორ მელიას არ უნდოდა“

## მაია ორჯონიკიძის სკანდალური ინტერვიუ

***„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა და მრავალწლიანმა აქტიურმა მხარდამჭერმა, მაია ორჯონიკიძემ პარტია დატოვა. რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, ამ საკითხებზე „კვირის პალიტრასთან“ საუბრობს.***



— მე „ნაციონალური მოძრაობის“, მიხეილ სააკაშვილის დაფუძნებული პარტიის მხარდამჭერი ვარ „ვარდების რევოლუციის“ დღიდან, როდესაც ჯერ კიდევ ამერიკაში ვცხოვრობდი. საქართველოში დავბრუნდი 2005 წელს და მას შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველიც გავხდი და ბოლო დრომდე უცვლელად ვუჭერდი მხარს ამ პარტიას. თუ რატომ დავტოვე პარტია, ამაზე პასუხი არის ძალიან მარტივი — მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ დამფუძნებელი და შემქმნელი მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან წავიდა, ძალიან ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც ჩემთვის მიუღებელია. თქვენი ნებართვით წარსულის მოკლე ექსკურსს გავაკეთებ:

2016 წლიდან მოყოლებული ყველა არჩევნები მიმდინარეობდა ერთი სქემით — არჩევნების წინ დაპირებები: „თუ არჩევნები გაყალბდება, ჩვენ ამას არ შევეგუებით და ხმების დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებთ“, არჩევნების გაყალბების შემდეგ კი უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ერთჯერადი საჩვენებელი აქცია იმართებოდა და შემდეგ პოლიტიკოსები არსებულ რეალობას ეგუებოდნენ ისე, რომ პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე აღარავის ახსოვდა. არც ამომრჩეველი იკლავდა თავს ლიდერებისგან პასუხის მოთხოვნით. ამიტომაც იქცა ეს მოდელი ბოლო წლების მანკიერ ტრადიციად.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ღამის ოთხ საათზე, ნიკა მელიამ და გიგა ბოკერიამ ცესკოს შენობასთან მისასვლელად ხალხს უხმეს და გამოაცხადეს, არჩევნები გაყალბებულია, ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ ივანიშვილმა რაღაც 30 ადგილი სამადლოდ გადმოგვიგდოს და ბრძოლა ჩვენი მოპარული ხმების დასაცავად ბოლომდე იქნებაო. ამის შემდეგ მელია და ბოკერია ცესკოში შევიდნენ და დაახლოებით ნახევარ საათში იქიდან სრულიად სხვა ადამიანები გამოვიდნენ — გაყალბებული ხმებიც შეირგეს და პარლამენტშიც შებრძანდნენ, რითაც ამომრჩეველი უბრალოდ გადააგდეს და ეს იყო პირველი პოსტსაარჩევნო ტყუილი, რაც იმავე სქემით მეორდებოდა ყველა მომდევნო არჩევნებზე: არჩევნების წინ დაპირება, რომ ვერ გააყალბებენ, ან თუ გააყალბებენ, პარტიას აქვს რესურსი და ნება, რომ ივანიშვილის რეჟიმის მიერ მოპარული ხმები დაიცვას, არჩევნების შემდეგ კი ეს დაპირება დაპირებად რჩებოდა.

მაშინ, 2016 წელს, სააკაშვილმა უკრაინიდან საკუთარ პარტიას მოუწოდა, არ შეხვიდეთ პარლამენტში, არჩევნები გაყალბებულია და ივანიშვილის ხელისუფლებას ლეგიტიმაციას ნუ მისცემთო. არ მოუსმინეს, მაინც შევიდნენ და ბოლოს ისიც გაირკვა, რომ მიშას მხარდამჭერების ხმებით პარლამენტში შესული ბოკერია „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთოდაც გამოეყო და საკანონმდებლო ორგანოში ახალი პარტიის ლიდერის სახით მოგვევლინა — ანუ მაშინ ამომრჩეველი ორმაგად მოატყუეს: ივანიშვილს მოპარული ხმებიც შეარჩინეს და „ნაციონალურ მოძრაობას“ ამომრჩევლის ხმებით ახლადმოჩეკილი „ევროპული საქართველოც“ შევიდა პარლამენტში.

იმავე სქემით ჩატარდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც. პირველი ტურის შემდეგ სააკაშვილმა უკრაინიდან ხალხს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა და სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, მელია რომ გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, ესაა სააკაშვილის პირადი აზრი, „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოსთან არ შეთანხმებულა და ჩვენ ამას ვერ გავიზიარებთო. მელიას შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემაც ზუსტად იგივე გაიმეორა. სააკაშვილს ისიც ნათქვამი აქვს საჯაროდ, რომ 2018 წლის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ის საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა და ამის ვიდეოჩანაწერიც არსებობს. თუმცა პარტიის მესვეურებმა უთხრეს, ივანიშვილმა შენგან ბუა შექმნა, რომ ჩამოხვიდე, მეორე ტურში შეიძლება ხმები ვეღარ ავიღოთ და თუ არ ჩამოხვალ, მოგება გარანტირებული გვაქვსო. ენდო მიშა, აღარ ჩამოვიდა და ამათ როგორც მოიგეს საპრეზიდენტო არჩევნები, ყველას კარგად გვახსოვს.

იმის ნაცვლად, რომ მეორე ტურამდე დარჩენილ ოთხ კვირაში რეგიონებში საპროტესტო კერები შეექმნათ, ოპოზიცია გულარხეინად ელოდებოდა მეორე ტურს და ამით, ცხადია, ივანიშვილს სასათბურე პირობები შეუქმნა, რასაც შედეგად მოჰყვა სამეგრელოში რეჟიმის მიერ მანამდე არნახული წინასაარჩევნო ეგზეკუციები და სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, რომელიც იმდენად არაპოპულარული იყო ხალხში, რომ მისი საარჩევნო ბანერებიდან ხან ბიძინა ივანიშვილი შემოგვცქეროდა და ხანაც კახა კალაძე. ამის შემდეგ მთელ ქვეყანაში(!) მასობრივი, უწყვეტი საპროტესტო აქციები კი დააანონსეს, მაგრამ რეალურად სულ ორად ორი მცირემასშტაბიანი აქცია გაიმართა და ყველაფერი ამითვე დასრულდა. იმ დროს ჯერ კიდევ გულწრფელად ვთვლიდი, რომ ეს „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობის უნიათობით ხდებოდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ისინი საქმეს ვერ კი არა, არ აკეთებენ.

**— რატომ, ამის მიზეზად რას ხედავთ?**

— მივდივარ იქამდე და გეტყვით. ამის შემდეგ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და როგორც მოგეხსენებათ, არასოდეს მომხდარა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომ რომელიმე ხელისუფლება მესამე ვადით მოსულიყო. არნახული გაყალბების ფონზე, როგორც იქნა, ოპოზიცია გაერთიანდა და ბოიკოტი გამოაცხადა. მსოფლიოს თვალში ერთპარტიული პარლამენტი ივანიშვილის რეჟიმისთვის უდიდესი თავსატეხი იყო, ივანიშვილმაც იცოდა ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთმა ძალიან დესტრუქციული როლი ითამაშა ამ ისტორიაში — პირველ რიგში, ევროკავშირმა, როდესაც შარლ მიშელის შეთანხმებით ფაქტობრივად მესამე ვადა „გაუპრავეს“ რუს ოლიგარქს, იმის ნაცვლად, რომ ივანიშვილისთვის არჩევნების გაყალბებაზე პასუხი მოეთხოვათ. ეს შეთანხმებაც აბსურდული იყო, რადგან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ბედი ადგილობრივ არჩევნებსა და რაღაც გაურკვეველ 43%-იან ბარიერს გადააბეს.

> **„ნაცმოძრაობა“ თავის თავში ჩაიკეტა, იქცა უფრო კლანად, ვიდრე პარტიად“**

ბევრი ამ ადგილობრივ არჩევნებსაც იმედით ელოდა, როგორც საქართველოს რუსული რეჟიმისგან გათავისუფლების ბოლო შანსს, რასაც პოლიტიკოსებიც ხელს უწყობდნენ — 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები ამომრჩევლისთვის მიწოდებული იყო როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის სახალხო რეფერენდუმი, რომელზეც ქვეყნის ბედი გადაწყდებოდა. ამ არჩევნების წინ, საქართველოში დაბრუნებამდე, სააკაშვილი ემიგრანტებს შეხვდა და გააკეთა განცხადება, რომ ხალხს უნდა შეეძლოს საკუთარი ხმებისა და თავისუფლების დაცვა, პოლიტიკოსები კი კაბინეტებიდან უნდა გამოვიდნენ და ამომრჩეველთა დანაპირების შესასრულებლად მოემზადონ.

პრობლემა ის იყო, რომ ზოგადად ოპოზიცია და კერძოდ, „ნაცმოძრაობა“, 2016 წლიდან მოყოლებული თითქმის არაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოპარული ხმები დაეცვა — ყოველი არჩევნების წინ ტრადიციულად გვესმოდა მელიას ხმამაღალი განცხადებები, რომ აი, ამჯერად ნამდვილად არ გავაყალბებინებთ ხელისუფლებას ხმებს და ყოველ ჯერზე ყველაფერი ისევ ხმების ხელისუფლებისთვის ჩაბარებით თავდებოდა. არსებობს ინტერვიუ, სადაც მიშა ამბობდა, მომეცით 72 საათი, დამახვედრეთ ადამიანების ის რაოდენობა, რომ სამი დღე ივანიშვილის ძალოვნებმა ვერ დამაკავონ და ამ რეჟიმს ხალხთან ერთად მშვიდობიანად დავამარცხებთო. სულ რაღაც 30 ათასი კაცი იყო საკმარისი, რომ პრეზიდენტისთვის ხელი ვერ მოეკიდათ — ეს იყო მიშას გამარჯვების სცენარი, მისი სცენარი არ ყოფილა ციხეში წასვლა. ვიცით, რომ ის უშვებდა ამ სცენარსაც, მაგრამ ეს უარესი ვარიანტი იყო, მიშას შემოთავაზებული სცენარი კი იყო ხავერდოვანი რევოლუციის გამარჯვების სცენარი.

> **2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ სააკაშვილმა უკრაინიდან ხალხს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა და სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, მელია რომ გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, ესაა სააკაშვილის პირადი აზრი, „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოსთან არ შეთანხმებულა და ჩვენ ამას ვერ გავიზიარებთო. მელიას შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემაც ზუსტად იგივე გაიმეორა. სააკაშვილს ისიც ნათქვამი აქვს საჯაროდ, რომ 2018 წლის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ის საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა და ამის ვიდეოჩანაწერიც არსებობს. თუმცა პარტიის მესვეურებმა უთხრეს, ივანიშვილმა შენგან ბუა შექმნა, რომ ჩამოხვიდე, მეორე ტურში შეიძლება ხმები ვეღარ ავიღოთ და თუ არ ჩამოხვალ, მოგება გარანტირებული გვაქვსო. ენდო მიშა, აღარ ჩამოვიდა და ამათ როგორც მოიგეს საპრეზიდენტო არჩევნები, ყველას კარგად გვახსოვს...**

ამ გეგმის რეალიზაციისთვის მას სარფში უნდა დახვედროდა ხალხის დიდი რაოდენობა და მისი დაკავების საშუალება არ მიეცათ. ამასობაში ხალხის რაოდენობა თოვლის გუნდასავით აგორდებოდა და მინიმუმ ასი ათას მშვიდობიან კაცს რეჟიმი ვერაფერს მოუხერხებდა — ივანიშვილს ამის რესურსი უბრალოდ არ გააჩნდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ხალხის მორალურ შემართებას და თავისუფლების ჟინს. ეს იყო სრულიად მშვიდობიანი სცენარი და ერთადერთი, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობას ევალებოდა, იყო ხალხის გამოყვანა, რათა სულ რამდენიმე დღით სააკაშვილის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცული ყოფილიყო. წლების წინ უკრაინელებმა თავგანწირულად დაიცვეს მიშა და მართლაც სირცხვილია, ჩვენ რომ ეს არ თუ ვერ გავაკეთეთ. ვფიქრობ, მიშას ჩამოსვლის გეგმა მაშინ შეიცვალა, როდესაც სააკაშვილი მიხვდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობა და პირადად ნიკა მელია ამის გამკეთებლები არ იყვნენ. პარტიის ხელმძღვანელობას მხოლოდ მხარდამჭერების მობილიზება ევალებოდა და არც ეს გააკეთეს. ნახევარი მილიონი მხარდამჭერი ჰყავდეს პარტიას და 30 ათასი კაცი ვერ დახვედრო პარტიის ლიდერს, ხომ წარმოუდგენელია? არ მოინდომეს.

**— მელიას რა ინტერესი აქვს?**

— მელია დემოკრატობანას თამაშობს, მაგრამ რეალურად პარტიაში შექმნილი აქვს ერთპიროვნული სისტემა. თვითონ წყვეტს ყველაფერს, რამდენიმე ადამიანს უთანხმებს და ეგაა. ვიმეორებ, მათი ერთადერთი მოვალეობა იყო ხალხის შეკრება და როგორც ჩანს, მიშას უთხრეს ის, რასაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე მელია სააკაშვილს მუდმივად უმეორებდა, „ხალხში მუხტი არ არის და თუ ჩამოხვალ, მხოლოდ შენი საკუთარი რისკით“. როდესაც მიშა პოლიტსაბჭოს სხდომების დროს უკრაინიდან ერთვებოდა, სწორედ ამას უჩიჩინებდა, ხალხში მუხტი არ არის და ქუჩაში ვერ გამომყავსო. განსაკუთრებით მაშინ, თუ მიშა ჩამოსვლაზე იწყებდა ლაპარაკს. ადრე მეც მეგონა, რომ მელიას ხალხის მობილიზების უნარი არ გააჩნდა, ბოლო თვეებში კი დავრწმუნდი, რომ ეს უბრალოდ არ სურდა.

**— რამ დაგარწმუნათ, რომ არ სურდა?**

— შარშან 8 ნოემბრამდე მეც მეგონა, რომ „ვერ“ და არა „არ“, მაგრამ ამ დღეს მიშა უკვე თითქმის ორმოცი დღის ნაშიმშილარი იყო და 50 ათასი კაცი, რომელიც აქციაზე შეიკრიბა, მელიამ ხელმეორედ დაშალა. სწორედ იმ დღეს დავრწმუნდი, რომ ამას შეგნებულად აკეთებდა. არ ვიცი, მიშა ციხეში მიხვდა თუ არა ამას. მელია მუდმივად არწმუნებდა, რომ საქართველოში მუხტი არ იყო, რათა სააკაშვილი საქართველოში არ დაბრუნებულიყო, რასაც, როგორც გამოჩნდა, მელიას პერსონალური მოტივაცია ჰქონია. დღეს უკვე აშკარაა, რომ ბიძინაზე მეტად ნიკა მელიას არ აწყობდა საქართველოში მიშას ჩამოსვლა. ივანიშვილსა და მელიას ამის სხვადასხვა მიზეზი ჰქონდათ, მაგრამ მიზანი საერთო — ივანიშვილი მიშას ჩამოსვლით მიტაცებულ ქვეყანაზე ძალაუფლების დაკარგვის რისკის ქვეშ დგებოდა, მელია კი პარტიის ერთპიროვნული ლიდერის სტატუსსა და „ნაცმოძრაობაზე“ კონტროლს კარგავდა.

2021 წლის 8 ნოემბერს აქცია რომ გაიმართა, ხალხი გამწარებული მირეკავდა, 800 მანქანა მხოლოდ აჭარიდან ჩამოვედით იმ განცდით, რომ ახლა უკვე მორჩა, აღარ დავიშლებით და ბოლომდე ვიბრძოლებთო — და ეს ნამგზავრი, დაღლილი ხალხი მელიამ ერთპიროვნულად სახლში გაუშვა.

დღეს ცივილიზებულ სამყაროს დემოკრატიისა და ხმების დაცვის ერთადერთი მექანიზმი აქვს — ხალხის ქუჩაში გამოსვლა, მასობრივი პროტესტი. ჩვენ ამის უფლება კონსტიტუციით გვაქვს, მაგრამ პარტიის ლიდერები, იმის ნაცვლად, რომ ამომრჩეველთა ხმები დაეცვათ, რაც არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვი, რომ მოსახლეობის სამოქალაქო გმირობის შედეგად იყო მიღებული, საკუთარ კომფორტზე ფიქრობენ და იმაზე, რომ მიშას მხარდამჭერთა არმიის ხმები საკუთარი კომფორტის ფუნდამენტად აქციონ, რაც ხუთი წელია წარმატებით ხორციელდება. „ნაციონალური მოძრაობა“ თავის თავში ჩაიკეტა, იქცა უფრო კლანად, ვიდრე პარტიად და საკუთარ ამომრჩეველს მთლიანად მოსწყდა, მას არ აინტერესებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთგული, ძირძველი, ღერძული მხარდამჭერების აზრი და ამის საუკეთესო მაგალითია ის ომები, რასაც „ნაცმოძრაობის“ პარტაქტივი უწყობს მიშას დროინდელი „ნაცმოძრაობის“ ერთგულ, მრავალწლიან მხარდამჭერებსა და ამომრჩევლებს. გაუგონარი ამბავია — დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობის“ პარტმუშაკები „სუსლებად“, ტროლებად და ბოტებად ნათლავენ ყველას, ვინც აკრიტიკებს პარტიის დღევანდელ უმოქმედობასა და ტაქტიკას.

ამას წინათ მელიამ საჯაროდ აღიარა, რომ ამ ფონზე ის ცდილობს ისეთი ხალხის პარტიაში მიმხრობას, რომელთა პოლიტიკური ხედვა უპირისპირდება სააკაშვილის ტრადიციული მხარდამჭერების ხედვას და მეტიც, რომელთა უმრავლესობისთვის სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, მიუღებელია. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ თვალწინ ხდება სააკაშვილის დაარსებული პარტიის პოლიტიკური გამოშიგვნა და სწრაფი ტემპით მისი სრულიად სხვა შიგთავსით ავსება. არ მესმის, რატომ წვალობს ასე ნიკა მელია? პარტიის „გადაკეთების“, მისთვის შინაარსის გამოცვლის ნაცვლად არ ჯობდა ახალი, საკუთარი პარტია დაეარსებინა? მაგრამ პასუხი ზედაპირზეა — მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური ბრენდი, რომელსაც ზურგს ამ ქვეყნის მინიმუმ ნახევარი მილიონი მხარდამჭერი უმაგრებს და ამ აქტივის გამოყენება საკუთარი პოლიტიკური გავლენისა და ძალაუფლების განსამტკიცებლად ძალიან მაცდურად გამოიყურება იმ ფონზე, როდესაც მელიას სააკაშვილის თანაზომადი პოლიტიკური წონა არ გააჩნია, მისი რეიტინგი დიდწილად სააკაშვილის რეიტინგზე დგას. ის არაა თვითკმარი პოლიტიკოსი.

ამიტომ ბოკერიას დევიზი „მიშას ხმები მიშას გარეშე“ აქტუალურია როგორც არასდროს: რატომ უნდა იწვალო ახალი პარტიის დაარსებაზე, როდესაც ამხელა პარტიას „ფლობ“? სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ დღევანდელი „ნაცმოძრაობა“ აღარ არის ის პარტია, რომელსაც ხმას უცვლელად ვაძლევდი 16 წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, მისგან მხოლოდ აბრა და მიშას პორტრეტია დარჩენილი და ისიც იმიტომ, რომ მელიაზე იმუშაოს.

**— სააკაშვილმა რატომ მისცა ამის საშუალება, რატომ მოუშვა პროცესი?**

— მოდი, მივყვეთ. ფაქტია, უკვე საქართველოში ჩამოსვლამდე მიშა მიხვდა, რომ მის მიერ გაჟღერებული გამარჯვების სცენარი არ იმუშავებდა, ქვეყანაში მისი აღმსრულებელი არავინ იყო. არა მგონია, მიშას ეფიქრა, რომ ეს შეგნებული საბოტაჟი იყო. მე თვითონ ამას ძალიან გვიან მივხვდი, ხუთი წელი დამჭირდა ამისთვის. ადრე ვფიქრობდი, რომ უბრალოდ უუნაროები იყვნენ. ვფიქრობ, მიშამ დაინახა, რომ გამარჯვების სცენარი მელიასა და მის თანამოაზრეების ხელით ვერ განხორციელდებოდა და თავგანწირული ნაბიჯი გადადგა, რადგან სხვა გზა მას უბრალოდ აღარ დაუტოვეს. მესამე პრეზიდენტი ხედავდა, რომ ქვეყანა იძირება, რეალურად გაქრობის წინაშე დგას და თავი გადადო. აკი თქვა კიდეც: თუ ჩემი სიცოცხლით ვერ გამოვაფხიზლებ, იქნებ სიკვდილით მაინც გავაღვიძო ჩემი ქვეყანაო. დიახ, ეს იყო თავგანწირვის აქტი სუფთა სახით — სწორედ ისეთი, ჩვენ რომ საქართველოს ისტორიის წიგნებში წაგვიკითხავს. ვფიქრობ, მიშა ჯერ კიდევ 2018 წლის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო, არ დაეჯერებინა თანაპარტიელებისთვის და დღეს სულ სხვა ვითარება გვექნებოდა — ოლიგარქის რეჟიმის რეპრესიული აპარატი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამყარებული ისე, როგორც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩაბეტონდა და ექვს თვეში გავრილოვის სასაკლაოც მოაწყო.

> **2021 წლის 8 ნოემბერს აქცია რომ გაიმართა, ხალხი გამწარებული მირეკავდა, 800 მანქანა მხოლოდ აჭარიდან ჩამოვედით იმ განცდით, რომ ახლა უკვე მორჩა, აღარ დავიშლებით და ბოლომდე ვიბრძოლებთო – და ეს ნამგზავრი, დაღლილი ხალხი მელიამ ერთპიროვნულად სახლში გაუშვა...**

ჯერ კიდევ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს შემეხმიანა ხალხი, ერთი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი გორიდან იყო და ერთიც ზუგდიდიდან, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობენ და ორივემ ანალოგიური ისტორია მიამბო, რომ ზუსტად იმ დღეს, როდესაც პარლამენტის წინ 5 ათასი კაცი იდგა, მაგრამ მინიმუმ 50 ათასი კაცი უნდა მდგარიყო, ეს ხალხი საკუთარი მანქანებით მოდიოდა თბილისში და აქედან მელიას პარტაქტივს შეუთვლია, ხალხი არ გვჭირდება, საკმარისად გვყავს და არ ჩამოხვიდეთო! აქციაზე კი სულ 5000 კაცი შეგროვდა და „იმედის“ დრონი ბედნიერად გადასცემდა, შეხედეთ, „ნაცები“ რა ცოტანი არიანო!

რა ჰქვია ამას? არის თუ არა ეს საბოტაჟი? და ვინაა ამაზე პასუხისმგებელი?

დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა თავის 9 წელიწადში. თვითონ ის ფაქტი, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი იძულებული გახდა ციხეში წასულიყო, თავისთავად ბევრზე ლაპარაკობს — მას სხვა გზა არ დაუტოვეს, მისი ხმებით კი ვიღაცები პარლამენტში სხედან, ლიდერები კომფორტის ზონიდან არ გამოდიან და მელია სააკაშვილის სახელით, მაგრამ თავის ნებაზე მართავს პარტიას, რომელიც რუსული „ოპოზიციის“ მსგავსად უკვე სისტემურ ოპოზიციად გადაიქცა — ოპოზიციად, რომელიც მჭიდროდაა ინტეგრირებული მმართველ სისტემაში და პირველობისთვის კი არა, მარადიული მეორე ადგილისთვის იბრძვის უკვე მეექვსე წელია.

> **„არსებობს ვიდეო, სადაც დოკუმენტურად ჩანს, ტროლებით და ბოტებით როგორ გაიმარჯვა მელიამ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში, რაც მოწმობს, რომ მელია „ნაცმოძრაობის“ არალეგიტიმური თავმჯდომარეა“**

აუტანელია, როდესაც უსამართლო ქვეყანაში ცხოვრობ, რუსულ რეჟიმს უნდა ებრძოლო და ამ დროს ხალხის რესურსი მთლიანად იგნორირებულია — ის მხოლოდ საარჩევნოდ სჭირდებათ. მიშამ რომ შიმშილობა დაიწყო, იმავე დღიდან მთავარი პრიორიტეტი მიშას გათავისუფლება უნდა ყოფილიყო და ამათ რა გააკეთეს? 60000-კაციანი აქცია დაშალეს, რომელიც სააკაშვილის თავისუფლების მოთხოვნით შეიკრიბა!

ისიც გეხსომებათ, 2019 წლის მაისში მელიამ სანდრა რულოვსი რა დღეში ჩააგდო, როდესაც მან ზუგდიდში მერობის კანდიდატად თავი წარადგინა — ეჩხუბა, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ზუგდიდის მერის კანდიდატობას მე ვაპირებდიო და სანდრას კამპანიის დროს მის დასახმარებლად თითი არავის გაანძრევინა. მას შემდეგ კი, რაც ივანიშვილმა სანდრას არჩევნები გაყალბებით წააგებინა და სანდრამ გამოაცხადა, თითოეულ სოფელს დავივლი და დავამტკიცებ, რომ ივანიშვილმა ხმები მომპარაო, მელია მმართველი რეჟიმის ნაცვლად სანდრას დაუპირისპირდა და არასაჯაროდ სამეგრელოში „სამოქალაქო ომის გაჩაღებაში“ დასდო ბრალი!..

ავიღოთ თუნდაც „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის „არჩევნები“, რომელშიც მელიას გარდა, უწესიერესი კაცი, ლევან ვარშალომიძე მონაწილეობდა და რომელსაც ფეისბუკარჩევნებით (!) ტროლებისა და ბოტების საშუალებით მელიამ გამარჯვება გამოჰგლიჯა ხელიდან. მეტსაც გეტყვით — ის ხალხი, რომელიც მაშინ ვარშალომიძეს ხმა მისცა, „არჩევნების“ შემდეგ განაწყენებულმა მელიამ სათითაოდ „ფრენდებიდან“ წაშალა. მე ვიცნობ ასეთ ადამიანებს. მას შემდეგ, რაც მელიაზე წერა დავიწყე, არაერთი ადამიანი დამიკავშირდა მსგავსი ისტორიით. ადამიანები, რომელთაც ბოლო ორ არჩევნებზე „ქოცებისგან“ უამრავი დამცირება შეხვედრიათ უბნებზე სწორედ მელიას ხმების დაცვის გამო. არსებობს ვიდეო, სადაც დოკუმენტურად ჩანს, ტროლებით და ბოტებით როგორ გაიმარჯვა მელიამ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში, რაც მოწმობს, რომ მელია „ნაცმოძრაობის“ არალეგიტიმური თავმჯდომარეა. ჰკითხეთ ნებისმიერს, რამდენად შესაძლებელია პატიოსანი არჩევნების ჩატარება ფეისბუკით, რომელზე დასარეგისტრირებლად საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ ახალი ელფოსტის გახსნა! ერთსა და იმავე ადამიანს დღეში რამდენიმე ათეული ახალი იმეილით ამავე რაოდენობის ფეიკფეისბუკ ექაუნთის გახსნა შეუძლია და ზუსტად ამდენჯერვე „ხმის მიცემა“. არ მოწმდება არც აი-ფის უნიკალური ნომრები და არც არაფერი მსგავსი, რაც ტექნიკურად გამორიცხავს გაყალბების მექანიზმს. მაშინ რაღას ვერჩით პუტინის ოლიგარქს, თუ მისი მეთოდები ჩვენთვის მისაღებია? ან რომელ შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც მელია არჩევნებში თანაპარტიელ კონკურენტსა და მის მხარდამჭერებს მტრებად აღიქვამს? ამ ფონზე უდიდეს თვალთმაქცობად ჟღერს მისი უხვსიტყვაობა დემოკრატიასა და ადამიანთა უფლებების დაცვაზე.

აქსიომაა — სუფთა საქმე მხოლოდ სუფთა ხალხითა და სუფთა ხელებით კეთდება.

სააკაშვილის უკრაინაში ყოფნის დროს პარტიის პოლიტსაბჭოში ბევრი რამ უარესობისკენ შეიცვალა, საუკეთესო ადამიანები წავიდნენ: ზაზა ბიბილაშვილი, ნინო კალანდაძე, მარიამ გერსამია... ყველაზე პრინციპული, ყველაზე პატრიოტი, ყველაზე კვალიფიციური ხალხი წავიდა და დარჩნენ მელია და მისი თანამოაზრეები. ეჭვი არ მეპარება, რომ პარტიის ხელმძღვანელობაშიც ჯერ კიდევ არის პატრიოტი ხალხი, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან. ასიათასობით გულანთებული პატრიოტი კი ხელმძღვანელობას უყურებს თვალებში და მისგან აქტიურ მოქმედებებს ელოდება. ბევრი ვერც ხვდება, რა მეტამორფოზებს განიცდის პარტია.

**— ეს ფაქტები იცოდა მიშამ და ენდო?**

— მე არ ვიცი, მიშამ რა იცოდა, მე ვიცი ერთი რამ — საკადრო პოლიტიკა გადამწყვეტი რამაა. სტალინი გარეწარი კი იყო, მაგრამ ჭკვიანი გარეწარი იყო და სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. დიახ, კადრები ყველაფერს წყვეტენ, რადგან „მეფეს ამალა ქმნის“, ანუ გარემოცვა, და რაც უნდა ძლიერი და მაგარი იყოს მეფე, თუ ამალა მოწოდების სიმაღლეზე არ არის, ის არა მარტო მეფეს გადაიყოლებს, არამედ მის ნაკეთებ საქმეებსაც ნაცარტუტად აქცევს. სწორედ ამიტომ ჰყავდა დავით მეოთხეს მრჩევლად დიდი ჭყონდიდელი, ალექსანდრე მაკედონელს კი არისტოტელე. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რამდენად პრინციპულ, ერთგულ და საქმისადმი თავდადებულ გარემოცვას შემოიკრებს ლიდერი. ჩვენს შემთხვევაში ასე რომ ყოფილიყო, საქართველო ჯერ კიდევ 2016 წელს გაითავისუფლებდა თავს რუსი ოლიგარქის მარწუხებიდან, სააკაშვილს კი ციხეში თავისი ფეხით წასვლა და სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა არ მოუწევდა. შარშან გლდანის ციხეში გულყრის შემდეგ მიშა პარტიის ლიდერშიპის ხელიდან მკვდარი იყო, მის პირად ექიმს და შემდეგ სახალხო დამცველს რომ არ ეაქტიურათ და გორში არ გადაეყვანათ. სხვათა შორის, 2012 წელიც დიდწილად საკადრო პოლიტიკის შედეგი იყო, ისევე როგორც 2016 წელი და ბოკერიას მიერ პარტიის გაყოფა. იქნებ მოვიდა დრო, დავასრულოთ ეს მავნე კადრები? ჩემი აზრით, უკრაინიდან ჩამოსვლამდე მიხეილ სააკაშვილს პარტიაში უნდა დაელაგებინა საქმე, პრინციპული ხალხი დაეყენებინა პარტიის სათავეში და არა კონფორმისტები, რომელთაც კარიერისა და კომფორტის იქით სხვა ინტერესი არა აქვთ. ელემენტარულია — ვისაც მხოლოდ სკამები აინტერესებს, რაში აწყობს მიშას ციხიდან გამოსვლა? ხომ აირევა კარგად „დალაგებული პარტიული ვერტიკალი? ამიტომაც ვთვლი, რომ ბიძინაზე მეტად ნიკა მელიას ეშინია საქართველოში მიშას თავისუფლებაზე ყოფნის, მელიას, რომელიც გამუდმებით ამბობს, რომ „ხალხში მუხტი არ არის“, რაც მტკნარი სიცრუეა და მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ყველაფერი ქართველ ხალხს დააბრალდეს — მელიას კონფორმიზმიც და ივანიშვილის რეჟიმთან დე ფაქტო კოლაბორაციაც. თუმცა ცხადია, მელია მარტო არაა, მას ზურგს კოლექტიური მელიები უმაგრებენ და სწორედ ესაა შეთქმულება საქართველოს ხალხისა და პირადად მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. მე ხუთი წელი არ ვარღვევდი დუმილს, რათა ბიძინას და სუს-ის წისქვილზე წყალი არ დამესხა, მაგრამ დრომ და განსაკუთრებით სააკაშვილის დაბრუნებამ რენტგენივით გააშუქა არა მარტო ზოგადად ე. წ. პროდასავლური ოპოზიციური პარტიების უპრინციპობა, თავკერძობა და ანგარება, თავად ოდესღაც სახელოვანი „ნაცმოძრაობის“ პარტიაც.

ბევრი რამ სწორედ ბოლო თვეებში გავიგე და იდიოტი უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო ის, რაც ზედაპირზე დევს. ჩვენ იმასაც კი შეგვაგუეს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი, საქართველოს უახლესი და არა მხოლოდ უახლესი ისტორიის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, აგერ, ჩვენ გვერდზე უკანასკნელი კრიმინალივით ციხეში ზის და ჩვენ ვითომც არაფერი, ისე ვაგრძელებთ ცხოვრებას — ეს სამარცხვინო ფაქტიც კი რუტინად აქციეს და შეგვაგუეს!

**— ვინ შედის ამ კოლექტიურ მელიებში?**

— არ ვიცი. დღევანდელ პოლიტსაბჭოშიც არის წესიერი და მოტივირებული ხალხი, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ხელოვნურად და ვფიქრობ, გამიზნულად, მელიას ისეთი კულტი შეიქმნა, რომ არავის ხმა აღარ ისმის. მიშას ლანძღვა მოსულა, ბიძინას ლანძღვა მოსულა, პატრიარქისაც მოსულა, მაგრამ აბა, სცადეთ მელიას ლანძღვა კი არა, სამართლიანი და ფაქტებზე დაფუძნებული კრიტიკა, მაშინვე სენსაციად იქცევა, როგორც ჩემი ამასწინანდელი სატელევიზიო ინტერვიუს შემთხვევაში.

და ბოლოს, ვერ გავიგე, შევარდნაძის დროინდელი სუს-ის გამომძიებელი რატომ უნდა იყოს მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე, მიშას პარტიის თავმჯდომარე, რომლის ნებაზეც ჩემი, თქვენი, ჩვენი ყველას, სამშობლოს ბედია დამოკიდებული?!

დაძველდა და გაცვდა „ხმა არ ამოვიღოთ, ახლა ამის დრო არაა, ბიძინას და სუს-ის წისქვილზე წყალი არ დავასხათ“ და მსგავსი მანტრები. ბიძინას წისქვილი კი საქართველოს მომავალს ბევრად უფრო სასტიკად ფქვავს, ვიდრე ორი, სამი და ხუთი წლის წინ ფქვავდა. გამოდის, პრობლემის მიჩუმათება გამოსავალი კი არა, უფსკრულისკენ კიდევ უფრო აჩქარებული სვლაა. ხმის ამოღების დრო ნეტავ როდისღა მოვა?

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ ნებისმიერი ინსტიტუცია თუ პოლიტიკური პარტია მხოლოდ ინსტრუმენტია მოქალაქეთა ხელში, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში და თუ რომელიმე რგოლი ხალხს წყდება და საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების რეჟიმში იწყებს მუშაობას, ის რგოლი ან სამკურნალოა, ან ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს, რადგან არ არსებობს პარტია პარტიისთვის და საქართველოს სახელმწიფოს ცნება ბევრად მეტია, ვიდრე ნებისმიერი პარტია, მისი ლიდერი თუ ნებისმიერი დაჯგუფება. გამარჯვებამდე კი მხოლოდ სიმართლის გზა მიგვიყვანს.

*რუსა მაჩაიძე*

სამართალი

# „ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, რა კომენტარებს გააკეთებს „ოცნება“

*„საბოლოოდ გაცხადდა, რომ პარტია „საქართველოსთვის“ დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი არ არის. გახარიას პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ არა მოკავშირე, არამედ მისი გაგრძელებაა“, — ასეთი „ვერდიქტი“ გამოუტანა მმართველმა გუნდმა გახარიას პარტიას მას შემდეგ, რაც წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელი კორნელი სალია აირჩიეს. მმართველი გუნდის ლიდერების ვერსიით, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და გახარიას პარტიას ერთმანეთთან დე ფაქტო კოალიცია ჰქონდათ გაფორმებული და ხელისუფლების წინააღმდეგ თვეების განმავლობაში მოქმედებდნენ. ხელისუფლების ბრალდებას პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი* **ნათია მეზვრიშვილი** *პასუხობს:*



„ჩვენი უპირველესი მიზანია „ოცნება“ დემოკრატიული არჩევნებით დავამარცხოთ“

— ეს არის თავიდან ბოლომდე შეთქმულების თეორია, რომელზე საუბრითაც ხელისუფლება ცდილობს რეალურ პრობლემებზე ლაპარაკს თავი აარიდოს. მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად არათუ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ადეკვატური განცხადებაც არ გაუკეთებია. უმძიმესი, პრაქტიკულად უმართავი სიტუაციაა პანდემიის მართვაშიც, თუმცა არც მახსოვს პრემიერმა ამის შესახებ ბოლოს როდის ისაუბრა. არაფერს ამბობენ დამოუკიდებელი, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებაზე.

ერთადერთი, რაზეც ხელისუფლება რეაგირებს, საააკაშვილის გასასჯელის სკამიდან გაკეთებული განცხადება ან ფეისბუკპოსტია. როგორც ჩანს, პრობლემებზე საუბრის თავიდან ასარიდებლად ეს კარგი ხერხია.

ძალიან სასაცილოა ყოველ ჯერზე სოზარ სუბარის სცენაზე გამოყვანა. ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ სისტემურ კოალიციას არავისთან არ ვქმნით.

რაც შეეხება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ჩვენ „ოცნებასაც“ შევთავაზეთ, რომ პარტიული ინტერესები დროებით მაინც გვერდზე გადაედო და მოქალაქეების ინტერესების გულისთვის კომპრომისზე წასულიყო. ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს დაუჭირა მხარი, სულაც არ ნიშნავს, რომ კრიზისს აღარ ქმნის მუნიციპალიტეტებში. დაახლოებით 7 მუნიციპალიტეტში მოქალაქეებმა თქვეს, რომ არც „ოცნებისა“ და არც „ნაცმოძრაობის“ ხილვა არ სურთ უმრავლესობით. შესაბამისად, მათ პრობლემებზე პასუხისმგებლობა ყველამ ერთად უნდა ავილოთ. თუმცა ეს ორივე პოლიტიკური ძალა თვეების განმავლობაში უპასუხისმგებლოდ იქცევა, არათანამიმდევრულად და ვიწროპარტიული ინტერესებით მოქმედებს. არც ერთს არ სურს იმის გააზრება, რომ მოქალაქეებმა მათ გარდა სხვა პარტიებსაც დაუჭირეს მხარი. ამ ერთპიროვნული მართვისკენ მიდრეკილი პარტიებისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, როგორ შეიძლება ერთდროულად სამმა პარტიამ აიღოს მუნიციპალიტეტის მართვის პასუხისმგებლობა. ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, რა კომენტარებს გააკეთებს „ოცნება“, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტები იმართებოდეს მოქალაქეების სურვილის მიხედვით. მათ უპირატესობა მიანიჭეს სამ პარტიას და ჩვენ ამ მოცემულობას პრინციპულად დავიცავთ.

ჩვენ „ოცნებას“ კონკრეტულ თანამდებობებს — საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციებსა და კომისიებში წარმომადგენლობას ვთავაზობთ, ამ დროს ისინი იმალებიან. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მაგალითად, რუსთავში, საკრებულოს წარმომადგენლებს საკრებულოში არ უშვებენ. წარმოგიდგენიათ, როგორ ქმნიან კრიზისს?! საკუთარ მოქალაქეებს უცხადებენ ბოიკოტს.

„სისტემურ კოალიციას ყველასთან გამოვრიცხავთ, მაგრამ ყველასთან ვითანამშრომლებთ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე“

— **„ოცნება“ ვერა, მაგრამ, ასე თუ ისე, „ნაციონალების“ დაყოლიება მაინც მოახერხეთ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მაინც. რამდენად შესაძლებელია, რომ ამ პოლიტიკურ გუნდთან ან თუნდაც სხვა ოპოზიციურ ძალასთან მომავალშიც გააგრძელოთ თანამშრომლობა?**

— ჩვენ დღემდე როგორც ხელისუფლების ისე ოპოზიციის ორმაგ ცეცხლში გვიწევს გავლა. ჩვენი გადაწყვეტილებები ყოველთვის მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ინტერესებზეა მორგებული და არა „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ვიწროპარტიულ გათვლებზე.

„ნაციონალებისთვის“ სამყარო სააკაშვილის ირგვლივ ტრიალებს. დიდად არ აღელვებთ ინსტიტუციებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევეა „ოცნებაც“, საკუთარი პარტიის იქით არც ხალხი ადარდებს და არც სახელმწიფო. ჩვენ ვერც ერთი ვერ დაგვაკომპლექსებს და ვერ შეგვაჩერებს.

რაც შეეხება თანამშრომლობას, სისტემურ კოალიციას ყველასთან გამოვრიცხავთ, მაგრამ ყველასთან ვითანამშრომლებთ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტულ საკითხებზე.

— **ვადამდელი არჩევნების შესახებ როგორია თქვენი აზრი?**

— ამ საკითხზე ირაკლი კობახიძის განცხადებები მიუთითებს, რომ ხელისუფლება ილუზიაშია. არც „ნაცმოძრაობის“ პოზიციას ვიზიარებთ იმის თაობაზე, რომ ვადამდელი არჩევნები დღესვე ან ხვალ უნდა ჩატარდეს. დღეს იმდენად მძიმეა „ოცნების“ მდგომარეობა და იმდენად არის დაცლილი პოლიტიკური რესურსისგან, რომ რა ნაბიჯიც უნდა გადადგას და რაც უნდა კეთილშობილური მიზნებით მოქმედებდეს, აღარ ექნება საზოგადოების ნდობა. შესაბამისად, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია.

გართულებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე აღარაფერს ვამბობ, ინსტიტუციები იმდენად არიან დაქვემდებარებული პარტიულ ინტერესებს, რომ საბაზისო ფუნქციების შესრულებასაც ვეღარ ახერხებენ. მაგალითად, ძალოვანი უწყებები ვეღარ იცავენ მოქალაქეებს. ყოველივე ზემოთქმულის გამო მმართველი ძალა ვეღარ შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ოპოზიციის თანამიმდევრულ ქმედებებზე — თუ ძველებურად გააგრძელებენ: დღეს შიმშილობას გამოაცხადებენ, ხვალ პარლამენტს ბოიკოტს გამოუცხადებენ, ზეგ პარლამენტში კომისიას შექმნიან და მერე ისევ ბოიკოტს დააანონსებენ, ამით „ოცნების“ წისქვილზე დაასხამენ წყალს. შესაბამისად, ჩვენ ოპოზიციის ასეთ არათანამიმდევრულ ნაბიჯებს ვემიჯნებით.

პარტია „საქართველოსთვის“ უპირველესი მიზანია „ოცნება“ დემოკრატიული არჩევნებით დაამარცხოს და ქვეყანაში პოლიტიკური მოცემულობა ამ გზით შეცვალოს.

# „ნაციონალების“ პროევროპულობა არსად გაიშვას, მაგათ დამართეს საქართველოს დაუმართებელი“

*„გამაოგნებელი!“ — ასე შეაფასეს ოპოზიციონერმა ლიდერებმა და ანალიტიკოსების ერთმა ნაწილმა საქართველოში ევროპარლამენტარების ვიზიტის გაუქმება. შეგახსენებთ, რომ საქართველოში 21-22 იანვარს დაგეგმილი ევროპარლამენტარების ვიზიტი გაუქმდა. „როგორც ჟან მონეს დიალოგის თანაფასილიტატორები, ვწუხვართ, რომ 21-22 იანვარს დაგეგმილი ვიზიტი თბილისში არ გაიმართება, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ვერ გამონახა დრო, რომ მოლაპარაკებაში ჩაერთოს“, — ნათქვამია ევროპარლამენტარების ვიოლა ფონ კრამონის, მირიამ ლექსმანისა და მარინა კალიურანდის განცხადებაში. პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის განმარტება, რომ ვიზიტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებული არ იყო, დამაჯერებელი არ აღმოჩნდა ოპოზიციისთვის. ოპოზიციონერი ლიდერების შეფასებით, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ევროსტრუქტურებთან თანამშრომლობას მიზანმიმართულად არიდებს თავს.*

*ოპოზიციის ბრალდებებს მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი,* **ირაკლი ძადამიძე** ***ქადაგიშვილი*** *პასუხობს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც გვესაუბრება.*

**„როცა ორი დღით ადრე ეუბნები პარლამენტის თავმჯდომარეს, რაღაც ფორმატს ვიწყებო, და ეს ფორმატი ამ დროს სულ სხვა რეჟიმში და დონეზე უნდა შეთანხმდეს, რა თქმა უნდა, არ არის კორექტული დამოკიდებულება საქართველოს პარლამენტის მიმართ. ჩვენ ევროპარლამენტთან ყველა ფორმატში ვთანამშრომლობთ. ამ ფორმატშიც იგივე გაგრძელდება, ოღონდ იმ წესის მიხედვით, რა წესიც არის ამ ფორმატისთვის მიღებული. ეს ვიზიტი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებული არ იყო...**

— ოპოზიციის მიზანი „ქართული ოცნების“ მუდმივი დისკრედიტაციაა, ამიტომ მათ რაც უნდა გარკვევით აუხსნა სიმართლე, რიტორიკას მაინც არ შეცვლიან. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის აბუჩად აგდება და თქმა, დრო ვერ გამონახა ან ვერ მოიცალა ევროპარლამენტარებისთვისო, კორექტული არ არის. სიმართლე არის ასეთი — ეს დიალოგი უნდა შედგეს ევროპარლამენტის პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შორის. ეს არის ამ დიალოგის ფორმატი, რაც კონფიდენციალურობასაც გულისხმობს იმ დონეზე, სანამ ამ დიალოგის ფორმატისა და ჩარჩოს მიმართულებები შეთანხმდება პარლამენტის თავმჯდომარეებს შორის.



იმავდროულად, ხდება დღის წესრიგისა და დელეგაციების შეთანხმებაც. ჩვენგან იყო შესაბამისი წერილი და ახსნა-განმარტება, იქითა მხრიდანაც არსებობს ურთიერთგაგება. ეს დიალოგი ემსახურება არა პოლარიზაციის გაღრმავებას, რა სურათიც ახლა ქართულ სინამდვილეში გადმოთარგმნილი მივიღეთ, არამედ ემსახურება პოლარიზაციის შემცირებას და პარლამენტში პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის დაწყებასა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას. როცა ორი დღით ადრე ეუბნები პარლამენტის თავმჯდომარეს, რაღაც ფორმატს ვიწყებო, და ეს ფორმატი ამ დროს სულ სხვა რეჟიმში და დონეზე უნდა შეთანხმდეს, რა თქმა უნდა, არ არის კორექტული დამოკიდებულება საქართველოს პარლამენტის მიმართ. ჩვენ ევროპარლამენტთან ყველა ფორმატში ვთანამშრომლობთ. ამ ფორმატშიც იგივე გაგრძელდება, ოღონდ იმ წესის მიხედვით, რა წესიც არის ამ ფორმატისთვის მიღებული. ეს ვიზიტი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებული არ იყო.

„ხომ ითხოვენ რიგგარეშე არჩევნებს, ჰოდა, არაფერია გამორიცხული, შეიძლება მიიღონ კიდეც“

— **თქვენი ვერსიით, ევროპარლამენტარები ცდილობენ ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე პოლარიზაციის გაზრდას?**

— ამ ევროპარლამენტარებს უკვე დიდი ხანია ვიცნობთ და ვიცით, რომ მათი პიროვნული დამოკიდებულება და პოზიცია არ არის ყველასთვის მისაღები, ხან ოპოზიციისთვის, ხან ხელისუფლებისთვის. მე არ ვიცი, რა არის ამაში გაურკვეველი, რატომ გვინდა ჩვენი თავი დავიზიანოთ? ისე კი „ნაციონალების“ პროევროპულობა არსად გაიშვას, მაგათ დამართეს საქართველოს დაუმართებელი. თუ რამე სტრატეგიული ობიექტი გვქონდა, ყველა გადასცეს რუსეთს, ტერიტორიებზე აღარაფერს ვამბობ. ერთი ჯიხური მაინც დამისახელეთ, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გადასცა რუსეთს.

„ნაციონალური მოძრაობა“ არის ყველაზე მავნე, დესტრუქციული და დამანგრეველი ძალა, რომელიც სხვების გასპრასაც ცდილობს.

ხომ ხედავთ, რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გიორგი გახარიას პარტია?!

— **რას გულისხმობთ?**

— გახარიას პარტია, რომელიც ფაქტობრივად კოალიციაშია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, 14-მა წევრმა ერთდროულად დატოვა. როგორც ჩანს, ეს ხალხი გახარიას პრონაციონალურ პოლიტიკას გაემიჯნა.

— **თქვენმა გუნდმა გახარიას „ნაციონალებთან“ შეთქმულებაში დადანაშაულება მას შემდეგ დაიწყო, რაც თავად დატოვა თქვენი გუნდი...**

— გუნდის რთულ პერიოდში მიტოვებით, ნიკა მელიას გადარჩენის ცდით, შემდეგ კი არჩევნებში კალაძისთვის ხმების გაყოფით გამოამჟღავნა მან თავი. ახლა კი მუნიციპალიტეტებში ალიანსის შეკვრით საბოლოოდ ნათელი მოჰფინა ყველაფერს.

— **პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერები ამბობენ, რომ „ნაციონალების“ მსგავსად თქვენც შემოგთავაზათ მუნიციპალიტეტებში თანამშრომლობა. მეტიც, კონკრეტულ თანამდებობებზეც კი იყო საუბარი.**

— გამორიცხულია, ჩვენ „ნაციონალებთან“ არ ვითანამშრომლებთ.

— **თუ მოსახლეობას სურს, რომ მმართველობა სამმა ძალამ, „ოცნებასთან“ ერთად „ნაცმოძრაობამ“ და პარტიამ „საქართველოსთვის“ გადაინაწილოს?**

— ჩვენ არ ვართ ვალდებული, კოალიციაში ვიყოთ.

— **მაშ როგორ უნდა ამოიწუროს 7 მუნიციპალიტეტის საკრებულოში კრიზისი?**

— არავითარი კრიზისი არ იქნება. როდესაც თავმჯდომარის არჩევა ვერ ხერხდება, ახალი არჩევნები ტარდება.

— **ე.ი. თქვენ შვიდ მუნიციპალიტეტში ხელახალ არჩევნებს აანონსებთ?**

— ხომ ითხოვენ რიგგარეშე არჩევნებს, ჰოდა, არაფერია გამორიცხული, შეიძლება მიიღონ კიდეც.

*მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*

# როგორია მენტალურად ღარიბი და მდიდარი ადამიანების ფსიქოპორტრეტი



*რა განსხვავებაა მდიდარი და ღარიბი ადამიანების ფსიქოლოგიას შორის და მოქმედებს თუ არა სიმდიდრე და სიღარიბე ადამიანის ან ერის ბედნიერებასა თუ მენტალობაზე? ამ თემაზე სასაუბროდ „კვირის პალიტრა“ ფსიქოლოგ **ირინე ტაბუციძეს** დაუკავშირდა.*

— ფსიქოლოგები თვლიან, რომ მდიდარ ადამიანს აქვს უნარი, განსაზღვროს მომავალი. იმას ვგულისხმობ, რომ დღევანდელი კვერცხის პრინციპით არ იცხოვროს და რასაც იშოვის, დღესვე არ დახარჯოს, შეძლოს განაწილება, გათვალოს, დღევანდელი ინვესტიცია თუ საქმე მომავალში რა შედეგსა და მოგებას მოუტანს. ანუ მდიდარი ადამიანები, ან ფსიქოლოგიურად სიმდიდრისკენ მიდრეკილნი ყოველთვის აკეთებენ გათვლებს. გარდა ამისა, ახასიათებთ შემოსავლის ნაწილის გადადება, რაც უნდა მინიმალური იყოს შემოსავალი, რათა თავდაცვისთვის მარაგი ჰქონდეთ.

ითვლება, რომ საშუალოდ ეს არის შემოსავლის 10% მაინც, რომელიც რეგულარულად უნდა გადადო. ეს არ გაზარალებს, სამაგიეროდ, დროთა განმავლობაში გროვდება...

**— ეი, მე რომ ხელფასი ალების მეორე დღეს აღარ მაქვს, ეს მხოლოდ ჩემი და ღარიბის მენტალიტეტის ბრალია?**

— სიღარიბეს აქვს ზოგადი განმარტება. ითვლება, რომ თუ ადამიანი ხელფასის 50%-ზე მეტს ხარჯავს საკვებსა და აუცილებელ ნივთებზე, მაშინ ის ღარიბია. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ბევრია ამ მდგომარეობაში. გადადებაზე ლაპარაკიც აღარ არის, ადამიანებს თვიდან თვემდე თავი ძლივს გააქვთ...

მაგრამ მაინც ითვლება, რომ სიმდიდრისკენ მიდრეკილ ადამიანს გათვლა შეუძლია — შეიძლება დღეს ჰქონდეს რაღაც შემოსავალი, მაგრამ უარი არ თქვას სხვა სამსახურზე, სადაც შეიძლება იგივე ან ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს, ოღონდ ის პერსპექტივაში მეტ მოგებას იძლეოდეს პროფესიული ზრდის, ან მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ანუ განსხვავება მდიდრისა და ღარიბის ფსიქოლოგიას შორის არის დროისა და ფულის მიმართ დამოკიდებულება. ერთ დღეში დავხარჯო, რაც მაქვს, თუ გავთვალო, ხვალ რა და როგორ ვქნა, რომ უკეთესად ვიყო? ყველაფერი უნდა გავთვალოთ ისე, როგორც ჭადრაკის პარტიას თვლიან. რაც უფრო მეტის გათვლა შეგიძლია, მით მეტია ალბათობა, რომ საქმიანობა მომავალში მეტ მოგებას მოიტანს.

**— ანუ დღეს შეიძლება ხმელა პური ვჭამო და მაინც მდიდრად, უფრო სწორად, მენტალურად მდიდრად ვითვლებოდე?**

— დიახ, შეიძლება დღეს ვჭამოთ ხმელა პური, მაგრამ ვიცოდეთ, რომ ხვალ და ზეგ ეს ხმელა პური ისევ გვექნება, ვიდრე დღეს ვჭამოთ კარაქიანი პური, მაგრამ ვიცოდეთ, რომ ხვალ და ზეგ შიმშილობა მოგვიწევს.

**— ანუ დამოკიდებულება, „ეს ბოლო შემოსავალია და მოდი, მამაპაპურად მოვილხინოთ“, მენტალურ სიღარიბეზე მიუთითებს?**

— შეგვიძლია ასეც ვთქვათ. თუ სიმდიდრეს დავუკავშირებთ წარმატებას (არ ვგულისხმობ ერთბაშად ნაშოვნ ფულს, მემკვიდრეობით მიღებულს და ა.შ., არამედ როდესაც ფულს საკუთარი შრომის შედეგად ვიღებთ), რა თქმა უნდა, ფულის შოვნის შემდეგ ადამიანს წარმატებულობის განცდა უჩნდება და ის პიროვნულადაც იზრდება.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მარცხს ყველა ერთნაირად განიცდის, ოღონდ წარმატებისკენ მიდრეკილი ადამიანი განსხვავდება იმით, რომ მას შეუძლია წინასწარ გათვალოს მოსალოდნელი შედეგი და ყოველთვის აქვს მეორე ვარიანტი, ასე ვთქვათ, გეგმა. წარმატებულ ადამიანს თუ რაღაც არ გამოუვიდა, ის იწყებს ყველაფრის გაანალიზებას და ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს, რომ იგივე შეცდომა არ დაუშვას. სამწუხაროდ, ბევრი წარუმატებელი ადამიანი ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, მერე კი თავის წარუმატებლობას აბრალებს ბედს, იღბალს, მთავრობას...

**„განსხვავება მდიდრისა და ღარიბის ფსიქოლოგიას შორის არის დროისა და ფულის მიმართ დამოკიდებულება. ერთ დღეში დავხარჯო, რაც მაქვს, თუ გავთვალო, ხვალ რა და როგორ ვქნა, რომ უკეთესად ვიყო?**

წარუმატებელი ადამიანისთვის დამახასიათებელია ერთი რამ — ზუსტად იცის, რომ რაღაცას უნდა მიაღწიოს, ეს რაღაც უნდა და ისეა აღტირებული ამ რაღაცით, არც კი ფიქრობს, ეს თუ არ გამოუვიდა, მერე რა ქნას. შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ... ვთქვათ, დღეს კაცი იღებს დიდ ვალს, მაგრამ არ ფიქრობს, ხვალ როგორ დაფაროს, ანუ რისკი გათვლილი არა აქვს. წარმატებული ადამიანიც რისკავს, მაგრამ მან იცის, როგორ მოიქცეს მარცხის შემთხვევაში. არ ვამბობ, რომ არასდროს გარისკო, მაგრამ უნდა იცოდე, როგორ მოიქცე, თუ რისკმა არ გაამართლა.

**„არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ფული მიაჩნიათ სტატუსის მაჩვენებლად. ასეთი ადამიანი მშიერი დარჩება, მაგრამ „ჯიპით“ ივლის და ბოლო მოდელის მობილურს იყიდის, რომ სხვამ აღიაროს, როგორც მდიდარი. ასეთ პიროვნებასაც ღარიბის ფსიქოლოგია აქვს“**

**— ქართველებს გვიყვარს ხელგაშლილი ცხოვრება. ეს რაზე მეტყველებს?**

— ხშირად უმრავლესობას გეგმა არ გაგვაჩნია. ისიც საყურადღებოა, რომ საბჭოთა დროს ბავშვებს ზრდიდნენ იდეოლოგიით, რომ ფულზე არ უნდა გელაპარაკა, ფული არ უნდა გნდომებოდა, რომ ეს იყო „მეშჩანობა“. ფულისადმი ჩამოყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულება, რაც სწორი არ არის. ფული არის მაჩვენებელი იმისა, როგორ ვმუშაობ, ვარ თუ არა წარმატებული იმ საქმეში, რასაც ვაკეთებ.

შესაძლოა, ევროპაში მცხოვრებ ჩემი პროფესიის ადამიანს გაცილებით მეტი შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველგან ფული აჩვენებს, როგორ ვიყენებ მე ჩემს შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, ფულში არ არის ბედნიერება, მაგრამ როდესაც რაღაც გიჭირს, ან ავად ხარ, ფული არის საუკეთესო გამოსავალი...

არის კატეგორია, რომელთათვის მთავარი ღირებულება ფულია — ადრე მუთაქებში აგროვებდნენ, ახლა, ალბათ, ბანკებში, ზოგი უძრავ ქონებას ყიდულობს — ამიტომ აგროვებენ, მაგრამ კაპიკს ვერასდროს გააგდებინებ. ასეთი ადამიანი მდიდარია, ოღონდ ღარიბის ფსიქოლოგია აქვს.

არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ფული მიაჩნიათ სტატუსის მაჩვენებლად. ასეთი ადამიანი მშიერი დარჩება, მაგრამ „ჯიპით“ ივლის და ბოლო მოდელის მობილურს იყიდის, რომ სხვამ აღიაროს, როგორც მდიდარი. ასეთ პიროვნებასაც ღარიბის ფსიქოლოგია აქვს.

**— არსებობს მენტალურად მდიდარი და ღარიბი ქვეყნები?**

— თუ ქვეყანაში ძალიან ბევრი ღარიბი ადამიანია, მაგალითად, მოსახლეობის 70-80%, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა ღარიბია. თუ წლებია, ასე გრძელდება, ეს ქვეყანა ცხოვრობს ღარიბის ფსიქოლოგიით, რომელსაც მომავალი გათვლილი არა აქვს. მიიჩნევა, რომ თუ ქვეყანა მომავალი თაობის განათლებაში დიდ ინვესტიციას არ დებს, ის განწირულია სიღარიბისთვის...

როდესაც რომელიმე ქვეყანაში ინვესტიციას გეგმავენ, მას წინასწარ შეისწავლიან. მაგალითად, აფრიკის რამდენიმე ქვეყანაზე ამბობენ, რომ იქ ინვესტიციას აზრი არა აქვს. ქვეყანა იქცევა ზუსტად ისე, როგორც ცალკეული ღარიბი ინდივიდი. ასეთ ქვეყნებშიც იბადებიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ დიდი კაპიტალი დააგროვონ, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის. რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით მეტი ადამიანი მიდის იქიდან ისეთ ქვეყნებში, სადაც ცოდნას გამოიყენებს... როდესაც თანამედროვე აყვავებულ ქვეყნებს ვახსენებთ, მაგალითად, შვეიცარიას, ცხადია, ვხვდებით, რომ იქ ყველაფერი ერთ დღეში არ მომხდარა. ამას წინ უძღოდა უდიდესი ძალისხმევა, თავაუღებელი შრომა, მიზნისკენ სწრაფვა, ქვეყნისა და საქმის სიყვარული.

ცხოვრების გაუმჯობესება პატარა რაღაცებით იწყება. ერთ მშვენიერ დღეს ფული თავზეც რომ დაგაყარონ, ეს გამოსავალი არ არის. ამ ერებმა ძალიან ბევრი იშრომეს და ინვალეს, რომ ასე ეცხოვრათ. ჩვენ ეს ყველაფერი ჯერ არ დაგვიწყია. ეს განსხვავებაა ჩვენ შორის. უშრომლად არაფერი მოდის, ჩვენ კი, სამწუხაროდ, შემგუებელი ერი აღმოვჩნდით, თუმცა სხვა უპირატესობა გვაქვს — მეტისმეტად გამძლეები აღმოვჩნდით და კრიტიკულ სიტუაციაში მაინც სწორად ვიქცევით. ჩვენ ჩვენი მდე-

**„არის კატეგორია, რომელთათვის მთავარი ღირებულება ფულია – ადრე მუთაქებში აგროვებდნენ, ახლა, ალბათ, ბანკებში, ზოგი უძრავ ქონებას ყიდულობს – ამიტომ აგროვებენ, მაგრამ კაპიკს ვერასდროს გააგდებინებ. ასეთი ადამიანი მდიდარია, ოღონდ ღარიბის ფსიქოლოგია აქვს“**

ბარეობისა და სხვა რაღაცების გამოც მეტი პრობლემა გვაქვს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანას. ჩვენი ისტორია გადარჩენისთვის ბრძოლაა. ჯერ ვერ მივედით იქამდე, რომ ვიფიქროთ, აი, უკვე გადავრჩით, ფეხზე მყარად ვდგავართ, აღარაფერი გვემუქრება და ახლა ცხოვრების გაუმჯობესება დავიწყოთო. სულ ვიბრძვით, თუმცა არ ვკარგავთ იმედს, რომ როდისმე ყველაფერი კარგად იქნება და შვეიცარია თუ არა, ისეთი ქვეყანა მაინც ვიქნებით, სადაც მშვიდად ცხოვრებას შევძლებთ.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: მენტალურად ღარიბი ქვეყნებიც და ადამიანებიც მცირედით არიან კმაყოფილი. დღეს ნაშოვნი ორი ლუკმა აკმაყოფილებთ და შეუძლიათ, თავი ბედნიერად მიიჩნიონ. ხშირად თავს იმითაც იმშვიდებენ, რომ გაჭირვების მიუხედავად, მხიარულება, ცეკვა, გართობა შეუძლიათ, მაგრამ ხომ არ შეიძლება სულ ასე იყოს?! ასეთ ერებს, ადამიანებს, ქვეყნებს მომავალი გათვლილი არა აქვთ. ისინი არაფერს გეგმავენ იმისთვის, რომ ხვალ უკეთესად იყვნენ. კუბის მაგალითი მომყავს ხოლმე. იქ მძიმე სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ადამიანები შეეჩვივნენ ამას და განვითარებასაც არ ცდილობენ. მიიღეს ის ყველაფერი, რაც აქვთ. სადაც მუსიკას ჩართავ, ყველგან ცეკვავენ. ბედნიერების ხარისხიც, ალბათ, ჩვენთან შედარებით მაღალი აქვთ, მაგრამ მე მაინც მგონია, ჩვენ გაცილებით უკეთესად ვართ, იმიტომ, რომ სულ ვიბრძვით. ეს ცუდი არ არის, პირიქით, მე მირჩევნია იშვიათად ვცეკვავდეთ და ხშირად ვიბრძოდეთ უკეთესი მომავლისთვის, ვიდრე შეგუებული ვიყოთ ყველაფერს და მოგვწონდეს კიდეც ჩვენი მძიმე ცხოვრება.

**„მენტალურად ღარიბი ქვეყნებიც და ადამიანებიც მცირედით არიან კმაყოფილი. დღეს ნაშოვნი ორი ლუკმა აკმაყოფილებთ და შეუძლიათ, თავი ბედნიერად მიიჩნიონ. ხშირად თავს იმითაც იმშვიდებენ, რომ გაჭირვების მიუხედავად, მხიარულება, ცეკვა, გართობა შეუძლიათ, მაგრამ ხომ არ შეიძლება სულ ასე იყოს?! ასეთ ერებს, ადამიანებს, ქვეყნებს მომავალი გათვლილი არა აქვთ. ისინი არაფერს გეგმავენ იმისთვის, რომ ხვალ უკეთესად იყვნენ... მე მირჩევნია იშვიათად ვცეკვავდეთ და ხშირად ვიბრძოდეთ უკეთესი მომავლისთვის, ვიდრე შეგუებული ვიყოთ ყველაფერს და მოგვწონდეს კიდეც ჩვენი მძიმე ცხოვრება...**

**— ჩვენი ფინანსური მდგომარეობა როგორ მოქმედებს ჩვენი ბედნიერების ხარისხზე? ბედნიერი ერების ჩამონათვალი ყოველწლიურად ქვეყნდება.**

— ჩვენ ამ ჩამონათვალში ძალიან ქვევით ვართ და ეს დამოკიდებული არ არის მხოლოდ ფინანსებზე. ბედნიერების განცდას, ძირითადად, აყალიბებს თვითრეალიზაცია. ამის ნაწილია ფულადი შემოსავალიც, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობს მაშინ, როდესაც თავის მოთხოვნილებებს, სურვილებს იკმაყოფილებს, აკეთებს საყვარელ საქმეს და ახერხებს განვითარებას.

პოზიტიური ფსიქოლოგიის მიმდევრები ამბობენ, რომ ჩვენი ბედნიერების შეგრძნება დაახლოებით 50%-ით დამოკიდებულია გენეტიკაზე, ანუ თუ მშობლები და წინაპრები თავს ბედნიერად გრძნობდნენ, დიდი ალბათობით, ეს ბედნიერების განცდა ბავშვსაც მოჰყვება და მერე უკვე ამას დააშენებს თავის მომავალს. ჩვენ ისტორიული პრობლემების გამო, სამწუხაროდ, მაინცდა მაინც ბედნიერი ერი არ ვართ, ამიტომ მეტი წვალება გვჭირდება, რომ თავი ბედნიერად ვიგრძნოთ.

**— ბედნიერების ფორმულა როგორია?**

— როგორც ვთქვით, 50% გენეტიკაა; 10% მოდის იმ რეალობაზე, რომელშიც ვიბადებით და რომლის არჩევა ჩვენ არ შეგვიძლია, ანუ როგორ ოჯახში გავჩნდით, როგორი ნათესავების გვერდით, რომელ ქვეყანაში; 40% მოდის იმაზე, ჩვენ თვითონ რას ვაკეთებთ საკუთარი ბედნიერებისთვის, როგორ ვირჩევთ მეგობრებს, სანათესაოს ვიღებთ, როგორც მოცემულობას თუ შეგვიძლია ეს წრე გავფილტროთ და უკეთესი ცხოვრება შევიქმნათ. ასევე მნიშვნელოვანია, შეგვიძლია თუ არა ჩვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, პროფესიითა თუ ადამიანებთან ურთიერთობით სიხარულის განცდა. თუ ამ ყველაფერს ვახერხებთ, შეგვიძლია კმაყოფილიც ვიყოთ და ბედნიერიც.

დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ჯერ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ფეხმორთხმული ვისხდეთ და ველოდოთ, როდის ვიქნებით მდიდრები და როდის ვიცხოვრებთ კარგად. ეს მხოლოდ ჩვენი გასაკეთებელია.

*ეკა სალაღაია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკუპირებულ რეგიონში...

# „კოვიდთან“ ერთად ცხინვალში პოლიტიკური ვითარება მწვავდება



**ცხინვალის რეგიონში კორონავირუსის სხვადასხვა შტამის უკონტროლო გავრცელების გამო სკოლები და საბავშვო ბაღები დაიკეტა. ადგილობრივი მედიის ცნობით, სასწავლო პროცესი ერთი კვირის წინ აღდგა, თუმცა ეპიდვითარების გამწვავების გამო ყველაფერი დაიხურა. ცხინვალელების თქმით, „კოვიდი“ გავრცელებულია სასჯელაღსრულების, სამედიცინო დაწესებულებებსა და ძალოვან უწყებაში.**

**ოსური საინფორმაციო სააგენტო „res“-ის ცნობით, ცხინვალის საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე ზარინა ტუაევა აცხადებს, რომ რეგიონში ვითარება ყოველდღიურად მძიმდება. ცხინვალის სამედიცინო ცენტრის წითელ ზონაში“ 50-მდე კაცი მკურნალობს. გადავსებულია რეანიმაციული განყოფილებაც. გასულ კვირას სანიტარიული სამსახურის ლაბორატორიაში „კოვიდით“ ინფიცირებული 200-ზე მეტი მოქალაქე გამოვლინდა.**

ცხინვალელები სოცქსელებში წერენ, რომ სინამდვილეში ვითარება ბევრად მძიმეა, ვიდრე „ოფიციალურ მონაცემებში“ ჩანს.

„სულ რამდენიმე ათასი კაცი ვართ, დაღუპულების რაოდენობას არასდროს აცხადებენ, მაგრამ ცხინვალი პატარა ქალაქია და ერთმანეთისგან ვიგებთ, რომ ვილაცებს ოჯახის წევრები დაელუპათ. არც ის იციან, რა შტამები და ვარიანტებია გავრცელებული, არც აცრილების შესახებ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, რადგან აცრის ყალბი დოკუმენტები ნაცნობობით, „პატივისცემით“, ფულითა და უამრავი მაქინაციით იშოვება. სინამდვილეში შესაძლოა სულ რამდენიმე ათეული კაცი იყოს აცრილი, ისიც მხოლოდ პირველი დოზით, რადგან რეგიონში „სპუტნიკს“ არ ენდობიან. ინფიცირებულთა მიმღები განყოფილებები გადატვირთულია. სავარაუდოდ, უკვე შემოსულია ახალი შტამიც, ინფიცირებულთა შორის ბავშვებიც არიან. სრული ქაოსია და გამკითხავი არავინ არის, რადგან ხელისუფლებაც და ოპოზიციაც პოლიტიკურ საკითხებზე არიან გადართული“, — წერს სამოქალაქო აქტივისტი ირინა კოჩიევა.

ცხინვალელების თქმით, პანდემიის კვალდაკვალ რეგიონში პოლიტიკური ვითარებაც მწვავდება. ოპოზიცია ანატოლი ბიბილოვს ქართულ მხარესთან „საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხს ედავება“, მას ღალატში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონის ლიდერი „საქართველოსთვის ტერიტორიების გადაცემას დათანხმდა“. გასულ კვირას ოპონენტებმა მისი იმპიჩმენტიც მოითხოვეს.

> **ოპოზიცია ანატოლი ბიბილოვს ქართულ მხარესთან „საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხს ედავება“, მას ღალატში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონის ლიდერი „საქართველოსთვის ტერიტორიების გადაცემას დათანხმდა“. გასულ კვირას ოპონენტებმა მისი იმპიჩმენტიც მოითხოვეს...**

ბიბილოვის თქმით, „საზღვრის“ საკითხთან დაკავშირებული კრიზისი მისი წინამორბედების დროს დაიწყო და ამ გაუგებრობაში მას წვლილი არ მიუძღვის. თუმცა „საპარლამენტო ოპოზიცია“ ირწმუნება, რომ ის ქართული მხარისთვის „სამხრეთ ოსეთის საკუთრებაში არსებული 200 კილომეტრის, ანუ სამხრეთ ოსეთის კუთვნილი ტერიტორიის 5%-ის დათმობას აპირებდა“.

ოპოზიცია ამბობს, რომ „სამხრეთ ოსეთის საზღვრების განმსაზღვრელია საბჭოთა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 29 აპრილის დეკრეტი №2 — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფორმირების შესახებ არსებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი საზღვარი ბევრად დიდ ტერიტორიას უნდა მოიცავდეს, ვიდრე არსებული ან პრეზიდენტის შემოთავაზებული კანონის მიხედვით შემუშავებული საზღვარია“.

ანატოლი ბიბილოვი კი ირწმუნება, რომ სამხრეთ ოსეთი სსრკ-ის დროინდელ რუკაზეც განსხვავებულად არის დატანილი, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის აღიარებაზე — მოსკოვმა 2008 წელს ჩვენი დამოუკიდებლობა 1990 წელს არსებული საზღვრების ფარგლებში აღიარა.

ekhokavkaza.com-ის ოსური განყოფილების ცნობით, დაბნეულობას იწვევს ისიც, რომ სსრკ-ის დროსაც არსებობდა ერთმანეთს აცდენილი რუკები, რადგან მათ სხვადასხვა დაწესებულებაში ადგენდნენ, „ვინაიდან მაშინ საქართველო და სამხრეთი ოსეთი ერთ ქვეყანას წარმოადგენდნენ, ცდომილებებს ყურადღებას არავინ აქცევდა“.

ლაპარაკია 2019 წლის აგვისტოში ქართული მხარის მიერ სოფელ წნელისის მიდამოებში გამართულ საგუშაგოზე, რომელსაც ე.წ. სამხრეთი ოსეთი უკანონოს უწოდებს და მის დემონტაჟის საკითხს ჟენევის შეხვედრაზე გამუდმებით აყენებს.

მოსახლეობის ცნობით, ბიბილოვს განსაკუთრებით მწვავედ ებრძვიან ყოფილი „პრეზიდენტის“ — ედუარდ კოკოითის „სახალხო პარტიის“ წევრები. კოკოითს ისევ სათავეში დაბრუნება სურს და შესაბამისად, მისი ბრძოლა ობიექტური ვერ იქნება.

„ყველამ კარგად იცის, რომ ბიბილოვის ხელისუფლება წნელისის ტერიტორიაზე კონტროლს ველარ დაიბრუნებს. ამას რუსეთშიც ეუბნებიან, მისი დაბრუნება ლენინგორის მოსახლეობაზე წნეხით შეგეძლოო, მაგრამ გაუძლეს. უფრო სწორად, ვინც გაუძლო, დარჩა, უამრავმა, როგორც ქართველმა, ასევე ოსმა, იქაურობა დატოვა. წნელისი მიზეზია, სინამდვილეში ბიბილოვი თავისი კორუფციით ყველას ყელში ამოუვიდა და მის მოსაშორებლად საბაბს ეძებენ. ყველა მხრივ ჭაობში ვართ: „კოვიდი“ გვიტევს, ხალხი იხოცება და სტატისტიკასაც არავინ აცხადებს“, — ამბობს მერი დიაკონოვა.

ლალი პაპასკირი



იკითხეთ პრესის გავრცელების წერტილებში; ან შეიძინეთ ონლაინ www.palitral.ge საიტიდან და ისარგებლეთ სახლში მიტანის სერვისით; ტელ: +995 32 238 38 71.
პალიტრა L

# ცხოვრება ნაგავსაყრელზე

**„გალელებს ნარჩენების ქართულ მხარეს გადატანა უფრო რეალური გვგონია, ვიდრე გულრიფშის დახურული ნაგავსაყრელის აშენება...“**

*ნაგავსაყრელი ის პრობლემაა, რომელიც გალის მოსახლეობას ცხოვრებას უფრო მეტად უმძიმებს. თითქოს მუდმივი დაუცველობის განცდა არ ჰყოფნიდეთ, აუტანელ სუნს ვერაფერს უხერხებენ. სოხუმელები დიდხანს ჩიოდნენ, რომ ნაგავსაყრელის გამო ტურისტები ქალაქის ზოგ ქუჩაში გავლისგან თავს იკავებდნენ, რადგან აუტანელი სუნი იდგა. ეს მოსახლეობას ფინანსურად აზარალებდა და რაც მთავარია, ჯანმრთელობას ურყევდა. ამის გამო აქციებიც გამართეს — ცენტრალური გზა გადაკეტეს და ნაგავსაყრელთან მორიგეობაც დააწესეს, რომ ვინმეს ახალი ნაგავი არ მიეტანა. 2019 წელს აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობამ „გამოსავალი“ იპოვა და სოხუმის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გალში გატანა გადაწყვიტა. ამით სოხუმელების გული მოიგო, გალელებზე კი არც უფიქრია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გალელის კრიტიკულ პოსტს, რომ გალში ღია ცის ქვეშ დაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები მალე გალელებსაც შეურყევს ჯანმრთელობას.*





*გაგრაში, სოფელ ალახაძესთან, ყველაზე დიდი და ძველი ნაგავსაყრელია, გარშემო კი მჭიდრო დასახლებებია...*

**„გალში, ნაგავსაყრელის გარშემო 1500-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. ვსვამთ ჭის წყალს, რომელშიც არავინ იცის, რამდენი ტოქსიკური ნივთიერება ჩაედინება. ჩვენი საქონელი ნაგავსაყრელზე იკვებება. ზაფხულში ქვეწარმავლები და ვირთხები სახლში გვიცვივდებიან. ონკოლოგიური პრობლემები უკვე ბავშვებსაც დაეწყოთ“**

რეგიონში სულ სამი ნაგავსაყრელია — გაგრაში, ოჩამჩირესა და გალში. აფხაზეთის ქალაქებიდან ნაგავს ამ სამ ნაგავსაყრელზე ეზიდებიან. გაგრაში, სოფელ ალახაძესთან, ყველაზე დიდი და ძველი ნაგავსაყრელია, რომელიც სულ იწვის და მომწამვლელ სუნს აფრქვევს, გარშემო კი მჭიდრო დასახლებებია. გაგრელი ხიმცა კიუტი აფხაზურ მედიასთან ამბობს, რომ ნაგავსაყრელს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, 60 წელზე მეტია, დიდი ტერიტორია უკავია.

„ნორმალურ ქვეყანაში ამ ხნის განმავლობაში ნაგავსაყრელი უნდა დაეკეტათ, მაგრამ ჩვენთან ხომ განუკითხაობაა. როდესაც ნაგავი მიმოიფანტება, ვაგროვებთ და ვწვავთ, რომ ნაგავი ეზოში არ შემოგვიცვივდეს. საიდან არ ეზიდებიან: გაგრიდან, გუდაუთიდან თუ ახალი ათონიდან. ნაგავსაყრელიდან პირველი სახლი ზუსტად ას მეტრშია. ჩვენი ხელისუფლების მტკიცებით კი ალახაძე საკურორტო დასახლებაა... წყალი არა გვაქვს, ყველა ოჯახი ჭის წყალს ხმარობს, ანუ ვსვამთ ნაგვის ნაწრეტ წყალს. როდესაც ნაგავს ცეცხლს ვუკიდებთ, კვამლი 100 მეტრზე მაინც ადის, გაგრის კემპინგსაც სწვდება და ბზიფის ავტოსაგზაო სამსახურის შენობამდეც მიდის. უკვე ყოველ მეათე ოჯახში ონკოპაციენტია, რომლებიც სამკურნალოდ საქართველოში გარბიან. ვცხოვრობთ ნაგავსაყრელზე, რომელსაც საკურორტო ზონა ჰქვია“, — ამბობს კიუტი.

რამდენიმე წლის წინ რუსეთის საინვესტიციო პროგრამაში გაგრის ნაგავსაყრელის მოსაწესრიგებლად თანხა უნდა გამოეყოთ, თუმცა „პროექტი“ ქაღალდზე დარჩა. „ამდენი წელია ვიბრძვით ამ ჯოჯოხეთის მოსაშორებლად, კურორტის შუაგულში სახლში შემოგვდის ნაგავი და ყურს არავინ იბერტყავს“, — ამბობს გაგრელი ვალერი ვოუბა.

იგივე გასაჭირი ადგათ გალელებს — აფხაზეთის ქალაქებიდან, განსაკუთრებით კი სოხუმიდან წამოღებულ ნაგავს სატვირთო მანქანები სოფლების ახლომდებარე ნაგავსაყრელზე ყრიან. ნაგვის სუნი განსაკუთრებით ზაფხულში მძაფრად იგრძნობა.

ეკა, *43 წლის, გალელი:* — ხელმოწერებიც შევაგროვეთ, გზის გადაკეტვასაც ვაპირებდით, რაზეც ზოგიერთი აფხაზი სოცქსელებში ირონიულად წერდა, თავადვე შეექმნებათ პრობლემები, სოხუმისა და გაგრის მოსახლეობა იქით არ დადისო... ნაგავსაყრელის გარშემო 1500-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. ვსვამთ ჭის წყალს, რომელშიც არავინ იცის, რამდენი სახეობის ტოქსიკური ნივთიერება ჩაედინება. ჩვენი საქონელი ნაგავსაყრელზე იკვებება. ზაფხულში ქვეწარმავლები და ვირთხები სახლში გვიცვივდებიან. ონკოლოგიური პრობლემები უკვე ბავშვებსაც დაეწყოთ... ადმინისტრაციის უფროსის კონსტანტინე ფილიას თქმით, გულრიფშში უნდა გაკეთდეს დახურული ნაგავსაყრელი, მაგრამ ჯერ მხოლოდ ტერიტორიაა მოკავებული. გალის ნაგავსაყრელი უნდა დააკონსერვონ, ოღონდ ამის არავის სჯერა. შეიძლება სოხუმიდან შეწყდეს ყოველდღე „კამაზებით“ ნაგვის გალში შემოზიდვა, მაგრამ მოსახლეობა მაინც არ მოიშლის ნარჩენების დაყრას. ფილია ამბობს, რომ ნაგავსაყრელის სხვა რაიონში გახსნა იგეგმებოდა, მაგრამ მოსახლეობამ გააპროტესტა და ამის ნება არ მისცა, ანუ გამოდის, ჩვენ დაბალი ლობე გვნახეს. გალის მაშინდელი ადმინისტრაცია დაგვეთანხმა და ამიტომ გადავწყვიტეთ აქ გაგვეხსნაო. სინამდვილეში მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავთ — თემურ ნადარაია მეორეხარისხოვან ადამიანებად გვთვლიდა გალელებს, სულ არ აღარდებდა, რა დაგვემართებოდა, სოხუმის ნაგავი გალში წამოიღო და პრობლემაც მოაგვარა. ფილიას რას ვერჩით, შემსრულებელია და მის წინამორბედ ქართველთმოძულე ნადარაიას არ ჰგავს, როდესაც ჩვენს გასაჭირს შევჩივლებთ, გვეუბნება, რა ვქნა, სახლში ხომ არ წავიღებ ამ ნაგავს, ჩვენც გაგვიგეთ, სოხუმი ცენტრია და იქ ხომ ვერ დავყრით ნარჩენებსო. როგორც ამბობს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ენგურს იქით, ქართულ მხარეს გადატანის საკითხიც განიხილება — თითქოს გალელი მეწარმეების მეშვეობით ნაგავი ქართულ მხარეს უნდა გადაიტანონ, სადაც უნდა გადამუშავდეს, თუმცა ეს რამდენად რეალურია, არ ვიცი. ამ პროექტს აუცილებლად მოჰყვება აქაური ოპოზიციის კრიტიკული განცხადებები და შეიძლება ბჟანია, ანქვაბი და ფილიაც „მოღალატეებად“ გამოაცხადონ. მაინც მისასალმებელია, აქამდე მსგავსი რამ არავის უთქვამს. ისე კი გალელებს ნარჩენების ქართულ მხარეს გადატანა უფრო რეალური გვგონია, ვიდრე გულრიფშის დახურული ნაგავსაყრელის აშენება...

*ლალი პაპასკირი*

ორ კვირაში ერთხელ ჟურნალ „გზასთან“ ერთად




27 იანვრიდან წიგნი #5

ოსკარ უაილდი * მიხეილ ჯავახიშვილი * ჰერმან მელვილი

სამი ავტორი
სამი მოთხრობა

სამი განსხვავებული და მსოფლიოში აღიარებული ავტორი – თითოეულ წიგნში!

მათი რჩეული მოთხრობები

ორიგინალური თემატიკა და სიუჟეტი გამორჩეული ხელწერით

* თუ ჯერ კიდევ არ შეგიძენიათ ამ სერიის წინა ტომები, 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, არ გამოტოვო სპეციალური შეთავაზება ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში.
შეიძინე თითოეული წიგნი 3 ლარად. შეაგროვე აუცილებლად წასაკითხი მოთხრობები.

იკითხეთ პრესის გავრცელების წერტილებში; ან შეიძინეთ ონლაინ www.palitral.ge
საიტიდან და ისარგებლეთ სახლში მიტანის სერვისით; ტელ: +995 32 238 38 71

პალიტრა L

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულინარიული კულტურა

# „ქართული სამზარეულოს „პოლიფონია“

**შესაძლოა,უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ გლობალიზაციამ, რომელსაც არაერთი ხალხი გაქრობის შიშით შეჰყურებს, არამატერიალური ღირებულებების გამოკვეთა დაიწყო. ქალბატონი დალილა ცატავა ქართული კულინარიული კულტურის მკვლევარია, იმ საუკუნოვანი სამზარეულოს მცველი, რომელსაც ქართველობა უხსოვარი დროიდან ქმნიდა.**



**„ერთხელ ერთმა ქართველმა გიდმა მითხრა, რომ ტურისტი ჯგუფიდან მხოლოდ იმიტომ მოიშორა, რომ მან ხაჭაპურს „ლეპიოშკა“ უწოდა“**

**— ცნობილია, რომ ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნება საქართველოს მსოფლიოს სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობამაც განაპირობა. კონკრეტულად რომელმა ქვეყნებმა მიიღეს მონაწილეობა ამ პროცესში?**

— ეს სამეცნიერო კვლევის საგანია, თუმცა, თუ ზოგადად ვიტყვით, ჩვენს კულინარიულ კულტურაში ყველა იმ ქვეყნის კვალი უნდა ვეძებოთ, რომელთაც უძველესი დროიდან საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონია სავაჭრო გზებით — აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ჩინეთიდან რომამდე ან სირიამდე, ანდა ომებით. როდესაც ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთის ძმისშვილის ქორწილში მიწვეული შარდენი აღწერდა, როგორ შემოიტანეს პირველ კერძად ფლავი, ამით მიუთითებდა, რომ ქართულ სუფრაზე აღმოსავლური კერძი მნიშვნელოვანი იყო. ქართულ კულინარიულ კულტურაზე გავლენა მოახდინა ბიზანტიელების, სპარსელების, მონღოლების, თურქების, რუსების სამზარეულომ. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ ჩვენში ყველაზე პოპულარულ სანელებელს უცხო სუნელი ჰქვია? ეს ხომ ნიშნავს, რომ ის უცხო მხარიდან არის შემოტანილი. მოგვიანებით რუსული და საქართველოში დასახლებული სხვადასხვა ხალხის კულინარიული კულტურაც აისახა ჩვენს სამზარეულოზე. როდესაც ბრწყინვალე მოქართულე ბარბარე ჯორჯაძე თავის კულინარიულ წიგნში სიტყვა „პირაშკს“ არც კი თარგმნის, ამით მიუთითებს, რომ „პირაშკი“ უცხოა ქართული სამზარეულოსთვის და ამის ცოდნა აუცილებელია. თბილისში დასახლებულმა გერმანელებმა ჩვენს კულინარიას ფუნთუშები შეჰმატეს. ძველ თბილისში დილაობით ფუნთუშების გაყიდვა სწორედ მათი დამსახურება გახლდათ, ოღონდ ქართველებს უცხო სამზარეულოს კერძები უცვლელად არასოდეს გადმოჰქონდათ. მათ ჩვენს ნიუანსებს ვამატებდით, რაც ამ კერძებს ქართული კულინარიის საკუთრებად აქცევდა.

**— წარმოვიდგინე, როგორ შემოვიდოდა თბილისში აბრეშუმის გზით აქლემების ქარავანი, როგორ დასცემდნენ კარავს ვაჭრები, რომლებიც თავიანთ კერძებს იმზადებდნენ, იქვე მყოფი ქართველები კი სწავლობდნენ.**

— ასეთ კვალს დღეს ბევრ ისეთ კერძში ვხედავთ, რომლებიც უკვე ქართულია. მაგალითად, ევროპული დამპლინგები ან ჩინური ვონ ტონი ისეთივე ცომში გახვეული ხორცია, როგორიც ჩვენი ხინკალი. როდესაც ჩინელ მზარეულთან ერთად ვონ ტონი მოვამზადე და მან ცომში ჩადებული ღორის ხორცი ისე შეახვია, როგორც ჩვენ ხინკალს ვახვევთ, გაოცებული დავრჩი...

გარდა ამისა, თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ხალხი თავიანთ სამზარეულო კულტურას სულით და გულით სთავაზობდა ერთმანეთს. ე.წ. იტალიურ ეზოებში გაშლილ ასირიულ-ქართულ-აზერბაიჯანულ სუფრებზე ერთმანეთის სამზარეულოს ავანჩავანი ყველამ ზედმიწევნით იცოდა. აი, ამიტომაც აქვს ჩვენს დედაქალაქს გასაოცრად მრავალფეროვანი სამზარეულო.

**— ჩემთვის ქუთაისის სამზარეულოც განუმეორებლად მომხიბვლელია. ისეთ კერძს, როგორსაც აქ ნახავ, შეიძლება ვერსად წააწყდე.**

— ქუთაისი იმერეთის გულია, იმერეთში კი, ისევე, როგორც სამეგრელოში, სრულყოფილი სამზარეულო აქვთ. ეს არის ის კულინარიული კულტურა, რომელიც სრულყოფილ სამზარეულოს ქმნის, თავისი ცივი და ცხელი კერძებით, ჩაროზებით, საწებლებით, აჯიკებით... მათ, რა თქმა უნდა, საკუთარი ღვინოც აქვთ. ეს განუმეორებელი მრავალფეროვნება მხოლოდ საუკუნეებს შეეძლო შეექმნა. მაგალითად, იმერეთში მხოლოდ მინდვრის ფხლად ცხრა სხვადასხვა მცენარეს შემოგთავაზებენ და თითოეული მათგანი სამკურნალოა. საქართველოს სხვა კუთხეებში კი კულინარიულ ბრენდებს ვამზადებთ, რომელთაც გემოვნებით ანალოგს ვერსად მოუძებნი: რაჭაში უნიკალური რაჭული ლორი მზადდება, თუშეთში — თუშური კოტორი (თუშური ხაჭაპური), სვანეთში — კუბდარი და ნარჩვის ყველი, რომელიც ხის ყუთში მზადდება და რომელსაც სვანეთის გარდა ვერსად იპოვით; მესხეთში ჩეჩილ ყველსა და აპოხტს ამზადებენ. აპოხტი ბატის დამარილებული ხორცია და მისი სეზონი ახლა დგება — როდესაც ბატი თოვლსა და ყინულს გადაყლაპავს, მაშინ კლავენ. მესხების თქმით, ასეთ ხორცს ვერაფერი შეედრება და ასეც არის, აპოხტის ხინკალი კულინარიული საოცრებაა. შედევრია კახური ჩაქაფულიც. რომელიც ჩემთვის ისეთივე პოლიფონიაა, როგორიც ქართული სიმღერა. ამ პოლიფონიაში მრავალი გემოა — ტარხუნასთან ერთად უამრავი მწვანილის, ბატკნის ხორცის და კახური ღვინის, რომელიც ამ „პოლიფონიის“ დირიჟორია...

ჩვენი სამზარეულოს უნიკალურობაში უდიდესი როლი ითამაშა გარემოებამ, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ნაკლადაც ჩათვლილიყო — საქმე ის არის, რომ ჩვენი სამზარეულო მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერ ვითარდებოდა, რამაც მას „პირველი გემო“ შეუნარჩუნა. სწორედ ეს იზიდავს ყველას ქართულ კულინარიაში. დღეს, გლობალიზაციის გიგანტურ ტალღაში, მთელი მსოფლიო სწორედ ამ ავთენტურ გემოს დაეძებს, დაეძებს სულიერების პირველ ქმნილებას, რომელიც თავისთავადია და ერთადერთი. ჩვენს სამზარეულოს სწორედ ეს აქვს შენარჩუნებული. ამასთანავე, საოცრად მრავალფეროვანია, ის არის გემოების „თაიგული“, რომელშიც ყველა ჩვენი კუთხის გემო ჰარმონიულად არის შერწყმული. მაგალითად, უბრალო დანდურს იმდენნაირად ამზადებენ ჩვენში, რომ თითოეულ კერძს სულ სხვადასხვა გემო აქვს. იმერელი მას ნიგვზითა და მწვანილით აკეთებს, ქართლელი — ძმრით, კახელი — ზეთით და ყველა უგემრიელესია. ვერც საწებლების და აჯიკების ისეთ მრავალფეროვნებას ნახავთ სადმე, როგორიც ქართულ სამზარეულოშია და ვერც ნაჭუჭიანების მრავალფეროვან მოხმარებას — კაკალს, ნუშს თუ თხილს ქართველები მოვიხმართ ნუგბარშიც, ფხალეულშიც, ხორცეულშიც. ასე არსად იქცევიან.

**„იმ კერძებს, რომლებიც „საქპატენტში“ დაკანონებულია, ვერავინ დაეპატრონება. ამ ორგანიზაციამ ბელარუსში ძალიან დიდი თანხით დააჯარიმა სომხური საწარმო, რომელიც ქართულ ბრენდს სომხური სახელით ყიდდა“**

**— ხშირად მიფიქრია, ნეტავ ქართული კერძები „ხასიათით“ ისე თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც თავად ქართველები-მეთქი.**

— ცხადია, განსხვავდება. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს კახური ჩაქაფული და მეგრული ხარჩო. მეგრელები ამბობენ, რომ ნამდვილი მეგრული ხარჩო ისეთი ცხარე უნდა იყოს, დაწვეთებისას მაგიდის საფარი ამოწვას, კახური ჩაქაფული კი უწყინარი და „მშვიდია“. განა ეს ორი კერძი არ ჰგავს მათ, ვინც მათ ამზადებს? დიახ, ერთი ფიცხ, ემოციურ მეგრელს ჰგავს, მეორე — დინჯსა და გაწონასწორებულ კახელს. მე ისიც მგონია, რომ იმერული ხაჭაპური იმერლის ხასიათის პრეზენტაციაა, იმ იმერული ყველივით, რომელსაც კრაჭუნას ვეძახით.

**„მეგრელები ამბობენ, რომ ნამდვილი მეგრული ხარჩო ისეთი ცხარე უნდა იყოს, დაწვეთებისას მაგიდის საფარი ამოწვას, კახური ჩაქაფული კი უწყინარი და „მშვიდია“. ერთი ფიცხ, ემოციურ მეგრელს ჰგავს, მეორე – დინჯ კახელს. იმერული ხაჭაპური იმერლის ხასიათის პრეზენტაციაა, იმ იმერული ყველივით, რომელსაც კრაჭუნას ვეძახით...**

**— ვინ არიან ჩვენი კულინარიული მეტოქეები?**

— მე მათ გასტრონომიული პატრიოტიზმის ქვეყნებს ვუწოდებ. ეს არის ესპანეთი, იაპონია, მექსიკა, საფრანგეთი, პორტუგალია, თურქეთიც კი, რომელმაც ისე კარგად შეითვისა ბიზანტიური კულინარია, რომ პატივისცემას იმსახურებს. გასტრონომიული პატრიოტიზმი ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებისთვის გასტრონომია ეროვნული იდენტობის ნაწილია. ყველანი ვღელავთ, თუ სადმე სხვისი სახელით გაკეთებული ქართული კერძი გამოჩნდა. ერთხელ ერთმა ქართველმა გიდმა მითხრა, რომ ტურისტი ჯგუფიდან მხოლოდ იმიტომ მოიშორა, რომ მან ხაჭაპურს „ლეპიოშკა“ უწოდა და ვერაფრით გადაათქმევინა.

**— მეც ძალიან ვბრაზობ, როცა სოციალურ ქსელში აჭარულ ხაჭაპურს უცხო ქვეყნის სახელით ვხედავ. სომეხი ეროვნების მოქალაქე კი მოსკოვში სულგუნს სომხურად ასაღებდა...**

— ჩვენ ამ „სომხური სულგუნის“ შესახებ არაერთი კვლევა გამოვაქვეყნეთ. როდესაც ბრიტანეთსა და იტალიაში აჭარული ხაჭაპური უცხოური სახელით გამოჩნდა, საელჩოებს შევატყობინეთ, მათ ადგილობრივი მთავრობები ჩარიეს და ხაჭაპურს იმ დღესვე უწოდეს ქართული სახელი. იმ კერძებს, რომლებიც „საქპატენტში“ დაკანონებულია, ვერავინ დაეპატრონება. ამ ორგანიზაციამ ბელარუსში ძალიან დიდი თანხით დააჯარიმა სომხური საწარმო, რომელიც ქართულ ბრენდს სომხური სახელით ყიდდა, თუმცა ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია, ბიოლოგიური თუ ისტორიული კვლევებია ჩასატარებელი...

**— ანთროპოლოგიური კვლევაც საჭიროა?**

— დიახ, რადგან შეიძლება ის სურათი მივიღოთ, რაზეც აქამდე არ გვიფიქრია. მაგალითად, ახლახან იტალიაში გამოიკვლიეს გლადიატორთა ველი, სადაც გლადიატორები იყვნენ დაკრძალული და აღმოჩნდა, რომ ისინი საერთოდ არ ჭამდნენ ხორცს, ვეგეტარიანელები იყვნენ.

**— ანტიკური ეპოქის ყველაზე ძლიერი მეომრები ვეგეტარიანელები?! შესაძლოა აქედან მოდის რწმენა, რომ ვეგეტარიანელები ჯანმრთელები არიან. კერძებს, ალბათ, ჩვენც სარგებლიანობის მიხედვით ვარჩევდით.**

— ჩვენ მივირთმევდით, რასაც გარემო გვაძლევდა, თუმცა როდესაც აფხაზეთისა და აჭარის მოხუცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეისწავლეს, აღმოჩნდა, რომ ისინი რძის პროდუქტებს უხვად მიირთმევდნენ. აფხაზეთში ბავშვს სუფრიდან ისე არ ააყენებდნენ, ჭიქა რძე არ მიეცათ.

**— როგორც ცნობილია, ჩვენს წინაპრებს კვება სეზონების მიხედვითაც ჰქონდათ განაწილებული...**

— სეზონს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, რაჭველს ზაფხულში ლორს ვერაფრით შეაჭმევდი, მეგრელს კი — კუპატს. ორივემ იცოდა, რომ ეს კერძები ზაფხულისთვის მძიმეა, ორგანიზმს ახურებს და ჯანმრთელობას ვნებს. სალათა სეზონური, ზაფხულის კერძი იყო. რატომ? ეს სახელი მას რომაელებმა შეარქვეს და „მარილიანს“ ნიშნავს, ანუ სალათაში შედის ნივთიერებები, რომლებიც მას მარილიან გემოს ანიჭებს, ასეთ გემოს კი პროდუქტს მხოლოდ ზაფხულის მზე აძლევს ფოტოსინთეზის დახმარებით. სწორედ ამიტომ სათბურის სალათას, რომელიც მზის სხივებს ვერ იღებს, მხოლოდ ჩალის გემო აქვს.

**— რა განაპირობებს ქართული კულინარიის მიმართ თქვენს ასეთ ერთგულებას?**

— ფესვები, გენეტიკა, სიღრმე და ასეთი ძველი და ასეთი საოცარი ქართული კულინარიის უბრალოება. ეს საოცრებაა! ამას წინათ სოფელ გელათში ერთი კაფანდარა, 88 წლის ბებო გავიცანი, რომელიც ნაკვერჩხლებზე ისეთ მჭადს აცხობს, მისი მსგავსი ჯერჯერობით ვერსად ვიპოვე. ერთდროულად სამ კეცს იღებს ხელში და ნეშოს ასე აფარებს! როგორ შეიძლება ამ უძველეს ხელოვნებას მოშორდე და მის შემქმნელებს არ ესაუბრო?!

**„ჩვენი სამზარეულო მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერ ვითარდებოდა, რამაც მას „პირველი გემო“ შეუნარჩუნა. დღეს, გლობალიზაციის გიგანტურ ტალღაში, მთელი მსოფლიო სწორედ ამ ავთენტურ გემოს დაეძებს, დაეძებს სულიერების პირველ ქმნილებას, რომელიც თავისთავადია და ერთადერთი...**

*ეთერ ერაძე*

# „კულტურის სამინისტრო სჯის იმას, ვისაც „თავისიანად“ არ მიიჩნევს, და აჯილდოებს იმას, ვინც მათ გუნდრუკს უკმევს“

*აკაკი ბაქრაძეს თუ დავესესხებით, ხელისუფლება მწერლების „მოთვინიერებას“ ნებისმიერ ეპოქაში ცდილობდა. გამონაკლისი არც 21-ე საუკუნის საქართველოა. ქართული მწერლობისა და ჩვენი სამშობლოს პრობლემებზე მწერალ* ***თეონა დოლენჯაშვილს*** *ვესაუბრეთ:*



— მწერლობის „მოთვინიერებას“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ. დღეს, როდესაც მწერლების ნაწილი თავსაც ვერ ირჩენს, ლიტერატურული პრემიებისა და ჯილდოების არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გავიხსენოთ, რა მოხდა „ლიტერას“ შემთხვევაში, როცა კულტურის სამინისტრომ ჟიურიში თავისი კაცი ჩასვა. მწერლებმა ეს გააპროტესტეს და კონკურსი დატოვეს. „ლიტერა“ საერთოდ მოხსნეს კულტურის სამინისტროს პროექტების სიიდან და მწერლებმა ჩვენი, თავისუფალი „ლიტერა“ დავაფუძნეთ. ჯერჯერობით ის ხალხის შემოწირულობით არსებობს. ძნელია ამ პირობებში კონკურსის გაგრძელება, თუ მას სახელმწიფო არ დააფინანსებს ან კერძო ბიზნესის ძლიერი მხარდაჭერა არ ექნება.

ამ დღეებში მორიგი შეტევა აკაკი ბაქრაძის შვილზე მიიტანეს: თითი დაუქნიეს ლაშა ბაქრაძეს, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის დირექტორია და მის ერთ-ერთ გამოცემაში შეცდომა გაიპარა. ხელისუფლებას ერთმა პატარა გაუგებრობამ დაავიწყა უამრავი კარგი საქმე, რაც მას უკეთებია. იციან, ლაშა ბაქრაძე ოპოზიციურად არის განწყობილი და უნდა დაისაჯოს. კულტურის სამინისტრო სჯის იმას, ვისაც „თავისიანად“ არ მიიჩნევს, და აჯილდოებს იმას, ვინც მათ გუნდრუკს უკმევს. მე ამ მწერლებისა მესმის, რადგან ზოგიერთი მხოლოდ ჰონორარზე ცხოვრობს. როგორია ცდუნებას გაუძლო მაშინ, როცა შეგიძლია სოლიდური პრემია აიღო?! მადლობა ღმერთს, დღეს არც სტალინი გვყავს და არც გულაგებში გვიშვებენ, მაგრამ რაც შესაძლებელია, იმით გვსჯიან და გვატერორებენ.

— **რას ნიშნავს ხელოვანისთვის ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც დევნილი, ომგამოვლილი ხალხი გაჭირვების გამო სიცოცხლეს ამთავრებს?**

— ჩემს ბოლო წიგნში „ჩიტი არ გამოფრინდება“ სწორედ დევნილებზე ვწერ... დევნილმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა! ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს? როცა არავინ გისმენს და ადამიანად არ გაღიარებენ, ყველას ფსიქიკა ვერ უძლებს. მე აღარ მინდა ასეთ სამყაროში ვცხოვრობდე! თუ ჯერ აფხაზეთს ვერ ვიბრუნებთ, იმ ადამიანებს მაინც მოვუაროთ, რომლებიც ამდენი წელია გასაჭირში ცხოვრობენ. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო, ამ ადამიანებს საკუთარი ჭერი ჰქონდეთ ამდენი წლის მერე. თვითონ ჯიბეებს ისქელებენ, პრემიებს ინიშნავენ, მდიდრულ სასახლეებს იშენებენ, დევნილი კი, რომელიც ყველგან უსამართლობის ყრუ კედელს წააწყდა, პროტესტის ნიშნად თავს იკლავს.

— **თუმცა გვარწმუნებდნენ, რომ ეს თვითმკვლელობა გაჭირვების ბრალი არ იყო...**

— როდის დასრულდება პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და იმის მცდელობა, რომ ქოთანს ყური იმ მხარეს მოაბან, საითაც თავად სურთ?! ნუთუ იმას მაინც ვერ ხედავენ, რამდენი ადამიანი იქექება ნაგვის ყუთებში, რამდენი ათასი ბავშვი შიმშილობს, დედებს შვილები მიტოვებული ჰყავთ და უცხოეთში სხვის შვილებს ზრდიან — ეს არავის ბრალი არ არის?! თუკი სიტუაციას ვერ აჯანსაღებ, ეკონომიკას ვერ უვლი, სამუშაო ადგილებს ვერ ქმნი, ლარის კურსს ვერ აჩერებ, ინვესტიციები ვერ შემოგაქვს, არ უნდა გქონდეს პრეტენზია, რომ ეს ქვეყანა გიყვარს და ნორმალური ხელისუფალი ხარ! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსი ჯარისკაცები ე.წ. საზღვარს სულ უფრო აფართოებენ და ლამის შოვამდე ჩამოვიდნენ.

— **როგორ ფიქრობთ, ძალიან ხომ არ გაერთნენ „სისხლიანი ცხრა წლის“ ძახილში?**

— როგორც ჩანს, ასეა... მაგრამ დღეს მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, დანარჩენებს ხელფასი გვაქვს და თავი გაგვაქვს. „ქამრების შემოჭერაც“ ისე ესმით, რომ ყველაფერი ხალხის მხრებზე უნდა გადავიდეს. ბიუროკრატიულ ხარჯებს და ჩინოვნიკების ხელფასებს კი არ ამცირებენ, გადასახადებს ზრდიან. ისეთ ორგანიზაციებს ურიცხავენ მილიონებს, რომლებიც რეალურად არაფერს აკეთებენ. არჩევნებამდე უფრო გაზარდეს სოციალურად დაუცველთა რიცხვი და ეს ცალკე კომმარია, რადგან ღატაკი ადამიანი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და მათთვის ყველაზე საიმედო ამომრჩეველია.

— **ამ რეჟიმს ის ხალხიც ინარჩუნებს, ვინც „ნაციონალების“ შიშით ხმას „ოცნებას“ აძლევს.**

— ამ ხალხს ცვლილება აშინებს. დიახ, წინა ხელისუფლებას ბევრი რეპრესირებული ჰყავს, ამიტომ ვუთხარით უარი და არჩევნების გზით გავისტუმრეთ. მაგრამ „ნაცმოძრაობა“ იმ ფორმით, როგორიც ადრე იყო, ვერასდროს დაბრუნდება და თუ დაბრუნდება, იქნება სახეცვლილი, საკუთარ შეცდომებზე ნასწავლი ოპოზიციური ძალა, კოალიციურ მთავრობასთან ერთად. წინა ხელისუფლებამ სახელმწიფო სახელმწიფოს დაამსგავსა, დასავლურ სტრუქტურებს ვუახლოვდებოდით, ახლა კი რუსეთის ჩამორჩენილ გუბერნიად გადავიქეცით.

— **ამას ანაკლიის პორტის პროექტის ჩაშლამაც შეუწყო ხელი?**

— მე ამ პროცესის უშუალო მონაწილე ვიყავი — ანაკლიის კონსორციუმში პიარისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსად ვმუშაობდი. ჩემ თვალწინ ჩაიარა ყველა მოვლენამ. ვხედავდი, როგორ დაიწყეს კულუარული ბრძოლა და როგორ შეშინდნენ ჩვენი ინვესტორები, როცა სახელმწიფოს პოზიცია დაინახეს. ასე დავკარგეთ ამერიკელი ინვესტორი და უზარმაზარი თანხა, რომელიც იაპონიის მთავრობას ჰქონდა ჩადებული ანაკლიის დაგეგმარებასა და აშენებაში.

არაფერს ვამბობ მუქარის წერილზე, რომელიც საკუთარი თვალით ვნახე და წავიკითხე. იმის მოწმეც ვარ, როგორ აასრულეს მუქარა და მოახერხეს პროექტის დამფუძნებლებისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენება. მავანთა მიზანი მიღწეულია: ანაკლიის პორტის პროექტი ჩაშლილია და საქართველო შავ ზღვაზე ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ღრმაწყლოვანი პორტი არა აქვს. მხოლოდ ერთი მოძველებული, ძვირად ღირებული ფოთის პორტი გვაქვს და საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, რუკიდან წაიშალა.

> **ამ დღეებში მორიგი შეტევა აკაკი ბაქრაძის შვილზე მიიტანეს: თითი დაუქნიეს ლაშა ბაქრაძეს, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის დირექტორია და მის ერთ-ერთ გამოცემაში შეცდომა გაიპარა. ხელისუფლებას ერთმა პატარა გაუგებრობამ დაავიწყა უამრავი კარგი საქმე, რაც მას უკეთებია. იციან, ოპოზიციურად არის განწყობილი და უნდა დაისაჯოს...**

ეს რუსული თამაში იყო. მათი დაკვეთა შესრულდა: ტამანის პორტი უკვე ააშენეს და ის ტვირთები, რომელთაც ჩვენთვის შემოსავალი უნდა მოეტანა, ახლა იქ შედის. თანხაც რუსეთის ბიუჯეტს ემატება. სწორედ რუსეთს არ სურდა აფხაზეთიდან რამდენიმე კილომეტრში ასეთი მნიშვნელოვანი პორტის და ქალაქის აშენება. ჩვენი გათვლებით, 2020 წელს პირველი გემი უნდა მიგვეღო, სამეგრელოში ათასობით სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო. ეს იყო „საუკუნის პროექტი“, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის გარანტია იქნებოდა. იმავდროულად, ის აფხაზეთის გასაღებიც იყო: ვინ იცის, რამდენ აფხაზს სურდა ანაკლიის პორტში მუშაობა.

— **ამ პროექტის ჩაშლა პროექტის ავტორებს დააბრალეს...**

— დიახ, დააბრალეს მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და დამფუძნებლებს, იმ ხალხს, რომელმაც პროექტში 75 მილიონი ჩადო და ეს ფული დაკარგა. მერე აბსურდული მუხლი მოიგონეს, რომ სამი წლის განმავლობაში მათი სასამართლოში ტარება გაემართლებინათ — თაღლითობა. თაღლითობა მხოლოდ მაშინ მტკიცდება, როცა დაზარალებული არსებობს. ამ საქმეში კი დაზარალებული არ არის. ეს იურიდიული ნონსენსია. ადვოკატი ზვიად კორძაძე ამბობდა, მსგავსი რამ პირველკურსელმა რომ დამიწეროს, ნიშანს არ ვაღირსებო.

დღეს ბიუჯეტი ემიგრანტი ქალების შემოტანილი თანხით ივსება. როცა ხალხი კარტოფილზე აღარ გაიყიდება და ხმას სინდისის კარნახით მისცემს, სანამ ჩვენ არ ავიღებთ ხელში ამ ქვეყნის სადავეებს, ყოველთვის მონები ვიქნებით და ემიგრაციაში წასული დედების ხარჯზე ვიცხოვრებთ. გინდათ თავისუფლება მონობაში გაცვალოთ? სულ ასე იქნებით! გინდათ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება? გროშებზე ნუ გაიყიდებით — ეს არის ჩემი სათქმელი!

*ხათუნა ჩიგოგიძე*


კოფანოლი
სამკურნალო მცენარეების დაბალანსებული შერწყმა!

შესაძლებელია მისი გამოყენება ორსულობის და ძუძუთი კვების დროს



- გაციება
- ხველა
- ბრონქიტი
- ტონზილიტი
- სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ინფექციები
- ყელის ტკივილი
- ალერგიული რინიტი
- ბრონქოსპაზმი






შემადგენლობა:

- ძირტკბილას მშრალი ექსტრაქტი
- პიტნის ზეთი
- ანისის ზეთი
- წიწაკის ზეთი
- ევკალიპტის ზეთი
- სოჭის ზეთი
- მენთოლი

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შ.პ.ს. „კონტა ფარმა“

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ისტორიის ფურცლებიდან

# ოსმალეთის მზეთუნახავი ქართული ფესვებით

*სოციალურ ქსელში ვრცელდება ოსმალეთის ქართველი პრინცესას, შადიეს (შადიე ჩურუქ სულუს) ფოტო. ამ ულამაზესი ქართველი ქალის სილამაზე ერთდროულად სევდასა და სიამაყეს აღვიძებს. ვინ იყო პრინცესა შადიე და როგორ აღმოჩნდა ოსმალეთის სულთანთა დინასტიის კარზე, ამის შესახებ დადასტურებული ცნობები არ მოიპოვებოდა. რომ არა ქართველი ისტორიკოსი* **მანანა ხომერიკი** *და მისი მეგობრები, მათი საიმპერატორო უმაღლესობა თურქეთის პრინცესები ირინა და ნილუფერი, შადიეს საიდუმლოს ფარდა, ალბათ, არასოდეს აეხდებოდა. ქალბატონი მანანა იმერეთის ბაგრატიონთა ისტორიაზე მუშაობს. ის თვითონაც მათი შთამომავალია.*



**— ქალბატონო მანანა, სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ბაგრატიონთა ყველა შტოს შთამომავალთან გაქვთ ურთიერთობა. როგორ დაიწყო ეს ამბები მაშინ, როცა საქართველოში ბაგრატიონთა ხსენებაც კი აკრძალული იყო?**

— ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლდათ მარიამ ბაგრატიონი — მეფე ერეკლეს ქალიშვილის, ქეთევან ბაგრატიონის შვილთაშვილი. 8 წლის ვიყავი, როდესაც დედამ გამაცნო და მას შემდეგ ვმეგობრობდით, მიუხედავად იმისა, რომ მარიამ ბაგრატიონი რამდენიმე ათეული წლით უფროსი იყო ჩემზე. მერე ის ჩემი უფროსი შვილის ნათლიაც გახდა. ამ ადამიანმა ურთულესი ცხოვრება განვლო. რვა წელიწადი მაგადანში, გადასახლებაში გაატარა. იშვიათად მინახავს მასსავით ნათელი სულის ადამიანი. 1930 წელს მარიამს მამა დააპატიმრეს და მთელი ოჯახი საფრთხეში აღმოჩნდა (მარიამის და-ძმა იყვნენ ირაკლი და ლეონიდა ბაგრატიონები), თუმცა, როგორღაც შეძლეს უცხოეთში გაღწევა, სხვათა შორის, რუსი მწერლის, მაქსიმ გორკის დახმარებით, მაგრამ მარიამმა უცხოეთში ვერ გაძლო და 1934 წელს მარტო დაბრუნდა საქართველოში. რაღა თქმა უნდა, დაბრუნება ტანჯვად ექცა. 1948 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს, მიზეზი უცხოეთში მისი ოჯახის ურთიერთობები იყო. მისმა ძმამ, ირაკლი ბაგრატიონმა ესპანეთის ინფანტაზე იქორწინა, მისი და ლეონიდა კი რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურს გაჰყვა ცოლად. როდესაც მარიამს უცხოეთში წასვლისა და თავისიანების ნახვის ნება დართეს, მეც თან წამიყვანა. 1989 წელს მის დასთან, ლეონიდასთან პარიზში ვიყავით, 1990 წელს — მადრიდსა და მალაგაში. ასე გავიცანი ემიგრანტი ბაგრატიონები და ალბანეთის დედოფალი ჟერალდინ ალბანელი, რომელიც საოცარი პიროვნება აღმოჩნდა.

**— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ თქვენზე უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა არისტოკრატიამ?**

— ისინი იყვნენ დიდებულად უბრალოები! ასეთი იყო თავად მარიამ ბაგრატიონიც. მახსოვს დრო, როდესაც თბილისში ოთახის ყვავილს, ბალბას, რატომღაც მეშჩანობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, მან კი ყველას დასანახავად ბალბა ფანჯრის რაფაზე გადმოდგა. არასდროს აინტერესებდა, ვინ რას იტყოდა. ასეთი იყო ლეონიდაც. არასოდეს დამავიწყდება მისი სითბო ადამიანების მიმართ. მახსოვს, როგორ ხვდებოდა დამლაგებელს, როგორი სიყვარულით მოიკითხავდა მისი ოჯახის წევრებსაც...

1992 წელს, როდესაც მარიამ ბაგრატიონი გარდაიცვალა, მისმა ოჯახმა უცხოეთიდან დამირეკა და დაკრძალვის ორგანიზება მთხოვა. მე მაშინვე წავედი საპატრიარქოში, ვესაუბრე კათალიკოს-პატრიარქს, რომელმაც მარიამ ბაგრატიონის სვეტიცხოველში დაკრძალვის ნება, ფაქტობრივად, საუბრისთანავე მომცა. ამის შემდეგ მარიამის ძმისშვილი გიორგი (ხორხე) ბაგრატიონი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში. 2005 წელს მასთან ერთად თურქი პრინცესა ირინა და მისი ქალიშვილი ნილუფერი ჩამობრძანდნენ. მათი ჩამოსვლის მიზეზი ქართული ფესვები იყო — საქართველოს ნახვა და გაცნობა უნდოდათ...

> **შადიე ქობულეთელი ფაშას, ფაჰრი თავდგირიძის ქალიშვილი გახლდათ. როგორც ცნობილია, ოსმალეთმა 1547 წელს ჭანეთი და აჭარა დაიპყრო და აქაური დიდებულებიც საუკუნეთა მანძილზე ფაშებად იქცნენ, რწმენა შეიცვალეს და სულთნების სამეფო კარს დაუახლოვდნენ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბევრ მათგანს იდენტობა არ დაუკარგავს. სავარაუდოდ, შადიეს ქორწინება სულთანთა სახლისა და მამამისის დაახლოებამ განაპირობა...**

**— თურქი პრინცესები ქართული ფესვებით... ამ ისტორიის მიღმა კი რთული წარსულია...**

— ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაგრძელებაა და იმ ურთულესი, სისხლიანი გეოპოლიტიკური ვითარების, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. როდესაც მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ, პრინცესა ირინამ მითხრა, რომ მისი ბებია ეკატერინე გურამიშვილი იყო, მაშინვე ჩავეკითხე, თქვენ სტაროსელსკაია ხომ არ ბრძანდებით-მეთქი? სახე გაუბრწყინდა, მიხვდა, რომ მისი წინაპრების ისტორიას კარგად ვიცნობდი. ეკატერინე გურამიშვილი საგურამოელი თავადის, თადეოზ გურამიშვილის ასული გახლდათ, და ილია ჭავჭავაძის მეუღლის, ოლღა გურამიშვილისა და რუსი მაღალჩინოსანი გენერლის, დიმიტრი სტაროსელსკის ცოლი.

**— მეცხრამეტე საუკუნის ქართველი არისტოკრატი ქალბატონები რუს მაღალჩინოსნებზე ხშირად ქორწინდებოდნენ.**

— დიახ, ასე იყო. თავად დიმიტრი სტაროსელსკის, ეკატერინეს მეუღლეს, საქართველოს წინაშე დიდი დამსახურება ჰქონდა. სტაროსელსკი ჯერ ბაქოს გუბერნატორი, შემდეგ კი ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი გახლდათ, რის გამოც საიმპერატორო სახლზე დიდი გავლენა ჰქონდა. სწორედ სტაროსელსკის დახმარებით დააარსა ქართველობამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თორემ ამის უფლებას მათ რუსეთი არ აძლევდა. გენერალ სტაროსელსკის ქართველი ცოლი და შვილები ჰყავდა, საქართველოში ცხოვრობდა და აქვე დაიკრძალა კიდეც. ეკატერინესა და დიმიტრი სტაროსელსკებს ცხრა შვილი ჰყავდათ, ოთხი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი. მისი შთამომავლები იყვნენ ამერიკელი გენერლები ოთარ და ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილებიც. პრინცესა ირინა სტაროსელსკაია საფრანგეთში დაიბადა და იქვე დაქორწინდა ასევე ემიგრანტ ოსმალეთის პრინცზე, სახელად ბურგან ედ-დინზე. სწორედ ამ ქორწინების შედეგად დაიბადა პრინცესა ირინას ქალიშვილი, მისი საიმპერატორო უმაღლესობა ნილუფერი. ოსმალეთის პრინცი ოსმალეთის უკანასკნელი სულთნის შვილიშვილი გახლდათ მამის მხრიდან, დედამისი კი სწორედ ის შადიე იყო, რომლის სილამაზემ სოციალური ქსელი აალაფრთოვანა. მისი სრული სახელია შადიე ჩურუქ სულუ.

**— როგორც ქართველები ვამბობთ, ამ ქორწინებაში, ალბათ, „სისხლმა სისხლი მოძებნა“: პრინცესა ირინას ქართველი ბებია ჰყავდა, პრინცს კი — ქართველი დედა...**

— დიახ. სხვათა შორის, აქვე მინდა განვმარტო, რატომ აქვთ ოსმალეთის სულთნებს ტიტული „საიმპერატორო უმაღლესობა“. როგორც პრინცესა ირინამ მითხრა, ოსმალეთის არისტოკრატიას ეს ტიტული მას შემდეგ მიენიჭა, რაც მათ უნგრეთი დაიპყრეს. თუმცა თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებისა და ათა თურქის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 1924 წელს, სულთანთა მთელი სახლეული მატარებელში ჩასვეს და სამშობლოდან განდევნეს. ოსმალეთის არისტოკრატია ევროპისაკენ თუთიყუშებითა და ძიძებით დაიძრა, ოსმალეთში კი აურაცხელი სიმდიდრე დატოვა...

თავად შადიე ქობულეთელი ფაშას, ფაჰრი თავდგირიძის ქალიშვილი გახლდათ. როგორც ცნობილია, ოსმალეთმა 1547 წელს ჭანეთი და აჭარა დაიპყრო და აქაური დიდებულებიც საუკუნეთა მანძილზე ფაშებად იქცნენ, რწმენა შეიცვალეს და სულთნების სამეფო კარს დაუახლოვდნენ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბევრ მათგანს იდენტობა არ დაუკარგავს. სავარაუდოდ, შადიეს ქორწინება სულთანთა სახლისა და მამამისის დაახლოებამ განაპირობა. შადიეს მეუღლე პარიზში ჩასვლიდან მალევე, 1929 წელს გარდაიცვალა და ნიცაშია დაკრძალული. მოგვიანებით ქვრივი შადიე ამერიკელ მაღალჩინოსანს გაჰყვა ცოლად და შვილს მასთან ერთად ზრდიდა. 1984 წელს, უკვე ასაკოვანმა, სტამბოლში დაბრუნება გადაწყვიტა, სურდა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბავშვობის ადგილებში გაეტარებინა.

**— ესე იგი პრინცესა ირინას ქალიშვილს, ნილუფერს მამის მხრიდანაც ქართული ფესვები ჰქონია და დედის მხრიდანაც.**

— დიახ. ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ ორ კეთილშობილ პრინცესას, რომლებიც დღეს ჟენევაში ერთად ცხოვრობენ, დედაშვილობის, არისტოკრატიზმისა და ქართული ფესვების გარდა, ქველმოქმედების სიკეთე აერთიანებთ. საქმე ის არის, რომ ნილუფერს 2000 წელს ერთადერთი ქალიშვილი, 15 წლის ტატიანა გარდაეცვალა. მას შემდეგ შვილის სახელზე ქველმოქმედებას ეწევა. ის ერთადერთი ადამიანია ოსმალთა დინასტიიდან, რომელსაც თურქეთის მთავრობამ პასპორტში ოფიციალურად ჩაუწერა თურქეთის პრინცესას სტატუსი, ვინაიდან პრინცესა ნილუფერი არაერთ თურქ ბავშვს დაეხმარა, თუმცა არამხოლოდ თურქებს — იტალიაში ბავშვების გადარჩენისთვის ირინა და ნილუფერი იმ მედლით დააჯილდოეს, რომელიც დედა ტერეზასაც ჰქონდა. პრინცესებმა უდიდესი დახმარება გაუწიეს საქართველოში უდეს მონასტერთან არსებულ სკოლას, რომელსაც იმხანად არანაირი სახსარი არ გააჩნდა. პრინცესა ნილუფერმა თავის ცხოვრებაზე წიგნიც დაწერა, რომელშიც მეც მომიხსენია. დედა-შვილი საქველმოქმედო წვეულებებს აწყობს და დიდ თანხას აგროვებს. აქ არა მხოლოდ მსოფლიოს პრინცებსა და პრინცესებს იხილავთ, არამედ მსოფლიოში ცნობილ სხვა ადამიანებსაც.

სტამბოლის ერთ-ერთ ფეშენ კვირეულზე თავადაც გახლდით მიპატიჟებული, სადაც გავიცანი ძალიან საინტერესო მხატვარი გერმანიიდან, სახელად ფაიზი. ის პრინცესების ნათესავი აღმოჩნდა შადიეს მხრიდან. მისი ბაბუა სწორედ შადიეს მამის, ფაჰრი ფაშას ძმა, ალი ფაშა იყო. ალი ფაშა ჩურეკ სუდან გახლდათ, გვარად თავდგირიძე. მხატვარს ამ გვარის წარმოთქმა გაუჭირდა, რამდენჯერმე წარმოთქვა: „თავდგი, თავდგი“, ამიტომ მე შევეშველე, თავდგირიძეები ყოფილხართ, ჩურეკ სუ კი ქობულეთია-მეთქი. ქობულეთს ძველად სწორედ ასე ერქვა.

**— უნებურად მახსენდება მუხრან მაჭავარიანი: „შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“...**

— დიახ, ასეა. მაგრამ მძიმე ისტორიები მხოლოდ ჩვენი ერის ცხოვრებაში არ გვხვდება. ისინი მეტ-ნაკლებად ყველა ხალხის ცხოვრებაშია. მთავარია, ვინ როგორ გადარჩება და როგორ გააგრძელებს ისტორიას. სასიამოვნოა, როდესაც მათ საკუთარ ფესვებთან სიახლოვე სურთ. ეს ამტკიცებს ადამიანის ფესვების უკვდავებას.

ეთერ ერაძე

## ტახტზე ასული მეჯინიბე

*მინდა ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც უზარმაზარ სპარსეთს და, გარკვეულწილად, ქართულ ფესვებსაც ეხება. ეს ამბავიც მისმა აღმატებულება პრინცესა ირინამ მიამბო. როგორც გითხარით, პრინცესა ირინას ბებია-ბაბუას, ეკატერინე გურამიშვილსა და დიმიტრი სტაროსელსკის, ოთხი ვაჟი ჰყავდათ. ამ ოთხი ვაჟიდან გენერალი გახდა ვსევოლოდ სტაროსელსკი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ სპარსეთში გაგზავნა რუსული რაზმის მეთაურად. ნაკლებად ცნობილია, რომ სპარსეთის ყაჯართა დინასტიის შაჰები რუსი იმპერატორების კარზე იზრდებოდნენ და რუსეთიც ცდილობდა მათ საქმეებში ჩარევას. ვსევოლოდს იქ სპარსი მეჯინიბე ემსახურებოდა, რომლის სისხარტემ, მოსაზრებულობამ და სხვა თვისებებმა გენერალი ისე მოხიბლა, რომ მეჯინიბე ოფიცრად დააწინაურა. როდესაც რუსეთში ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა და ვსევოლოდი ემიგრაციაში წავიდა, მისმა აღზევებულმა სპარსმა მეჯინიბემ, რეზა ფეჰლევმა, გზა ისე გაიკვალა, რომ რამდენიმე წელიწადში სპარსეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, რის შემდეგაც ყაჯართა დინასტია დაამხო და ტახტზე თავად ავიდა. ეს მოხდა 1925 წელს და ასე დაედო სათავე სპარსეთის ტახტზე ფეჰლევების დინასტიას. მართალია, ამ დინასტიამ მხოლოდ 1979 წლამდე იარსება, ვიდრე ირანში ისლამური რევოლუცია მოხდებოდა, მაგრამ ფეჰლევები სპარსეთს რამდენიმე ათეული წელი მართავდნენ. ბოლოს ისინიც ემიგრაციაში აღმოჩნდნენ, იქ კი, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ სამეფო წარმომავლობის პირთა შეკრებებში. ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე, კერძოდ, 2004 წელს, იორდანიის ამჟამინდელი მეფის ვაჟის, პრინც ჰამზას ქორწილში, პრინცესები ირინა და ნილუფერი რეზა შაჰის შთამომავალს, სახელად ასევე რეზა ფეჰლევს შეხვდნენ. მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ, პრინცესა ირინამ არ დააყოვნა და სპარსეთის პრინცს უთხრა, გენერალ სტაროსელსკის პაპაშენი საჯინიბოდან რომ არ გამოეყვანა და ოფიცრად არ ექცია, ის შაჰი ვერასოდეს გახდებოდაო.*

**— უძველესი მტრობის ანარეკლი... რეზა ფეჰლევი ამ ამბავს როგორ შეხვდა?**

*— ნილუფერმა მითხრა, მას სახე შეეცვალაო. შემდეგ მეც ვკითხე პრინცესა ირინას, ნუთუ ასე პირდაპირ უთხარით-მეთქი და მომიგო, მე მას სიმართლე ვუთხარიო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამულ-დედული

ჩანართი გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით
№4 (418) 24 – 30 იანვარი, 2022 წელი

## ყველაზე ტკბილი „ეკალა"



იხილეთ გვ. 16

## ცოცხალი ღვინის ხელოვნება ანუ მეღვინის პალიტრა



ახლა მისი ნახვა შეიძლება ვენახში, მარანში, ღვინის დაყენებისას, რადგან მეღვინეა, თუმცა წინა ხელისუფლების დროს ანდრო ბარნოვი იყო თავდაცვის აკადემიის რექტორი, გუბერნატორი, მუშაობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ხელმძღვანელობდა საკაშვილის ბიბლიოთეკას, გახლდათ სამხედრო ექსპერტი, მაგრამ, როგორც ამბობს, მეღვინეობა ყოველთვის მოსწონდა, აინტერესებდა და ამ მიმართულებით ნაბიჯებს მაშინაც დგამდა.

იხილეთ გვ. 16, 17

## რამდენ ხანს ცოცხლობენ მწერები

მწერების სამყარო იდუმალი და ამოუცნობია, ზოგიერთ მათგანს რამდენიმე ეტაპის გავლა უწევს, რათა ვიხილოთ სილამაზე, რომლითაც ისინი დედაბუნებამ დააჯილდოვა. მწერების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჯაფოშვილი.



„პეპელა სფინქსს სითბო ატყუებს და სამალავიდან ზამთარში გამოდის"

იხილეთ გვ. 18

# ცოცხალი ღვინის ხელოვნება ანუ მეღვინის პალიტრა



„ბევრი ჯიში მაქვს, თუმცა ძირითადი მაინც ოთხი ჯიშია – გორული მწვანე, ჩინური, შავკაპიტო, თავკვერი. დანარჩენი ზოგი ისეთია, პირველად რომ გავსინჯე“

(დასაწყისი გვ. 15)

ანდრო ბარნოვი:

— მეღვინეობას ხელს რომ ჰკიდებ, თავიდან სანერვიულო გაქვს, გამოვა-არ გამოვა? ეს ეტაპი მალე გადის, ძირითად რამეებს სწავლობ, მერე კი მოდის მეორე ეტაპი: აბა, როგორი გამოვა?! გინდა, კარგი გამოვიდეს და ცდილობ, ფიქრობ, კითხულობ, ეკითხები... გაივლის ესეც, უკვე ეჩვევი ვენახსაც, მარანსაც, მეტ-ნაკლებად იცი, სად რას უნდა ელოდო. და იწყება შემდეგი: აბა, როგორ გავხადო უნაკლო?.. პოულობ ნიუანსებს, ავითარებ და აწვრილმანებ ცოდნას, ყურძენს უკვე ერთ ხილად აღარ აღიქვამ, კომპონენტებად შლი (კანი, წვენი, წიპწა, კლერტი), განსხვავებული დამოკიდებულება გაქვს თითოეულ ნაწილთან, ნელ-ნელა გამოგდის ესეც და მიდიხარ წერტილამდე, სადაც ცუდი და კარგი უკვე საკითხავი აღარაა — ყველა კარგია, ყველა თავისებურად საუკეთესოა. და იწყება შემდეგი და მთავარი ეტაპი — მაღალი კულინარიის. თუ აქამდე ყველას ყველაფერს ასწავლიდი, რაც თავად ისწავლე, ახლა ლაპარაკი აღარ გეხალისება, რადგან ფიქრის დროა. ეს უბრალოდ ცოდნა აღარაა, შენი ხელოვნებაა, შენი გემოვნება და ესთეტიკა, ამიტომ საიდუმლოებებიც ჩნდება, მხოლოდ იმათ რომ გაუზიარებ, ვისთანაც ერთ ენაზე შეგიძლია ლაპარაკი. ლაპარაკს უკვე ღვინოები იწყებენ. მთავარი სათქმელი მაგათ აქვთ. სკეპტიკოსების გასაგონად ვიტყვი, დღემდე კოლმეურნეობის დროინდელი წესებით რომ ხელმძღვანელობენ: წლეულს ვენახი საერთოდ არ შემიწამლავს და ვაზი ბედნიერად გრძნობს თავს! არ ვამბობ, საერთოდ ნუ შეწამლავთ-მეთქი, მაგრამ თუ ტერუარიც ხელს გიწყობთ, პრევენციულ წამლობაზე უარი თქვით. ასე ფულსაც დაზოგავთ, დროსაც და ჯანმრთელობასაც, ღვინო კი ზუსტად 207-ჯერ უკეთესი გამოგივათ!

**— როდის გადაწყვიტეთ, მეღვინეობას ასე ჩაღრმავებოდით?**

— დარგს არაპროფესიონალურ დონეზე ვიცნობდი და მიყვარდა, ოღონდ, არა — ღვინის დალევა, გემოებზე „კაიფი“. ამ მრავალფეროვნებაში ვგრძნობდი, რომ კარგი მეღვინის ხელში ღვინოში ჩანს ბუნება და ადგილმდებარეობა, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ვხვდები, რომ ბევრი რამ არ ვიცოდი. წლების განმავლობაში ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში სხვადასხვა კომპანიასთან ერთად დიდ პროექტებზე ვმუშაობდი. ამ საქმიანობისას სოფლის მეურნეობაშიც დამიგროვდა გამოცდილება. ბევრი რამ გამოვიკვლიე და გავიგე, მაგრამ ისეთი ღვინის ჩამომსხმელი მარნები, რასაც ნამდვილი ღვინო ჰქვია, 2005-2006 წლებში ნაკლებად იყო, ამიტომ იმ პროექტებში შეძენილი ჩემი გამოცდილებით გადავწყვიტე, გამეკეთებინა შეხვედრების მარანი, რომელიც ტრენინგცენტრებსა და ადგილობრივ მევენახეებთან იმუშავებდა, რათა ყურძნის ხარისხი გაუმჯობესებულიყო; მეღვინეებს იოლად ეწარმოებინათ პროდუქტი და მეტი ცოდნა დაეგროვებინათ, მაგრამ 2008 წლის ომი დაიწყო და ჩემს სამხედრო საქმეს დავუბრუნდი... შემდგომ იყო თავდაცვის აკადემიის რექტორობა, გორის გუბერნატორობის პერიოდი, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობა... როცა ჩემს ცხოვრებაში ასეთ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდი დამთავრდა, საქმიანობა უკვე განვაგრძე, როგორც მეღვინემ ქართლის სოფელ წედისში, ატენის ხეობაში. ასოციაცია დავაარსე და დიდი მარნის მშენებლობა წამოვიწყე.

**— თქვენს საკუთარ ვენახზე რას გვეტყვით?**

— ვენახი ჩემს სოფელში მაქვს, რომელიც წედისიდან შორს არ არის, ის ისტორიულ ტერუარზეა. იქაურობას ისტორიულად ნავენახობს ეძახიან. თრიალეთის ფერდია, ქვიანი ადგილი კირქვით, კაჟით, მინერალებით სავსე, რაც ღვინისთვის ცუდი არ არის, თუმცა ადგილი უწყლოა. მოკლედ,



მე და მამაჩემმა დავიბრუნეთ ერთ დროს ჩვენი დიდი პაპის ნაქონი მიწები, სადაც ვენახი ჰქონდა და რომელიც კომუნისტებმა წაართვეს. იქ არაფერი იყო. ვენახი 4 ჰექტარზე გავაშენეთ. ამ საქმეში ფინანსურად მეგობრებიც ჩაერთვნენ, მაგრამ იქაურობას მე ვუვლი.

ბევრი ჯიში მაქვს, თუმცა ძირითადი მაინც ოთხი ჯიშია — გორული მწვანე, ჩინური, შავკაპიტო, თავკვერი. დანარჩენი ზოგი ისეთია, პირველად რომ გავსინჯე.

**— უწყლო ადგილზე არ ჭირს ვენახის მოვლა?**

— ეს დიდი პრობლემაა, არადა, ჩამომავალი ხევები უხვადაა, სადაც წლის განმავლობაში წყალი სულ დის. არის ისტორიული რეზერვუარებიც, რომლებიც დანგრეულია... არადა, 800 ჰექტარია, სადაც უამრავ ადამიანს აქვს მიწა, მაგრამ ირიგაციის პრობლემის გამო დაუმუშავებელია. სახელმწიფოსთვის ყველაფერი ადვილი მოსაგვარებელია, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

**— მოკლედ, მოგყავთ ყურძენი, აყენებთ ღვინოს და ეს ყველაფერი უზომოდ მოგწონთ...**

— კი, საქმეს წარმატებით ვართმევ თავს, ჩემი ღვინის ხარისხში ეჭვი არავის ეპარება. აქ ლაპარაკია ხელოვნებაზე. ჩემი მოგება ის არის, გავაკეთო კარგი ღვინო, რომ ძვირად გავყიდო. ღვინო უცნაური ტილოა, ფუნჯებია, არტია. მნიშვნელოვანია, თუ ეს ყველაფერი და გამოხატვის სრული თავისუფლება გაქვს. ცხადია, ღვინო კულინარიული არტია. ცოცხალი ღვინის ხელოვნება ბევრს არ ესმის, არადა, ეს არის მეღვინის პალიტრა.

**— ნატურალური მეურნეობა გაქვთ. ეს რას გულისხმობს?**

— ნატურალური მეურნეობა სცდება მევენახეობას. ჩვენ ვეყრდნობით ცოცხალ და ჯანმრთელ ნიადაგს. მას აქვს თავისი „ჯანმრთელობის მექანიზმი“, რომელიც არ უნდა დავაზიანოთ. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრმა ეს არ იცის, სარგებლის მიღების მიზნით მასში უაზროდ ვერევით და საქმეს საშველიშველოდ ვაფუჭებთ. მთავარი ის არის, რომ ვშხამავთ ვენახისთვის აუცილებელს, ნიადაგს, რომელიც მერე ასევე ამოაცენებს შხამს. ამასთან, ეს მცენარესაც აზარმაცებს, მისი ნაყოფი კი ორგანიზმს წამლავს.

**— სიცოცხლის მექანიზმში ვერევით?**

— ვის უნახავს მორწყული ტყე, ან იქ შეწამლული ხეები? ეს არ არის საჭირო, რადგან იქ ნიადაგი არ შრება. მნიშვნელოვანია 10-15-სანტიმეტრიანი ფენა. ამ ფენას არც ვბარავ, მხოლოდ ძირებს თუ შემოვუთოხნი. ვთიბავ ბალახს არა მიწის პირზე, არამედ — 25-30 სანტიმეტრზე, რომ ფოტოსინთეზის პროცესი არ ჩავკლა და მიწა არ გამოხმეს. გარდა ამისა, მცენარეებს შორის არის სოკოების ფენა, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას, უმთავრესად — ინფორმაციის გაცვლის ფუნქციას ასრულებს.



როდესაც ვხედავ, რომ ვენახს უჭირს და სხვა გზა არ მაქვს, უნდა შევწამლო, მაგრამ ამ პროცედურის ყოველ 10 დღეში, ორ კვირაში ჩატარების წინააღმდეგი ვარ. ეს სრულიად გაუგებარი პრაქტიკაა. მე ვაზს წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ ვწამლავ.

**— როგორია თქვენი ღვინო?**

— ჩემი ღვინო ყოველთვის ჯანმრთელია და ეს არის პირველი წესი. თუ ღვინოში რამე არ მომწონს, არ გამოვიდა, მას ბოთლამდე არ მივიყვან, არ ვყიდი. იმ მასალისგან კი კარგი დისტილატი კეთდება. საერთოდ იშვიათ რალაცებს ვაკეთებ. ახლა ვწერ ჩემი ტექნოლოგიების ისტორიას, როგორ მივედი კონკრეტულ ღვინომდე... მარანიც ისეთი მაქვს, რომ მანებივრებს. ტრადიციული, ქართულია, თავისი ორი სართულით. არის 6 მეტრი სიღრმის ფენა, სადაც ღვინო მეორე ფაზაში მთელ წელიწადს ატარებს. ღვინოს მხოლოდ გადაღება-გადმოღებით ვხებ, ვფილტრავ. ზოგიერთ ღვინოს, სანამ ბოთლში მოხვდება, 7-8-ჯერ გადაღება სჭირდება. როდესაც რთველი ახლოვდება, წინასწარ ვწერ რეცეპტებს, რომელთაც, ვცდილობ, მკაცრად მივყვე. ტრადიციას რალაცით ვამდიდრებ.

ზოგისთვის ღვინო არტია და ზოგისთვის — ფულის კეთების საშუალება. ღმერთმა ყველას ბევრი მისცეს, თუმცა რასაც უნდა ვაკეთებდეთ, მთავარია, ყველას ესმოდეს, რომ ერთნაირი ვერ ვიქნებით, მაგრამ ერთად უნდა ვიყოთ. და კიდევ: თუ გვინდა, კარგად ვიყოთ, ერთმანეთის მტრებად არ უნდა ვიქცეთ. ყველაფრის გასაღები სიყვარულია, რომელიც, ამავე დროს, პასუხისმგებლობაცაა.

ლალი ფაცია

**მარანი ტრადიციული მაქვს, ქართული, თავისი ორი სართულით. არის 6 მეტრი სიღრმის ფენა, სადაც ღვინო მეორე ფაზაში მთელ წელიწადს ატარებს. ღვინოს მხოლოდ გადაღება-გადმოღებით ვხებ, ვფილტრავ. ზოგიერთს, სანამ ბოთლში მოხვდება, 7-8-ჯერ გადაღება სჭირდება...**

# ყველაზე ტკბილი „ეკალა“ მექსიკიდან

*ინდური ოპუნცია, იგივე ინდური ლეღვი კაქტუსის „მოშინაურებული“, კულტურული სახეობაა. ის, ძირითადად, მშრალი და ნახევრად მშრალი ჰავის ქვეყნებში მოჰყავთ და ყველაზე მეტად არის გავრცელებული კულტურულ კაქტუსებს შორის. ინდურ ოპუნციას (Opuntia ficus-indica) ისეთივე ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მექსიკისთვის, როგორიც სიმინდს ან ლურჯ აგავას. მცენარის სახელწოდებაში კი გვხვდება სიტყვა ინდური, მაგრამ მისი სამშობლო სწორედ მექსიკაა.*

*მცენარეს სხვაგვარად უწოდებენ ეკლიან მსხალს, აგრეთვე ტუნას. ტუნა ესპანურ ენაში კარიბის კუნძულებზე მცხოვრები ხალხის ენიდან შევიდა, ესპანური ენის მექსიკურ ვარიანტში კი მცენარეს ნოპალი ჰქვია.*

*ინდურ ოპუნციას ოვალური ფორმის, ბრტყელი და წვნიანი, დანაწევრებული, ე.წ. სუკულენტური ღეროები აქვს, რომლებიც 3-5 მეტრი სიმაღლის ბუჩქს ქმნის. ორი წლის ასაკიდან მცენარეს ღეროების ზედა ნაწილში თეთრი, ყვითელი და წითელი ყვავილები გამოაქვს.*

*ნაყოფის ფერი იცვლება მკრთალი მწვანიდან მუქ წითლამდე, მსხალს წააგავს და სიგრძით 5-7,5 სმ-ია. ნაყოფს აქვს თეთრ-ყვითელი ან მოწითალო-იისფერი ნახევრად გამჭვირვალე რბილობი და უამრავი პაწაწინა თესლი, რომლებიც იჭმება. გემოთი ინდური ოპუნცია წააგავს ტკბილ საზამთროს, ზოგჯერ კი — მარწყვს ან ლეღვს. ნაყოფს ეკლებსა და სქელ კანს აცლიან და ბევრ ქვეყანაში გამოიყენება საკვებად როგორც უმი, ისე — გადამუშავებული სახით. მისგან ამზადებენ ჯემს, ჟელეს, რამდენიმე სახის ლიქიორს. ზოგჯერ საზამთროს მსგავსად მაცივარში აციებენ.*

*ინდური ოპუნციის ნაყოფში ძალიან მაღალია ვიტამინ C-ს შემცველობა, ყველა სხვა ხილს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი. მოსავალი ხელით გროვდება, რათა ნაყოფი არ დაზიანდეს.*

*მექსიკაში მწიფე ნაყოფს ხშირად ჩირავენ, მკვახეს კი ხარშავენ ან აშრობენ და ხორციან კერძებს ანელებენ. მცენარის ღეროებს ბოსტნეულად მიირთმევენ, აგრეთვე ამზადებენ კვერცხითა და წიწაკით. მოხარშული ღერო გემოთი ლობიოს მოგვაგონებს. ნაყოფიცა და ფოთლებიც, უმიცა და მოხარშულიც, დაჭრის შემდეგ შეიძლება აირიოს ხილის წვენში, ასევე კარგია გარნირად ქათმის ხორცთან ან მექსიკურ კერძებთან.*

*ჩრდილოეთ აფრიკაში ნორჩ ღეროებს იყენებენ საქონლის საკვებადაც. აშშ-ში ინდური ოპუნცია საგანგებოდ ამ მიზნით გააშენეს. მას ჭამენ გარეული ცხოველებიც, რომლებიც მშრალჰავიან ქვეყნებში წყლის 85%-ს სწორედ ასე იღებენ.*

*ინდური ოპუნციით აშენებენ ცოცხალ ღობეებს. კარგია ნიადაგის ეროზიის პრევენციისთვის. ტუნისსა და ალჟირში, ქვიშიანი უდაბნოების საზღვარზე, აშენებენ, როგორც მწვანე საფარს. მისგან იღებენ ბიოსაწვავსაც.*

*ინდური ოპუნცია შედის ოპუნციათა გვარში, რომლის 300-მდე სახეობა გავრცელებულია ამერიკაში, ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში, სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში, შუა აზიასა და კავკასიაში, მათ შორის — საქართველოში, თბილისის მიდამოებსა და დასავლეთში. ის ბევრგან გაველურებულია.*

*ინდიელებისთვის ოპუნცია უძველესი საკულტო მცენარეა. მექსიკაში, სადაც სახეობათა თითქმის ნახევარი იზრდება, ოპუნცია სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული.*











ინდური ოპუნციის ყვითელი ნაყოფი ♦ ყვავილობა ♦ სხვადასხვა ფერის ნაყოფი გასაყიდად ♦ დაჭრილი ნაყოფი ♦ ღეროები, როგორც ბოსტნეული ♦ წითელი ნაყოფის მწიფობა ♦ ოპუნცია მექსიკის სახელმწიფო გერბზე









# ფერმერები მეხორბლეობას უბრუნდებიან

*ჩვენს ქვეყანაში ხორბლის კულტურის მნიშვნელობისა და ქართული ხორბლის უნიკალური ჯიშების შესახებ კარგად იციან, თუმცა ავად სახსენებელ 90-იანებში ამან ხელი ვერ შეგვიშალა, გვქონოდა ხორბლის დეფიციტი და რუსეთიდან შემოზიდული საფურაჟე ხორბლის პური გვეჭამა. სამწუხაროდ, ეს ცოდნა არც დღეს გვშველის, როდესაც რუსეთმა ხორბლის იმპორტი გააძვირა და მის ნაცვლად ფქვილი შემოდის. სავარაუდოდ, რუსეთიდან ხორბლის იმპორტის შეწყვეტა კვლავ გამოიწვევს პურის გაძვირებას. ცუდია ისიც, რომ წისქვილკომბინატებში დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი რჩება — წისქვილების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ ხორბლის იმპორტის შეწყვეტის გამო ისინი მუშახელის დასაქმებას ვეღარ შეძლებენ.*



**„ხორბლის ნათესების ფართობის გაზრდაში დიდი როლი შეასრულა რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის შეფერხებამ. რუსეთმა ჯერ ხორბალი შეგვიწყვიტა, მომავალში კი, არ არის გამორიცხული, ფქვილიც შეგვიწყვიტოს. ამ ფონზე ქართული ხორბლის ფასმა ისე აიწია, რომ ფერმერმა მეტი ხორბლის დათესვა გადაწყვიტა“**

არადა, საქართველოში, მეხორბლეობის ერთ-ერთ უპირველეს სამშობლოში, ქვეყნისთვის საკმარისი ხორბლის მოყვანა შეგვიძლია. სამწუხაროდ, სახნავ-სათესები დაუმუშავებელია და მეტიც, გატყიურებული გვაქვს, თუმცა ზოგი ჭირი ხომ მარგებელია და ზაფხულში, როცა ხორბლის იმპორტი გაგვიძვირდა და პურის ფასმაც მოიმატა, საქართველოს მეხორბლეობის რეგიონებში დაფიქრდნენ და ხორბლის დათესვა გადაწყვიტეს. ჩვენში ყველაზე მეტი ხორბალი საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გორის, ხაშურისა და ქარელის რაიონებში მოდის და სწორედ ამ რაიონების მემარცვლეობაში მნიშვნელოვნად მოიმატა ხორბლის წილმა.

საინტერესოა, რა ხდება იმ რაიონებში, რომლებიც, ტრადიციულად, მეხორბლეობის კერებად არ ითვლებოდა. მაგალითად, ლაგოდეხში, ტრადიციულად უფრო სიმინდს თესავდნენ, ვიდრე ხორბალს, რომელიც ცოტა და, ძირითადად, საფურაჟედ ითესებოდა, წლეულს კი აღმოჩნდა, რომ ლაგოდეხში ხორბლის ნათესებმა 30%-ით მოიმატა.

მეხორბლეობის შესახებ გვესაუბრება სოფლის განვითარების სააგენტოს ლაგოდეხის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი გიორგი გოგრიჭიანი.

**— ხორბლის ნათესებმა წლეულს მთელ საქართველოში მოიმატა, მათ შორის — ლაგოდეხშიც, რაც მისასალმებელია, თუმცა მახსოვს მეხორბლეთა წუხილი, როდესაც მათ საქართველოში მოყვანილი ხორბალი უფუჭდებოდათ და ვერ ყიდდნენ. იგივე საშიშროება ხომ არ გვემუქრება?**

— ხორბლის ჩაწოლას თუ ნათესების მომატებას ბაზრის მოთხოვნა განაპირობებს. წლების წინ მართლაც უამრავი შემთხვევა იყო, როდესაც ხალხს გარჯითა და ოფლით მოყვანილი ხორბალი დაულპა და ან საერთოდ ვეღარ გაყიდა, ან წაგებით გაყიდა, ეს ყველაფერი კი ბიზნესმა გადაწყვიტა, რადგან მან უფრო იაფი ხორბალი მოძებნა. მაშინ ხორბალი იაფი იყო მთელ მსოფლიოში, მათ შორის — რუსულ ბაზარზეც, საიდანაც შემოიტანეს კიდეც და ნაკლებიც გადაიხადეს, ვიდრე ქართული ხორბლის შესაძენად გადაიხდიდნენ. ბიზნესისთვის ამგვარი არჩევანი შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად ჩაითვალოს, თუმცა ამ ტენდენციამ ჩვენს მეხორბლეებს იმედი გადაუწურა და მომდევნო წელიწადს უკვე ხორბალი კი აღარ დათესეს, არამედ სხვა მარცვლეული, რომელიც საფურაჟედ გამოიყენეს და რეალიზაცია არ გასჭირვებიათ.

**— საინტერესოა, რა პირობებმა გამოიწვია ჩვენი ხორბლის მაღალი ღირებულება. ეს, ალბათ, უმეტესად მოვლა-მოყვანის ხარჯები იყო.**

— ჩვენი ფერმერი თუ გლეხი ხორბლის მოწევაში გაცილებით მეტ შრომას და მეტ სახსრებს ხარჯავს, ვიდრე რუსეთის ტრამალებზე მოყვანილი ხორბლისთვის იხარჯება. იქ ეს საქმე აწყობილია, ჩვენ კი განადგურებული მეხორბლეობის აღდგენა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყეთ და დღესაც ბევრი პრობლემა გვაქვს, ამიტომ ჩვენი ხორბლის თვითღირებულება, ცხადია, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე რუსული ხორბლისა.

საქართველო ტრადიციული მეხორბლეობის ქვეყანაა და, ცხადია, ისე არ უნდა გვქონდეს საქმე, რომ რუსული იმპორტის შეწყვეტის გამო ვფრთხებოდეთ. რუსეთიდან ხორბლის ტრანსპორტირებაც იაფი ჯდება და ხორბლის იმპორტიც ამან განაპირობა. ეს ქვეყანა ჩვენი მტერია და კარგად ვიცით, რომ ნებისმიერ შესაძლო მომენტში გვიღალატებს, ამიტომ ჩვენს თავს თვითონ უნდა მივხედოთ, მით უფრო, როცა საქმე საარსებო ხორბალს ეხება.

**— როდესაც რუსეთმა ღვინის ბაზარი გადაგვიკეტა, სხვა ბაზრები მოვძებნეთ და ახლა საქართველოდან იმდენი ღვინო გადის, რომ ქართველი კაცი ყველგან ვენახის გაშენებას ცდილობს.**

— ხორბლის ნათესების ფართობის გაზრდაში მართლაც დიდი როლი შეასრულა რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის შეფერხებამ. რუსეთმა ჯერ ხორბალი შეგვიწყვიტა, მომავალში კი, არ არის გამორიცხული, ფქვილიც შეგვიწყვიტოს. ამ ფონზე ქართული ხორბლის ფასმა ისე აიწია, რომ ფერმერმა მეტი ხორბლის დათესვა გადაწყვიტა, თანაც ისეთისა, რომელსაც ადამიანები მოვიხმართ, თორემ საფურაჟეს აქამდეც ვთესავდით. ლაგოდეხში წლეულს ხორბალი 5 ათას ჰექტარზე დაითესა. ეს არ არის ის მონაცემი, რომელიც ტრადიციულ მეხორბლეობის რეგიონებს გაუტოლდება, მაგრამ ჩვენ ასეთი მაჩვენებელი არასოდეს გვქონია. რაც მთავარია, ფერმერებს მისი გაყიდვა არ გაუჭირდებათ. ამჟამინდელი ხორბლის ფასი მასზე დახარჯულ შრომასა და ენერგიას მეტ-ნაკლებად შეესაბამება.

**— საინტერესოა, უფრო მეტი ნათესი რომ გვქონდეს, ხორბლის ასაღები ტექნიკა თუ იქნება საკმარისი? ტექნიკის მოუცლელობის გამო სეზონზე ფერმერებს მისი დაქირავება უჭირთ.**

— ეს პრობლემა ლაგოდეხში ნაკლებად იგრძნობა, რადგან ფერმერებმა მასობრივად მიიღეს მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამაში და სიმინდისთვის კომბაინები თანამონაწილეობით შეიძინეს. ეს ტექნიკა ძალზე ძვირია, სამწუხაროდ, წვრილი ფერმერები მის შეძენას ვერ ახერხებენ. მთავარია, ვიშრომოთ და წარმატებული ქვეყანა გავხდეთ. ისრაელის მაგალითს მოვიყვან, მათ სახნავ-სათესი მიწა და ნიადაგი ცოტა აქვს, მაგრამ წყალზე იმდენი პროდუქცია მოჰყავს, რომ სასოფლო პროდუქციის უმეტესობაში თვითკმარია და სხვა ქვეყნებსაც კი ამარაგებენ.

ეთერ ერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენ ხანს ცოცხლობენ მწერები







*აბრეშუმის პეპელა ♦ ერთდღიურა მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობს ♦ ხარაბუზამ შესაძლოა 10-12 წელიწადსაც კი იცოცხლოს*

*(დასაწყისი გვ. 15)*

— ენტომოლოგები მწერების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე განსხვავებულად ვმსჯელობთ. ადამიანებს ხშირად ჰგონიათ, რომ მწერები მხოლოდ იმ ფორმით ცოცხლობენ, როგორსაც ხედავენ და ავიწყდებათ, რომ მათ განვითარების რამდენიმე ფაზის გავლა უწევთ: კვერცხიდან ლარვები და მატლები იჩეკებიან, ისინი ჭუპრის ფაზაში გადადიან და ამ მდგომარეობაშიც გარკვეულ დროს ატარებენ, ბოლოს კი გამოდის იმაგო, რომელსაც ყველა ვხედავთ. მწერები მხოლოდ ამ ფაზების გავლის შემდეგ ხდებიან ზრდასრული.

**— რამდენ ხანს ცოცხლობენ ეს პატარა „ფრთოსნები"?**

— დედამიწაზე არიან მწერები, რომლებიც სულ რამდენიმე საათი ცოცხლობენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც წლების განმავლობაში ვითარდებიან და იზრდებიან. ყველაზე ცოტა ხანს ე.წ. ერთდღიურა მწერები ცოცხლობენ, რომლებიც თავიანთ სასიცოცხლო ციკლს ერთ დღეში ასრულებენ. სოციალური მწერები, მათ შორის — ჭიანჭველები და ტერმიტები, დიდხანს ცოცხლობენ. მაგალითად,

დედა ჭიანჭველამ შეიძლება 30 წელიწადი იცოცხლოს, ხოლო მდედრმა ტერმიტებმა — 15 წელი. ბუნებამ ხანგრძლივი სიცოცხლით დააჯილდოვა პერიოდული ჭიჭინობელები (ციკადები), რომლებიც ამერიკის კონტინენტზე ბინადრობენ. მათი განვითარების სრული ციკლი 13-დან 15 წლამდე გრძელდება.

ჭიჭინობელას ლარვები დიდხანს ცოცხლობენ მიწის ქვეშ და 13-15 წლის შემდეგ ამოდიან. ზოგიერთი სახეობა მიწის ქვემოთ 17-18 წელიწადს ატარებს. როცა ისინი ზემოთ ამოდიან, ჩრდილოეთ ამერიკის ტყეები ივსება პერიოდული ჭიჭინობელებით. ამ მწერებს საკვებად იყენებენ ფრინველები, ძუძუმწოვრები და ადამიანებიც კი — ადგილობრივი მოსახლეობა მათ ხრაკავს, გემრიელ კერძებს ამზადებს და მიირთმევს.

**— საქართველოში არიან ჭიჭინობელები?**

— როგორ არა! ჩვენთან ჩვეულებრივი ჭიჭინობელა გვხვდება, რომლის განვითარებას 3-4 წელიწადი მაინც სჭირდება. ის ხალხს შეცდომით ჭრიჭინა ჰგონია. ზაფხულობით ტყეში გამაყრუებელი ჭრიჭინი რომ ისმის, ამ დროს სწორედ ჩვეულებრივი ციკადა ანუ ჭიჭინობელა „მღერის" და არა — ჭრიჭინა. ეტყობა, სახელების მსგავსების გამო ეს მწერი ბევრს ჰგონია ჭრიჭინა.

ძალიან დიდხანს ცოცხლობენ შავი ხარაბუზები. მათი ერთი სახეობა — სახლის შავი ხარაბუზა, ალბათ, ყველამ იცის, რადგან ის ძალიან მავნე მწერია.

**— რატომ?**

— სახლის შავი ხარაბუზა ხშირად ბინადრობს ხის ნაკეთობებში: კარ-ფანჯრებში, საწოლებსა და პარკეტში. ეს მწერი უცნაურ ხმებს გამოსცემს და ხის მასალას მანამდე ღრღნის, სანამ თავისი განვითარების ციკლს არ დაასრულებს. მისი „საქმიანობა" შეიძლება 10 წლის განმავლობაშიც გაგრძელდეს. სახლის შავი ხარაბუზა ახალ, დაუმუშავებელ ხე-ტყის მასალას მოჰყვება ხოლმე. ის ფიცრებში ხვრელებს აკეთებს, აზიანებს და მხოლოდ მაშინ გამოფრინდება, როცა ზრდასრულობის ფაზას მიაღწევს. სხვათა შორის, ჩემს სახლშიც დაიბუდა ერთმა ხარაბუზამ. ხის კარფანჯარა გვქონდა და მისი ხმა რვა წლის განმავლობაში მთელ ბინაში ისმოდა...

**— ხშირად პარკეტის ან ფანჯრების გაფუჭებას ხელოსანს აბრალებენ. მართლა ასეა?**

— ძნელია, ხელოსანმა ეს შეამჩნიოს, რადგან ამ მავნებელს კვერცხი ხეტყის მასალაში ადრევე აქვს ჩადებული და თუ მასალა თერმულად ან ქიმიურად არ არის დამუშავებული, შეიძლება თქვენს სახლში პარკეტს ან კარ-ფანჯრებს შემოჰყვეს. რა თქმა უნდა, მასალის ხარისხის შემოწმების მეთოდები ხელოსნებმა არ იციან. ხარაბუზა 10-12 წელიწადი ცოცხლობს და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული: საკვებზე, კლიმატზე, ადგილმდებარეობაზე და სხვ. სამაგიეროდ,

ცოტა ხანს ცოცხლობენ ბუზები და კოღოები, რომლებიც ზოგჯერ ერთი სეზონის განმავლობაში ვითარდებიან. ზოგიერთი კოღო მხოლოდ ერთი კვირა ცოცხლობს, ზოგი — 2-3 კვირა, ხოლო ოთახის ბუზი — 3-4 კვირა.

**— პეპლებიც ასე ცოტა ხანს ცოცხლობენ?**

— ისინი მხოლოდ ყვავილობის დროს აქტიურობენ, რადგან მათი სასიცოცხლო ციკლი ყვავილებთან არის დაკავშირებული. პეპლები ბევრ კვერცხს დებენ, მათგან პატარა მატლები იჩეკებიან და განვითარების 5-6 სტადიას გადიან, ჭუპრებად იქცევიან და ბოლოს დღის სინათლეზე გამოდის ულამაზესი პეპელა, რომელიც ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობს. პეპელას ცოტა საკვები ჰყოფნის, ის მხოლოდ მუხლუხოს ფაზაში ყოფნისას ანადგურებს ბევრ საკვებს. კვერცხების დადების შემდეგ პეპელა იღუპება, სულ კი ის ერთი თვე ცოცხლობს და ამ დროში ასწრებს ყველა ფაზის გავლას. აბრეშუმის ჭიას ანუ აბრეშუმის პეპელასაც დაახლოებით ერთი თვე სჭირდება, რომ კვერცხის ფაზიდან ზრდასრულ ფაზამდე მივიდეს, როცა პარკს დაახვევს.

აბრეშუმის პეპელა ყველაზე ნათელი მაგალითია, რა ფაზებს გადიან პეპლები თავიანთი სიცოცხლის გზაზე.

**— ფუტკრები რამდენ ხანს ცოცხლობენ?**

— დედა ფუტკარი 7-8 წელიწადი ცოცხლობს, მაგრამ მისი ნაყოფიერი პერიოდი 2-დან 5 წლამდეა, ამიტომ ხუთი წლის რომ გახდება, მეფუტკრეები დედა ფუტკარს ცვლიან. მუშა ფუტკრების სიცოცხლის ხანგრძლივობა 1-2 თვიდან 5-7 თვემდე გრძელდება. 1-2 თვეს ის მუშა ფუტკრები ცოცხლობენ, რომლებიც დღისით და ღამით მუშაობენ და დიდი ჯაფა უწევთ. ისინი უფრო მალე იხოცებიან. როცა ზამთარი მოდის, ფუტკრები აღარ მუშაობენ, სკაში სხედან, ერთმანეთს ათბობენ და დაგროვილ საკვებს მიირთმევენ. ამ დროს ისინი 6 თვემდეც ცოცხლობენ, ამიტომ გაზაფხულს უმეტესად ის მუშა ფუტკრები ხვდებიან, რომლებიც შემოდგომით გამოიჩეკნენ. რაც შეეხება მამრ ფუტკრებს, ისინი ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ — მათ თავიდან იშორებენ, რადგან ფუტკრის ოჯახში მუქთამჭამელი არ სჭირდებათ.

**— საიდან მოდის ჩრჩილის პეპელა, რომელიც ტანსაცმელს აზიანებს?**

— სახლის ჩრჩილი 2-3 კვირა ცოცხლობს. ქსოვილით იკვებება მისი მატლი, რომელიც მერე ჭუპრად იქცევა და ბოლოს ჩრჩილის პეპლის სახით გვევლინება. ამ მავნებელს ხშირად ხალხური მეთოდებით ებრძვიან: კაკლის ფოთლებს უწყობენ, კარგია პიტნისა და მენთოლის ნარევიც; ჩრჩილს არც დაფნის სუნი მოსწონს და ამ მცენარის ფოთლების გამოყენებაც შეიძლება. ადრე ნაფტალინსაც იყენებდნენ, მაგრამ ის განვითარებულ ქვეყნებში ხმარებიდან ამოიღეს. საქმე ის არის, რომ ნაფტალინი კანცეროგენია და ადამიანს დიდ ზიანს აყენებს. ახლა იაპონია და ჩინეთიც ამზადებენ პრეპარატებს, რომლებსაც სასიამოვნო სუნი აქვს და ტანსაცმელს ჩრჩილისგან იცავს.

**— რატომ გამოდიან პეპლები ზამთარში?**

— საერთოდ, პეპლები ზამთარში ჭუპრის ფაზაში არიან, მაგრამ არის ასეთი პეპელა — სფინქსი, რომელსაც სითბო ატყუებს. მას ჰგონია, რომ გაზაფხული დადგა და სამალავიდან ადრე გამოდის. ისინი მზიან ამინდში გარეთაც დაფრინავენ, მაგრამ ვერც საკვებს პოულობენ, ვერც თავშესაფარს და იღუპებიან, რადგან მოსვენებული მდგომარეობიდან არასწორ დროს გამოვიდნენ.

**— რომელი მწერია თქვენთვის გამორჩეული?**

— ზოგიერთი სახეობის მწერი წლის განმავლობაში 15-18 თაობას იძლევა. მაგალითად, ასეთები არიან დროზოფილები — ხილის მავნებლები, რომლებიც ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ, მაგრამ სამაგიეროდ, სწრაფად მრავლდებიან. ახლა დიდი ამბავია ატეხილი, რადგან ჩინეთიდან შემოვიდა საშიში მავნებელი დროზოფილა სუძუკი, რომელმაც შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ჩვენს მოცვის პლანტაციებსა და ვენახებს. ის სწრაფად მრავლდება და საშიში მავნებელია. ჩემთვის ძალიან საინტერესო არსებაა ტარანტული, რომელიც დიდხანს ცოცხლობს. მდედრის სიცოცხლის ხანგრძლივობა 36 წელია, ხოლო მამრი 12 წლამდე ცოცხლობს. ეს ფეხსახსრიანი საქართველოში არ ბინადრობს. მართალია, ის მწერი არ არის, მაგრამ ენტომოლოგიის სფეროში შედის და ნებისმიერი სპეციალისტისთვის საინტერესო არსებაა.

***ხათუნა ჩიგოგიძე***

## კითხვა-პასუხი



**როგორ შევინახო მოწეული გოგრა, რომ დიდხანს არ გაფუჭდეს?**

— გოგრას ინახავენ ნორმალური ტემპერატურისა და ნორმალური ვენტილაციის პირობებში. შეიძლება თაროებზე დალაგებაც და ჩამოკიდებაც. დაბალ ტემპერატურას უძლებს, ოღონდ არ უნდა გაიყინოს. შენახვა ჯიშებზეც არის დამოკიდებული, ყველა ჯიშისა არ ინახება. უფრო ხშირად გოგრა ძლებს ერთ წელიწადს, ზოგი კი ორსაც, ჯიშს გააჩნია.

**100 ლ წყალზე რა რაოდენობის შაბიამანი და კირი უნდა განზავდეს ვაზისთვის?**

— 1%-იანი ბორდოს ხსნარის დასამზადებლად 100 ლ წყალზე საჭიროა 1 კგ კრისტალური შაბიამანი და 700-800 გრამი ქვა კირი (კირი უნდა იყოს ნატეხები, უნდა დანამოთ წყლით. რომ დაიშლება, გააკეთეთ კირის „რძე" და შაბიამნიან ჭურჭელში ჩაასხით უწყვეტ, წვრილ ნაკადად, თან შეუჩერებლად ურიეთ).

**სოფელში 20 წლის წინ დარგული კაკლის ხე მიდგას, სახლის საძირკვლიდან 6 მეტრით არის დაცილებული. ძალიან დიდი გაიზარდა, მაინტერესებს, სახლის საძირკველს ხომ არ დაანგრევს?**

— ჩემი სააგარაკო სახლის გვერდით, 4-5 მ-ის დაშორებით, დგას უშველებელი კაკლის ხე, ალბათ, 35-40 წლის. სახლ-კარი რომ ვიყიდე 10 წლის წინ, ასე დამხვდა და ჯერჯერობით არაფერი დაუშავებია.

საერთოდ, სახლთან ასე ახლოს კაკლის დარგვა არ არის გამართლებული. უმჯობესია, კაკლის ნერგს ნაკვეთის ბოლოში, ჩრდილოეთის მხრიდან გამოუნახოთ ადგილი. სახლთან ახლოს მდგარი კაკლის ხის ფოთლები სახლის სახურავზე ცვივა და სანიაღვრე მილებში იჭედება, რაც მეტად არასასურველია.

რაც შეეხება თქვენი სახლის საძირკველს, არა მგონია, რამე საფრთხე ელოდეს. თუ მაინც გეეჭვებათ, სახლისკენ მიმართული ფესვები შეგიძლიათ ჩაჭრათ.

ძვირფასო მკითხველო! თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს. მოგვწერეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები, რაზეც პროფესიონალები გაგცემენ პასუხს. დაგვირეკეთ და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები თუ რჩევები.

ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ:
„პალიტრამედიის" ცხელ ხაზზე: (995 32) 219-60-13; (995 32) 219-60-53; ელფოსტით: mamul-deduli@palitra.ge; tel.: 557 002737; 593 358819

„მამულ-დედულის"
სარედაქციო კოლეგია

კონსულტანტი:
სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფიტოთერაპევტი **ნიკოლოზ იოსებიძე**

# ჯოჯოხეთას ხეობის უცნობი ეკლესია



*თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მორიგი საველე გეოდეზიური სამუშაოს დროს ძველისძველი ისტორიული ძეგლი აღმოაჩინეს — ჯოჯოხეთას ეკლესია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობნევიდან 4 კმ-ში, მდ. ტანის (თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი კალთა, მტკვრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა შენაკადის ჯოჯოხეთას ხევში, ჯემულის ქედზე, ზღვის დონიდან 1485 მეტრზე მდებარეობს. როგორც ამბობენ, ეკლესია დარბაზულია, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან აქვს მინაშენი. ძეგლი მთლიანად, ხოლო ეკლესიის შესასვლელი ნაწილობრივ, ჩაფლული და დაფარულია მიწით და ნაშალით. ახლო მომავალში მის შესწავლას დაიწყებენ. გვესაუბრება გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი* **დიმიტრი ძართლელიშვილი:**

**„ზოგი ამბობს, ღვთისმშობლის სახელობისაა და რესტავრაცია მე-16 საუკუნეში ჩაუტარდაო. სახურავი უკვე ჩამოქცეული აქვს და ზედ დაახლოებით ასმეტრიანი ნაძვი დგას, თვითონ ეკლესიაშიც მრავალწლოვანი წიწვოვანი მცენარეებია ამოსული. ეკლესია მთლიანად და შესასვლელი ნაწილობრივ დაფარულია მიწით და ნაშალით...**

— ჩვენი დეპარტამენტი საველე გეოდეზიურ სამუშაოს აწარმოებს და სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკებს ადგენს. საველე მუშაობის დროს ძნელად მისადგომ ადგილებში ვაწყდებით ისეთ ძეგლებს, რომლებიც ხალხისთვის უცნობია. ისტორიული ძეგლების იდენტიფიცირება ძნელია, რადგან დაფარულია ხემცენარეებით. ასე მივაგენით გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბობნევთან ერთ ძეგლს. იმ ადგილს მდინარე ჯოჯოხეთას ხევს ეძახიან. რატომ ჰქვია ასე, არავინ იცის. ეკლესია ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კაპიტანმა ზვიად თურმანიძემ და ვიცე-პოლკოვნიკმა ალექსანდრე მუმლაძემ, წლი-ნახევრის წინ აღმოაჩინეს. ახლახან სამივენი ხელმეორედ ავედით ხეობაში, წავიღეთ ფოტოაპარატი, დავასურათეთ ძეგლი, დავადგინეთ ლოკაცია და კოორდინატები და რა ინფორმაციაც მოვიპოვეთ, გარემოს დაცვის, ძეგლთა დაცვის სამსახურსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტს გადავეცით.

**— ვისი სახელობისაა ეკლესია ან რომელი საუკუნის უნდა იყოს?**

— ზოგი ამბობს, ღვთისმშობლის სახელობისაა და რესტავრაცია მე-16 საუკუნეში ჩაუტარდაო. სახურავი უკვე ჩამოქცეული აქვს და ზედ დაახლოებით ასმეტრიანი ნაძვი დგას, თვითონ ეკლესიაშიც მრავალწლოვანი წიწვოვანი მცენარეებია ამოსული. ეკლესია მთლიანად და შესასვლელი ნაწილობრივ დაფარულია მიწით და ნაშალით. ჯოჯოხეთას ეკლესია ორნავიანი უნდა იყოს, ძეგლთა დაცვის სპეციალისტი არა ვარ და ზუსტად აღწერას ვერ ვახერხებ. მოპოვებული ინფორმაცია უკვე მივაწოდეთ რესტავრატორ-არქიტექტორ ნოდარ მინდორაშვილს და ხელოვნებათმცოდნე თამაზ დვალს. ძეგლის გარშემო ნასახლარებიც უნდა იყოს. ძეგლის ზედა ნაწილი აგურებით არის დაშენებული, ხელოვნებათმცოდნის აზრით, დაახლოებით მე-16 საუკუნეში. აქაურობა ბაღვაშების სამფლობელო ყოფილა და უფრო ძველი უნდა იყოს.

**— ფრესკის კვალი თუ ჩანს?**

— წვიმამ და მზემ ჩამორეცხა ყველაფერი. თუ გათხრები ჩატარდა, ეკლესია სიმაღლეში უფრო მოიმატებს და სრულად გამოჩნდება ძეგლის პროპორციები. შესაძლოა იმ ტერიტორიაზე საფლავის ქვებიც იყოს, ნასახლარებიც...

**— სხვა უცნობი ისტორიული ძეგლები თუ შეგხვედრიათ ხეობაში?**

— ხეობა მდიდარია ასეთი ძეგლებით, იქ უამრავი ეკლესია-მონასტერია. ჩვენ ბევრი სხვა სამონასტრო კომპლექსიც ვნახეთ. მხოლოდ ისტორიული ძეგლები არ იგულისხმება, ლაპარაკია ბუნების ძეგლებზეც, რომლებიც შეიძლება ბუნების ძეგლთა შემადგენელი ნაწილები იყოს. ასეთივე აღმოჩნდა მდინარე ვერეს მარცხენა შენაკადის აუზში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის რესტავრაცია დაიწყო. ეს არის საკმაოდ დიდი ტაძარი, რომელიც ღვარცოფულ და მეწყრულ მასაშია ჩაფლული.

ყველა ამგვარი ინფორმაცია ჩვენს სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკებზე აისახება. ჩვეულებრივ, სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკებზე ასეთ ძეგლებს არ აღნიშნავდნენ, ან თუ აღნიშნავდნენ, ნანგრევის ტოპოგრაფიულ ნიშანს მიუსადაგებდნენ. ჩვენი სამსახურის ინიციატივით სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკებზე ყველა ასეთი ისტორიული ძეგლი იქნება აღნიშნული. ბევრი მსგავსი ძეგლი გვინახავს ჯავახეთში, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა არ არის. იქ უამრავი ქართული ტაძარია, რომლებიც არც ერთ აღწერაში არ არის მოხსენიებული და არც რუკებზეა დატანილი, არც ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. დეპარტამენტში ტრადიციადაა ქცეული — უქმეებზე პოლკოვნიკ ნოდარ ხორბალაძის ხელმძღვანელობით გასვლებს ვაწყობთ. სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის ყველა სამსახურში უნდა დამკვიდრდეს ასეთი ტრადიცია. თითოეულ გასვლას უნდა ჰქონდეს ზოგადეროვნული მნიშვნელობა, უნდა აღირიცხოს ყველაფერი. თან მიგვაქვს ტომრები და დაბინძურებულ გარემოსაც ვასუფთავებთ. ეს წესი ბატონმა ნოდარმა დაამკვიდრა. კაპიტან ზვიად თურმანიძეს თანამშრომლებთან ერთად მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი. ცდილობს პატრიოტული საქმე აკეთოს და ჩვენ მაგალითს გვაძლევს.

P.S. ნოდარ ხორბალაძემ თედო გორგოძესთან ერთად პირველად საქართველოში გამოსცა ოფიცრის ატლასი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ეროვნული პრემია მიენიჭა. ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

**ნანა ფიცხელაური**

3 თებერვლიდან ჟურნალ „გზასთან“ ერთად

ადამიანი და ასტროლოგია

როგორ იყოფა ზოდიაქოს ნიშნები?

ასტროლოგიაში ზოდიაქოს თორმეტ ნიშანს, მათი საერთო მახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარე, რამდენიმე ჯგუფად ყოფენ. ამ დაყოფაში ყველაზე პოპულარული სამ და ოთხ ჯგუფად დაყოფაა. პირველ მათგანს მოდალურობის (კვადრანტების), მეორეს კი სტიქიების მიხედვით დაყოფა ეწოდება.

მოდალურობა
კარდინალური ნიშნები: ვერძი, კირჩხიბი, სასწორი, თხის რქა
ფიქსირებული ნიშნები: კურო, ლომი, მორიელი, მერწყული
მუტაბელური ნიშნები: ტყუპი, ქალწული, მშვილდოსანი, თევზები

სტიქიები
ცეცხლის სტიქია: ვერძი, ლომი, მშვილდოსანი
მიწის სტიქია: კურო, ქალწული, თხის რქა
ჰაერის სტიქია: ტყუპი, სასწორი, მერწყული
წყლის სტიქია: კირჩხიბი, მორიელი, თევზები

სპეციალური ფასი: 5₾ ჟურნალთან ერთად: 7₾



იკითხეთ პრესის გავრცელების წერტილებში; ან შეიძინეთ ონლაინ www.palitral.ge საიტიდან და ისარგებლეთ სახლში მიტანის სერვისით; ტელ: +995 32 238 38 71

პალიტრა L

ქართველები უცხოეთში

# „საიდანაც მოვედი, იქვე მინდა – მიწის ყივილი“

*თეკლა შარვაშიძე 3 წლის იყო, როცა მშობლებმა ავსტრიაში ცხოვრება გადაწყვიტეს. ახალ გარემო პირობებს ადვილად შეეგუა, სამშობლოში კი 11 წლის შემდეგ დაბრუნდა. თეკლა ამჟამად 22 წლის არის და ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინტერნაციონალური ბიზნესადმინისტრაციის ფაკულტეტზე სწავლობს. 2018 წლიდან არის Sag's Multi! / Konnex Alumni-Club-ის პროექტების მენეჯერი და საბჭოს წევრი. ქართულის გარდა კიდევ სამ ენაზე ლაპარაკობს, სწავლობს და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს, ასევე კარგად მღერის, ცეკვავს, ხელსაქმე ეხერხება და ულამაზეს აქსესუარებსაც ქმნის.*




— დავიბადე ქუთაისში. 2002 წლიდან ვცხოვრობ ავსტრიაში, ვენაში. მყავს ერთი და, 18 წლის. მშობლები ფიქრობდნენ, რომ მალე დაბრუნდებოდნენ უკან, მაგრამ ვერ მოხერხდა. დედა ექთანია, მოხუცთა თავშესაფარში მუშაობს, მამა — საერთაშორისო მუზეუმში. ბაღში ჩემი თანატოლებისგან სწრაფად ვისწავლე გერმანული. სკოლაში რომ მივედი, უკვე კარგად ვლაპარაკობდი და ყველაზე კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. არ არის იოლი სამშობლოს მიტოვება. არც ჩემი მშობლებისთვის ყოფილა ადვილი. ხუთი წელი კარიტასში, ანუ თავშესაფარში ვიცხოვრეთ. ოთხივე ერთ ოთახში ვიყავით, მაგრამ, სირთულეების მიუხედავად, ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მშობლები ცდილობდნენ, პრობლემები ჩვენ არ შეგვხებოდა.

საბუთების მოლოდინში გავიდა 11 წელი და პირველად 2014 წელს ჩავედით საქართველოში. ბედნიერი და აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ამდენი წლის მერე ყველა მონატრებული ადამიანი ვნახე. ვცდილობთ, ყოველ ზაფხულს ჩამოვიდეთ. დედ-მამა ყოველთვის ცდილობდა, ჩვენს ქვეყანასთან კავშირი არ გაგვეწყვიტა, ამიტომ დავყავდით ქართულ ცეკვაზე საკვირაო სკოლაში, მანამდე ქართულად წერა-კითხვა გვასწავლეს და დღეს რომ მშობლიურ ენაზე ვლაპარაკობთ, ჩემი მშობლების დამსახურებაა, ოღონდ სიტყვების მარაგი არ მაქვს და ვცდილობ, მუდმივად ვიკითხო ქართულად.

ამბობენ, ნოსტალგია ისე არავის აწუხებს, როგორც ქართველსო და მართლაც ასეა. აქ ყველაზე მეტად გენატრება საყვარელი ადამიანების სითბო. ახლახან ბებია გარდამეცვალა და ვერ ჩამოვედით. ეს ძალიან რთულია... ვცდილობ, არ დავკარგო კავშირი ჩემს ქვეყანასთან და აქ მიღებული განათლებითა და გამოცდილებით საქართველოს გამოვადგე. ვცდილობ, მეტმა ადამიანმა გაიგოს ჩემი სამშობლოს შესახებ.

**„იმის თქმა, თითქოს ჩვენ საქართველოსთვის დაკარგულები ვართ, ძალიან მწყინს. ბევრი ემიგრანტი სწორედ თავის წარმატებით ცდილობს ქვეყანას გამოადგეს და მასთან კავშირი არ გაწყვიტოს“**

პირველად 2015 წელს ვმონაწილეობდი Assoziation Economy for Integration-ის ინიცირებულ მრავალენოვან მეტყველების კონკურსში, რომელშიც გავიმარჯვე. 500 მონაწილე იყო ავსტრიიდან და ჩემ გარდა კიდევ ერთი ქართველი მონაწილეობდა. 15 გამარჯვებულს შორის მოვხვდი. გვევალებოდა 10 წუთში თემის დაწერა მშობლიურ და გერმანულ ენებზე. დავწერე, როგორ დატოვეს ჩემმა მშობლებმა საქართველო და რა მტკივნეული იყო ეს და რას ნიშნავდა სამშობლო ჩვენთვის. თემას დავარქვი: „საიდანაც მოვედი, იქვე მინდა — მიწის ყივილი“. ამან ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში.

2015 წელს წარმადგინეს ვენის ქალთა პრიზისმოსაპოვებლად, გავიმარჯვე და 500 ევროთი დამაჯილდოეს. 2018 წლის დეკემბერში ვუხელმძღვანელე პროექტს „საშობაო საჩუქრები პატარა ანგელოზებისთვის“ ქართულ კარიტასში მცხოვრები ბავშვებისთვის. 2018 წლის მარტიდან Sag's Multi! / Konnex Alumni-Club-ის პროექტების მენეჯერი და საბჭოს წევრი ვარ. ოთხი გოგო ვართ, პროექტებზე ვმუშაობთ, ახალგაზრდებთან გვაქვს ურთიერთობა, რაც ძალიან მომწონს. მაგალითად, ვენის ქართულ სათვისტომოსთან ერთად ვუხელმძღვანელე პროექტს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ერთ ზაფხულს საქართველოში რომ ჩავედი, რამდენიმე სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახში მივედი და ჩავიწერე, ვის რა სურვილი ჰქონდა. ვენაში დაბრუნების შემდეგ ჩავატარეთ საქველმოქმედო საღამო. კულტურულ ღონისძიებებზე ავსტრიელებს გავაცანით ქართული კულტურა სამზარეულოსთან ერთად და 2000 ევრო შევაგროვეთ. მერე ბავშვებს საჩუქრები ვუყიდეთ და გავუგზავნეთ. ძირითადად, ჩანთებს, რვეულებს ნატრობდნენ. ზოგი ბავშვი კარგ ტელეფონსა და კომპიუტერს ითხოვდა, მათ კი ასფურცლიანი რვეულები და ჩანთები ინატრეს... მომინდა, ცოტა რამ მაინც გამეკეთებინა ჩემი ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის. მაშინ 15 წლის და, მგონი, უფრო გამბედავი ვიყავი.

**— თეკლა, რა პროფესიას ეუფლებით და რამ განაპირობა ეს არჩევანი?**

— 2006 წლიდან 2010-მდე ვსწავლობდი დაწყებით საგანმანათლებლო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ეკონომიკის მეცნიერებათა რეალურ გიმნაზიაში და წარმატებით დავამთავრე 2018 წელს. 15 წლისას ძალიან მაინტერესებდა დიპლომატია, ერთხანს მოდელობაც მიტაცებდა, მაგრამ საბოლოოდ ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტერნაციონალური ბიზნესადმინისტრაციის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ახლა ბოლო კურსზე ვარ. ძალიან მაინტერესებს მარკეტინგიც. 2019 წელს გავიარე სამთვიანი პრაქტიკა რისკების მართვის, მესამე მხარის დაფინანსებისა და ცოდნის მენეჯმენტის განყოფილებაში. 2019 წელს გავხდი European Student Think Tank-ის ახალგაზრდა ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში. 2019 წელს გავიარე ერთთვიანი პრაქტიკა ვენის საქართველოს საელჩოში. ერთი სიტყვით, საბოლოო არჩევანი ჯერ არ გამიკეთებია. წერაც მომწონს. 2021 წელს კონკურსშიც ვმონაწილეობდი და დაიბეჭდა ჩემი წიგნი „Heimat“ (სამშობლო).

**— ამ ყველაფერთან ერთად ქართველ ბავშვებს ასწავლით, პანდემიის პერიოდში კი ხელნაკეთი აქსესუარებიც შეგიქმნიათ...**

— ქართველ ბავშვებთან კერძო გაკვეთილებს ვატარებ. ზოგმა იცის ქართული, ზოგს უჭირს. ბევრი მათგანი დადის საკვირაო სკოლაში. რაც შეეხება აქსესუარებს, ხელსაქმე პატარაობიდან მეხერხებოდა. ეს ძალიან მამშვიდებდა, მაგრამ პანდემიის პერიოდში უფრო აქტიურად დავიწყე თმის სამაგრების კეთება და გაყიდვა. სათამაშოებსაც ვკერავ.

**— რადგან პანდემია ახსენეთ, გკითხავთ, რა ხდება ავსტრიაში?**

— მთელი სემესტრი ონლაინ ვსწავლობთ. საშინელებაა! მე თვითონაც ხომ ვამზადებ ბავშვებს და ვატყობ, ინტერესი დაკარგეს. გახსნილია ყველაფერი, მაგრამ აუცრელებს კვების ობიექტებში შესვლა ეკრძალებათ. რაკი „ომიკრონი“ ასე გავრცელდა და დღეში 17 000-მდე ინფიცირებული გვყავს, კვლავ აპირებენ ლოკდაუნის გამოცხადებას. უმეტესობა აცრილია, მაგრამ სამჯერ აცრილებსაც ემართებათ კოვიდი, ამიტომ ეშინიათ.

**— რა გეგმები გაქვთ?**

— ჩემს სკოლაში ერთმა ავსტრიელმა გოგომ ქართულის სწავლის სურვილი გამოთქვა და ყოველ შესვენებაზე ვასწავლიდი ქართულ სიტყვებს. ბევრი ტურისტად ეწვია ჩვენს ქვეყანას და როდესაც მეუბნებოდნენ, აღფრთოვანებული დავრჩითო, ძალიან მიხაროდა. მინდა, მეტს მოვანდომო, ჩამოვიდნენ საქართველოში და გაიგონ მეტი ჩვენი ქვეყნის, მისი ტრადიციებისა და კულტურის შესახებ. ჯერჯერობით კონკრეტული გეგმა არ მაქვს. დავამთავრებ უნივერსიტეტს და ვნახოთ, რა იქნება. ჩემს მშობლებს დაბრუნება სურთ. როცა ამბობენ, თითქოს ჩვენ საქართველოსთვის დაკარგულები ვართ, ძალიან მწყინს. ბევრი ემიგრანტი სწორედ თავის წარმატებით ცდილობს ქვეყანას გამოადგეს და მასთან კავშირი არ გაწყვიტოს.

**ნინო ჯავახიშვილი**

21 თებერვლიდან ახალი სერია გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ერთად




საქართველოს ისტორიის პალიტრა

გაეცანი საქართველოს წარსულს სხვადასხვა ჭრილში

ამ წიგნების გამოცემის მიზანი არაა პოლიტიკური ისტორიის მოთხრობა, რომლის დროსაც მოვლენებს თითქოს ზემოდან ვუმზერთ, არამედ გვსურს დავავიწროვოთ თემატიკა და მოგიყვეთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

* ქართველთა ყოფა-ცხოვრება * მედიცინა * მოდა
* კვებისა და მოლხენის კულტურა * ეკონომიკური ცხოვრება
* ზღვაოსნობა და ტყვეებით ვაჭრობა * მონეტარული პოლიტიკა
* სამხედრო ისტორია და სხვა.

15 ტომად

პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი ჯაბა სამუშია

იკითხეთ პრესის გავრცელების წერტილებში; ან შეიძინეთ ონლაინ www.palitral.ge საიტიდან და ისარგებლეთ სახლში მიტანის სერვისით; ტელ: +995 32 238 38 71.

პალიტრა L

# „ჩემი ყველა გამარჯვება სამშობლოს და იმ ადამიანებს ეძღვნება, ვინც მე მგულშემატკივრობს“

*საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ნომინაციაში „2021 წლის აღმოჩენა — ოლიმპიური იმედი“ გამარჯვებულად 26 წლის ნიჩბოსანი მარიამ ძერძიკაშვილი დაასახელა. მარიამს წარმატებების, სპორტის ამ სახეობის პრობლემებისა და გეგმების შესახებ ვესაუბრეთ.*



— 2021 წელი ჩემთვის ემოციურად ძალიან დატვირთული იყო, რადგან მნიშვნელოვანი შეჯიბრებები მქონდა. მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა ძალიან გამიხარდა, მაგრამ იმავდროულად, იმედგაცრუებაც დამეუფლა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონობამდე ძალიან ცოტა დამაკლდა და ჩემი გულშემატკივრების იმედი ვერ გავამართლე. ვთვლი, რომ მეტი შემეძლო. წლის აღმოჩენად დასახელება კი მართლაც ძალიან გამიხარდა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

**— როდის დაინტერესდით სპორტის ამ სახეობით და აქამდე რა წარმატებებს მიაღწიეთ?**

— ნიჩბოსნობით 10 წლის ასაკში დავინტერესდი. ჯერ ჩემი ძმა დადიოდა და მთხოვა, მეც მასთან ერთად მევლო. მერე მან თავი დაანება და მე დავრჩი. ვარჯიში ბაიდარკით დავიწყე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემთვის კანოე უფრო საინტერესო იყო. ოჯახის წევრებს თავიდან ეგონათ, გასართობად დავდიოდი, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, სერიოზულად ვიყავი განწყობილი. დედაჩემს უნდოდა კომაროვის სკოლაში ჩამებარებინა, მაგრამ არ გამოვიდა...

ჩემი წარმატება 14 წლიდან იწყება, როცა პირველად გამოვედი შეჯიბრებაზე და მეოთხე ადგილი დავიკავე. შემდეგი იყო 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, სადაც მეხუთე ადგილი მერგო. 500 მეტრ დისტანციაზე იტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი ავიღე, ჩეხეთის ევროპის ჩემპიონატზე — მესამე ადგილი. მოგებული მაქვს საქართველოს ჩემპიონატიც, ვმონაწილეობდი ევროპის თამაშებში, შარშან ორი სალიცენზიო ტურნირი მქონდა. მხოლოდ პირველ ადგილზე გასულს შეეძლო ტოკიოს საგზურის მოპოვება და სამწუხაროდ, ორივე ტურნირზე მეორე ადგილი მერგო. გავხდი ევროპის ვიცე-ჩემპიონიც. რაც შეეხება წლის ბოლო შეჯიბრს, მსოფლიოს ჩემპიონატზე 200-მეტრიან დისტანციაზე მეორე ადგილი ავიღე და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი. ყველაზე ემოციური იყო ბარნაულში სალიცენზიო ტურნირი, რომელზეც, სამწუხაროდ, ლიცენზია ვერ მოვიპოვე და ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა.

**— სპორტის ეს სახეობა საქართველოში პოპულარულია? როგორც ვიცი, ადრე არსებობდა ნიჩბოსნობის სკოლა. ახლა როგორი მდგომარეობაა?**

— ნიჩბოსნობა საქართველოში არცთუ ისე პოპულარულია, არადა, არის კარგი ადგილები, სადაც შეგვიძლია მომზადება, მაგალითად, ფოთი, ბაზალეთი, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

**— რა უნარებია საჭირო სპორტის ამ სახეობაში წარმატების მისაღწევად?**

— ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გვიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებთ და სირთულეების არ შეგვეშინდეს.

**— და რა სირთულეები ახლავს ვარჯიშს? ზამთრისთვის სპეციალური ტრენაჟორებია საჭირო? და გაქვთ ამის შესაძლებლობა?**

— დილით 10 საათზე გავდივართ წყალზე და 2 საათის განმავლობაში ვვარჯიშობთ. საღამოს 4 საათზე ვიწყებთ და 6 საათზე ვამთავრებთ. რეჟიმი ძალიან რთულია, რადგან წლის განმავლობაში სულ შეკრებებზე გვიწევს ყოფნა და ოჯახიდან შორს ვართ. თვეში ერთი კვირა ვართ სახლში. ყველაზე რთული მაინც

**„დილით 10 საათზე გავდივართ წყალზე და 2 საათის განმავლობაში ვვარჯიშობთ. საღამოს 4 საათზე ისევ ვიწყებთ და 6 საათზე ვამთავრებთ. ყველაზე რთული მაინც ზამთარში ვარჯიშია, რადგან ყინვაში გარეთ მინიმუმ 2 საათი გვიწევს ყოფნა“**

ზამთარში ვარჯიშია, რადგან ყინვაში გარეთ მინიმუმ 2 საათი გვიწევს ყოფნა. რაც შეეხება ტრენაჟორებს, საქართველოში სულ ერთი ასეთი ტრენაჟორი გვაქვს.

**— რას საქმიანობთ სპორტის გარდა?**

— მცხეთაში დავიბადე, მაგრამ დუშეთში, სოფელ მლაშეში ვიზრდებოდი. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. თავისუფალ დროს ჩოგბურთს ვთამაშობ. ხშირად ვუყურებ მუსიკალურ შოუებს. ამ ეტაპზე ჩემთვის პრიორიტეტია ვარჯიში და ჯერჯერობით დაოჯახებაზე არ ვფიქრობ.

**— ყველაზე მეტად ვინ გგულშემატკივრობთ?**

— ყველაზე მეტად ჩემი დიდი ოჯახი მგულშემატკივრობს, თუმცა მაინც ბიძას გამოვარჩევდი და ჩემს მეგობრებს, რომლებიც მუდამ ჩემ გვერდით არიან.

**— როგორი გეგმები გაქვს?**

— მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის ვემზადები. ევროპის ჩემპიონატზე თამაშდება ევროპის თამაშების ლიცენზიები და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირი იქნება. მომიწევს განსხვავებულ ასაკში ასპარეზობა, მაგრამ იმედია, ყველაფერი გამომივა.

**— წარმატებებს გისურვებთ! ერთ-ერთი ტურნირის შემდეგ თქვით, ყველაფერს გავაკეთებ, ჩემი ქვეყანა რომ ვასახელოო. თქვენი ყველა გამარჯვება სამშობლოს ეძღვნება?**

— მახსოვს ჩემი სიტყვები და, რა თქმა უნდა, ჩემი ყველა გამარჯვება როგორც სამშობლოს, ასევე ჩემს ოჯახსა და განსაკუთრებით იმ ადამიანებს ეძღვნებათ, ვინც მე მგულშემატკივრობს.

**ნინო ჯავახიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოგრაფიის მამა

# ყველაზე, ყველაზე




რონ გალელა, ნეილ ტენდის ფოტო



*„ფოტოგრაფიის სიყვარული მოზარდობის ასაკში დაიწყო. „კოდაკის“ ფოტოაპარატი მქონდა და ყველას პოზირებას ვთხოვდი. ამიტომაც პროფესიის არჩევისას ფოტოგრაფია ავირჩიე“, — მიყვება პაპარაცების პიონერად აღიარებული რონ გალელა, რომლის ობიექტივში გაიელვა ჰოლივუდის 1960-იანმა, 70-იანმა, 80-იანმა, 90-იანმა წლებმა. წარმოშობით იტალიელი ფოტოგრაფი 91 წლისაა და ნოემბერში მე-16 წიგნი გამოსცა სახელწოდებით* **100 ICONIC Photographs – A Retrospective**, *რომელშიც ნახავთ მის აქამდე გამოუქვეყნებელ ფოტოებს კადრს მიღმა ისტორიებით. მან 3 მილიონზე მეტი ფოტო გადაიღო, 2016 წელს კი ჟურნალმა* **Time Magazine**-*მა რონ გალელას გადაღებული ფოტო, სახელწოდებით „ქარწაღებული ჯეკი“, რომელზეც ჟაკლინ კენედი-ონასისია აღბეჭდილი, ყველა დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფოტოდ დაასახელა.*

*როგორ გადაიღო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოტო და რა გადახდა კადრს მიღმა, თავად რონ გალელა უამბობს „კვირის პალიტრის“ მკითხველს.*

**— მინდა საუბარი დავიწყოთ „ქარწაღებული ჯეკით“. ეს ფოტო დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. როგორ გადაიღეთ?**

— 1971 წლის 7 ოქტომბერი იყო, ნიუ-იორკი, მედისონ ავენიუ... დიახ, ჯეკი კენედი-ონასისს გადავუღე ჩემი ყველაზე დიდებული და პოპულარული ფოტო „ქარწაღებული ჯეკი“, ჩემი მონა ლიზა... მაკიაჟის გარეშე იყო, არც თმა ჰქონდა განსაკუთრებულად დავარცხნილი... ეს იყო ბუნებრივი სილამაზე... გვიანი შუადღე იყო, მზიანი, დაახლოებით 4 საათი. ერთი მოდელის გადაღება დავასრულე. როგორც სილამაზის მოტრფიალე ადამიანმა, უანგაროდ ვიმუშავე, მაგრამ ვიფიქრე, გადაღების შემდეგ ცენტრალ პარკისკენ გავივლი, ჯეკი კენედის სახლის ახლომახლო-მეთქი, იმ იმედით, რომ სადმე გადავეყრებოდი და ასეც მოხდა! უკვე პარკიდან გამოსვლას ვაპირებდი, როდესაც თვალი მოვკარი ჯეკის. ის შენობის უკანა კარიდან გამოვიდა და მედისონ ავენიუსკენ გაეშურა. ვერ ვიჯერებდი, რომ ის იყო. მე და ჩემი პარტნიორი ჯოი დისტანციის დაცვით ავედევნეთ. უცებ მარცხნივ გაუხვია, მაგრამ მის წინ გადარბენას არ ვაპირებდი — ეს რომ გამეკეთებინა, მაშინვე მიცნობდა და თავის დიდ მუქ სათვალეს გაიკეთებდა, ამიტომ ტაქსი გავაჩერეთ და იმ ქალს მიჰყევით-მეთქი, მძღოლს ვუთხარი. ჯეკი ქუჩის გადაკვეთას აპირებდა. მე ტაქსის ფანჯარა ჩამოვწიე და ორი კადრი გადავუღე. მან ვერ დამინახა, ვერც ფოტოაპარატის ჩხაკუნი გაიგონა ნიუ-იორკის ხმაურის წყალობით. კადრების გადაღების შემდეგ მოულოდნელად მძღოლმა დაასიგნალა. აი, ზუსტად ამ დროს ჯეკი ჩვენკენ შემოტრიალდა და მე მესამე კადრი გადავუღე. ეს იყო, როგორც ფოტოჟურნალისტიკის მამა ანრი კარტიე-ბრესონი იტყოდა, გადამწყვეტი მომენტი. მთელ მსოფლიოში „ქარწაღებული ჯეკის“ ყველაზე ბევრი ეგზემპლარია გაყიდული. ჯეკი ოდნავ იღიმის, ფოტოს შუქ-ჩრდილები კი მის სექსუალურობას გამოკვეთს. ასეთი ფოტო სტუდიაში არ გამოვიდოდა. გადაღების დროს ჯეკიმ არ იცოდა, რომ მე ვიყავი, რადგან სახეს კამერა მიფარავდა. როგორც კი მიცნო, სათვალე გაიკეთა, თუმცა ჩვენ არ გავჩერდით, ფოტოაპარატს ლინზები სწრაფად გამოვუცვალე და ჯოის ვთხოვე, კადრში მე და ჯეკი ერთად მოვექციეთ. იმდენი კადრი გადავიღეთ, რომ ბოლოს გაცხარებული ჯეკი შემომიტრიალდა და მკითხა: „დაკმაყოფილდი?“ მივხვდი, რომ დრო იყო, გავჩერებულიყავით და ვუპასუხე: „დიახ, გმადლობთ“. ამის შემდეგ წამოვედით. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ეს ფოტო გახდებოდა ყველაზე პოპულარული, ყველაზე ცნობილი და ყველასთვის საინტერესო.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ სტივ მაკქუინის ცნობილ ფოტოზე. მისი მონაწილეობით ფილმებმა 1950-70-იან წლებში ხომ ყველა რეკორდი მოხსნა...**

— 1973 წლის 15 აპრილი იყო, მონტეგო-ბეი, იამაიკაზე ფილმ „ფარვანას“ გადაღებები მიმდინარეობდა. იქ არის ეს ფოტო გადაღებული.

როდესაც ალი მაკგროუს ვიღებდი, არასდროს პრობლემა არ შეუქმნია, პირიქით, ძალიან მეგობრული იყო. 1971 წელს გადავწყვიტე, ჩემი გადაღებული ფოტოები გამეგზავნა მისთვის. პასუხი მალევე გამომიგზავნა, მადლობა საოცარი ფოტოებისთვისო. ვთხოვე შემხვედროდა და კიდევ გადაგვეღო ფოტოები, მაგრამ მითხრა, რომ მისი მომდევნო ფილმის გამოსვლამდე ფოტოგადაღებებზე უარს ამბობდა. ამ პერიოდში ის ბობ ევანსს გაჰყვა ცოლად და პატარა ბავშვი ჰყავდა. 1972 წელს დაიწყო გადაღებები ფილმისა „გაქცევა“, რომელშიც სტივ მაკქუინთან ერთად უნდა ეთამაშა. ეს ფილმი მისთვის აღმოჩნდა გადამწყვეტი ნაბიჯი, რადგან ჯერ ისევ ბობ ევანსის ცოლი იყო, როცა მას და სტივ მაკქუინს სიგიჟემდე შეუყვარდათ ერთმანეთი. მაშინ ჟურნალ „თაიმის“ რედაქტორმა მითხრა, პაპარაცების სუპერვარსკვლავო, შემდეგი შენი გაჩერება იამაიკაა, სადაც სტივ მაკქუინს და ალი მაკგროუს ერთად იღებენ და ყველა მათ რომანზე ჭორაობსო. ალის სტატუსის გამო მისი და სტივის ფოტო ძალიან მსუყე ლუკმა იქნებოდა მედიისთვის და მე სწორედ ამ ექსკლუზიური კადრების გადაღებას ვგეგმავდი. როგორც კი იამაიკაზე ჩავედი, გადასაღები ადგილები მოვძებნე და პაპილონ-სტუდიისკენ გავეშურე. ფოტოგრაფია პაპარაცის მიდგომით — დავაწერე გაზეთ Miami Herald-ის სტატიის ასლს და ალის გავუგზავნე. წერილში ასევე ვთხოვდი, ნება მოეცა, ის და სტივი სტუდიის შესასვლელთან ერთად გადამეღო. სტივი ალის გარეშე მოვიდა ჭიშკართან და გამომიცხადა, რომ ინტერვიუ, ფოტო და სტუმარი გადაღებებზე არ იქნებოდა, თან დამემუქრა, თუ ტერიტორიას არ გავეცლებოდი, რამდენიმე მეგობარს მომიგზავნიდა. „უახლოეს ავიარეისს გაჰყევი!“ — ღრიალებდა სტივი. სახლში ფოტოების გარეშე დაბრუნება არ მინდოდა, ამიტომ ვთხოვე, 15 წუთი დამაცადე, მხოლოდ შენ გადაგიღებ რამდენიმე ფოტოს და წავალ-მეთქი. ხელი მომაწერინა შეთანხმებაზე, რომ 15-წუთიანი ფოტოგადაღების შემდეგ თვითმფრინავით დავტოვებდი იამაიკას. დავთანხმდი და გასახდელის წინ, რომელსაც ეწერა „არ დაიშვებიან“, რამდენიმე ფოტო გადავუღე. გადაღების დროს უკვე დამშვიდებულმა ძალიან გულწრფელად მითხრა: „რთული სამსახური გაქვს. გულწრფელად რომ გითხრა, არ მომწონს შენი საქმე, პაპარაცი ცუდი სიტყვაა. ამოიღე ეს სიტყვა სავიზიტო ბარათიდან“. „არ გეთანხმები, ჩემთვის სიტყვა „პაპარაცი“ სინამდვილესთან ასოცირდება“, — ვუპასუხე მე, თუმცა მოგვიანებით, 1992 წელს, მე დავუჯერე მაკქუინს და სიტყვა „პაპარაცი“ სუპერვარსკვლავით შევცვალე. ის გადაღების დროს ალიზეც მელაპარაკა და თავის საცოლედ მოიხსენია. იმავე წლის აგვისტოში ალი მაკგროუ და სტივ მაკქუინი დაქორწინდნენ, ხუთი წლის შემდეგ კი დაშორდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სასურველი ფოტო ვერ გადავიღე,




**„ჯეკი კენედი-ონასისს გადავუღე ჩემი ყველაზე დიდებული და პოპულარული ფოტო „ქარწაღებული ჯეკი“, ჩემი მონა ლიზა... მაკიაჟის გარეშე იყო, არც თმა ჰქონდა განსაკუთრებულად დავარცხნილი... ეს იყო ბუნებრივი სილამაზე...“**

**სტივ მაკქუინი დამემუქრა, თუ ტერიტორიას არ გავეცლებოდი, რამდენიმე მეგობარს მომიგზავნიდა. „უახლოეს ავიარეისს გაჰყევი!“ – ღრიალებდა სტივი... გადაღების დროს უკვე დამშვიდებულმა გულწრფელად მითხრა: „არ მომწონს შენი საქმე, პაპარაცი ცუდი სიტყვაა. ამოიღე ეს სიტყვა სავიზიტო ბარათიდან“. „არ გეთანხმები, ჩემთვის სიტყვა „პაპარაცი“ სინამდვილესთან ასოცირდება“, – ვუპასუხე მე, თუმცა მოგვიანებით მე დავუჯერე მაკქუინს და სიტყვა „პაპარაცი“ სუპერვარსკვლავით შევცვალე...**

# პაპარაცი მსოფლიოში



**ვახშმის შემდეგ მიკ ჯაგერი ლენონის მაგიდასთან მივიდა მისასალმებლად და მე ზუსტად ეს კადრი დავიჭირე... ორი მეგობრის საუბრის კადრი ლეგენდარული და ძვირფასია ბევრი ადამიანისთვის. ამ ფოტოს პოპულარობას ერთი ფაქტორით ვხსნი – ეს არის მონატრება. დღეს ასეთი დიდებული ვარსკვლავები აღარ არიან. გასაგებია საზოგადოების რეაქციაც, როდესაც ლენონს ხედავენ, რადგან ის ტრაგიკულად დაიღუპა. ეს არის უკანასკნელი პროფესიონალური ფოტო, რომელზეც მუსიკის ორი ლეგენდა ერთად არის აღბეჭდილი...**




**ჩემი საუკეთესო კადრი გადავიღე ზუსტად მაშინ, როცა „კალიზმას“ ტურისტების იახტამ ჩაუარა, ელიზაბეტი კი ამ დროს, სტიუარდ რაიმონდთან ერთად, იალქანის აღმართვას ცდილობდა, რომ გემბანზე მყოფთათვის არავის ეცქირა. ტურისტებს ფოტოაპარატები ჰქონდათ მომარჯვებული და თვალებს არ უჯერებდნენ – მათ წინ თვით ელიზაბეტ ტეილორი იყო! მართალია, იალქანმა ელიზაბეტი ტურისტების კამერებისგან დაიფარა, მაგრამ მე სწორედ მაშინ გადავიღე ჩემი საუკეთესო ფოტო. The national Enquirer-მა გამოაქვეყნა ორგვერდიანი სტატია ცხრა ფოტოთი, სახელწოდებით „ლიზა თავის იახტაზე ფარდას კიდებს, რომ ტურისტების მზერას დაემალოს“**

იამაიკიდან ხელცარიელი არ წამოვსულვარ. იმ პერიოდში სტივის ეს ფოტო ყველაზე პოპულარული იყო და დღემდე ყიდულობენ ჩემი გალერეიდან.

— **რომელი გადაღება იყო თქვენთვის განსაკუთრებული, რომელსაც რაღაც თავგადასავალიც უკავშირდება?**

— ელიზაბეტ ტეილორის გადაღება თავის იახტაზე. 1969 წელი იყო. ლონდონში, ტემზაზე, ბარტონების იახტა „კალიზმაზე“ გადავიღე ელიზაბეტ ტეილორი. ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და უჩვეულო ფოტოგადაღება იყო. შაბათ-კვირას სეირნობდნენ ხოლმე იახტით და თავიანთ ძაღლებს ხვდებოდნენ — ბრიტანეთის ჯანდაცვის კანონების გამო ძაღლები იახტაზე ჰყავდათ. ნავსადგურის გვერდით იყო დიდი საწყობი, სადაც ინახებოდა შაქარი, დარიჩინი, კაკაო, კარაქი, ყავა. „კალიზმა“ საწყობიდან მოშორებით მიცურავდა. საწყობის მცველს მოველაპარაკე, რომ ფოტოების გადასაღებად შევეშვი. როგორც გავიგე, ჩემი შეშვება ორშაბათიდან პარასკევამდე შეეძლო, რადგან შაბათ-კვირას ისვენებდა საწყობი. ჩემი გეგმა იყო, როგორმე შევპარულიყავი საწყობში, რომ იქ გამეტარებინა შაბათ-კვირა, თუმცა დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ბარტონები იმ შაბათ-კვირას „კალიზმაზე“ გაატარებდნენ. პორტუგალიელ მეზღვაურს დავუახლოვდი და ლაპარაკში გამოვკითხე, რა იყო დაგეგმილი უახლოეს დღეებში, მერე კი მოვემზადე სამდღიანი მოგზაურობისთვის საწყობში, რისთვისაც საძილე ტომარაც კი შევიძინე. პარასკევს, დაახლოებით 4 საათზე, მცველმა 15 დოლარის სანაცვლოდ საწყობში შემაპარა და ჩამკეტა, თან გამაფრთხილა, რომ ორშაბათს, დილის 9 საათამდე, ვერ გამომიშვებდა. ასე აღმოვჩნდი საწყობში ვირთხებთან ერთად. შაბათს, შუადღისას, ბარტონები გამოჩნდნენ. ელიზაბეტ ტეილორი და რიჩარდ ბარტონი იახტაზე მეფე-პატარძალსა და მათ ... ერთად იყვნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ რიჩარდისა და ელიზაბეტის მდივნის, ბობ უილსონის ქორწილი იყო, ბარტონები კი მეჯვარეები იყვნენ. ქორწილი Dorchester-ში გაიმართა, რომელიც მე, რა თქმა უნდა, გამოვტოვე, თუმცა იქ მაინც ვერ შევაღწევდი. ყველაზე ღირებული შეიძლებოდა ქორწილის ცერემონიალის რეპეტიციის ეს ექსკლუზიური ფოტოები ყოფილიყო. საუკეთესო სანახაობა ჩემ თვალწინ, ბარტონების იახტაზე, გაიმართა. ტურისტებით სავსე იახტებმა „კალიზმას“ ბევრჯერ ჩაუარეს, გიდი კი ამ დროს გრამაფონში აცხადებდა: „ეს არის „კალიზმა“, ბარტონების იახტა. როდესაც ამერიკის დროშაა აღმართული, ელიზაბეტია გემბანზე, როდესაც ბრიტანეთის — რიჩარდ ბარტონი“. ჩემი საუკეთესო, ყველაზე პოპულარული კადრი გადავიღე ზუსტად მაშინ, როცა „კალიზმას“ ტურისტების იახტამ ჩაუარა, ელიზაბეტი კი ამ დროს, სტიუარდ რაიმონდთან ერთად, იალქნის აღმართვას ცდილობდა, რომ გემბანზე მყოფთათვის არავის ეცქირა. ტურისტებს ფოტოაპარატები ჰქონდათ მომარჯვებული და თვალებს არ უჯერებდნენ — მათ წინ თვით ელიზაბეტ ტეილორი იყო! მართალია, იალქანმა ელიზაბეტი ტურისტების კამერებისგან დაიფარა, მაგრამ მე სწორედ მაშინ გადავიღე ჩემი საუკეთესო ფოტო. The National Enquirer-მა გამოაქვეყნა ორგვერდიანი სტატია ცხრა ფოტოთი, სახელწოდებით „ლიზა თავის იახტაზე ფარდას კიდებს, რომ ტურისტების მზერას დაემალოს“. ამ ფოტოებისთვის მე 400 დოლარი გადამიხადეს. ახლა რომ ვფიქრობ, სულ ცოტა 4000 მაინც უნდა გადაეხადათ, თუმცა გამოცემისგან ძალიან მაღალი შეფასება მივიღე.

— **თქვენს ახალ წიგნს ამშვენებს ისტორიული ფოტო — ორი ლეგენდა ერთად.**

— სანამ სოციალური მედია ისე განვითარდებოდა, რომ სელებრითების ცხოვრების კულისებში შეგვახედებდა, მანამდე იყო რონ გალელა. ჩემს ფოტოობიექტივში მოხვდნენ 1960-იანი, 1970-იანი, 1980-იანი, 1990-იანი წლების პოპკულტურის უდიდესი ვარსკვლავები. მიიჩნევდნენ, რომ თუ ხელოვანი ჩემს ობიექტივში მოხვდებოდა, ესე იგი მისი ვარსკვლავი მართლაც ბრწყინავდა. ეს წიგნი პირველად აძლევს საშუალებას დამთვალიერებელს, იმ ეპოქაში იმოგზაუროს. 160-გვერდიან ისტორიას წინ უძღვის ბობ აჰერნის — Getty Images Worldwide Archive Photography-ს დირექტორის წინასიტყვაობა. ჩემს ორ ყველაზე ცნობილ ფოტოს: „ჯონ ლენონი და მიკ ჯაგერი“ და „ქარწაღებული ჯეკი“ ერთი რამ აქვს საერთო — არც ერთმა ფოტოგმირმა არ იცოდა, რომ მას ფოტოს უღებდნენ.

ჯონ ლენონისა და მიკ ჯაგერის შეხვედრის ბუნებრივი მომენტი ჩემმა კამერამ მათი საუბრისას აღბეჭდა. ფოტოგადაღების დროს 300 მმ ლინზა გამოვიყენე. ვარსკვლავები ჰოლივუდის ოქროს ხანის ლეგენდის, ჯეიმს კეგნის წვეულებას ესწრებოდნენ. იქ მიკ ჯაგერისა და ჯონ ლენონის გარდა იყვნენ პოლ ნიუმენი, კერკ დუგლასი, კლინტ ისტვუდი, რონალდ რეიგანი, ბილი უალდერი, ნატალი ვუდი. კეგნის წვეულებაზე ყოველთვის ბევრი ხალხი იკრიბებოდა. საღამოს ფრენკ სინატრა უძღვებოდა. სინატრას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სცენაზე კეგნი ავიდა. მე მისაღები დარბაზის გარდა სამზარეულოს ახლომახლოც დავძრწოდი ჩემი კამერით. ვახშმის შემდეგ მიკ ჯაგერი, რომელიც ალი მაქგროუსა და სტივ მაკქუინთან ერთად იჯდა, ლენონის მაგიდასთან მივიდა მისასალმებლად და მე ზუსტად ეს კადრი დავიჭირე. ეს ფოტო დიდებულია. ლენონი ჯაგერს უყურებს, მთავარ ფოკუსს. ეს არის „ხარის თვალის“ ეფექტი. ამ შემთხვევაში ჯაგერი არის ფოტოგმირი, ჯონი კი, რომელიც მიკს უყურებს, მას უფრო მნიშვნელოვანს ხდის. გამიმართლა, რადგან ტელევიზია იღებდა და დარბაზში კარგი განათება იყო. ორი მეგობრის საუბრის კადრი ლეგენდარული და ძვირფასია ბევრი ადამიანისთვის. ამ ფოტოს პოპულარობას ერთი ფაქტორით ვხსნი — ეს არის მონატრება. დღეს ასეთი დიდებული ვარსკვლავები აღარ არიან. გასაგებია საზოგადოების რეაქციაც, როდესაც ლენონს ხედავენ, რადგან ის ტრაგიკულად დაიღუპა. ეს არის უკანასკნელი პროფესიონალური ფოტო, რომელზეც მუსიკის ორი ლეგენდა ერთად არის აღბეჭდილი.

**ნინო ნიჟარაძე**

ავანტიურისტი თუ პატრიოტი?

# „აბა, ჩუქჩებში ვინ მიხვდებოდა, რომ მათ შვილებს მეგრულს ასწავლიდნენ?!“



სოციალურ ქსელში ყოველთვის უპრეცედენტო გამოხმაურება მოსდევს ცნობილი დიზაინერის, დემნა გვასალიას ნამუშევრებს. იგი, ერთი მხრივ, მსოფლიოს ულამაზესი ქალბატონების ყურადღებას იპყრობს, მეორე მხრივ კი თავისი ქვეყნის, საქართველოს, აღფრთოვანებას იწვევს. ზოგი თვლის, რომ დემნა გვასალიას წარმატების სათავე მისი პოსტსაბჭოთა წარსულია, რომელსაც ძალზე სარფიანად ყიდის, მაგალითად, „ტრაქტორისძირიანი ვალინკები“, ხამუთის ფორმის სამაჯურები, ბოთლის საცობის ფორმის საყურეები და ა.შ. მართლაც, მსოფლიოს ვარსკვლავები პლანეტის ერთ-ერთმა ცნობილმა დიზაინერმა მოდაში სწორედ „საბჭოთა დეტალების“ დამკვიდრებით მოხიბლა, მათ შორის — სახეზე „შავი ჩულქითაც“ კი, რომელიც ავად სახსენებელ 90-იან წლებში, არც მეტი, არც ნაკლები, მძარცველებისთვის ნიღბის ფუნქციას ასრულებდა. თავად გვასალიაც წითელ ხალიჩაზე რეალითი შოუს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავთან, კიმ კარდაშიანთან ერთად სწორედ „შავ ჩულქჩამოცმული“ გამოჩნდა.

ზოგისთვის დემნა გვასალია მხოლოდ და მხოლოდ თავის ნიჭის ნაყოფს ყიდის, რომელიც დიდი შრომით და მცირე ავანტიურიზმით არის შექმნილი, მაგრამ შრომისმოყვარე გვასალიაზე ვერ ვიტყვით, რომ ავანტიურისტია. მან მშვენივრად იცის უკვე მომაბეზრებელი კომფორტსა და უხეში მოდის შეზავება. ასეთი ეგზოტიკური ნაზავით ყველაზე პრეტენზიული ქალბატონებიც კი იხიბლებიან, რაც ბალენსიაგას „ტრაქტორისძირიანი ვალინკების“ თუ „ჩუსტების“ ელვის უსწრაფესად გაყიდვას იწვევს. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთს დემნასი თითქმის შურს — მას ხომ დამაინტრიგებელი დიზაინის შესაქმნელად ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება და დეტალებს ელიავას ბაზრობიდანაც კი იღებს. მართალია, ზოგიერთები ცინიკურად ხუმრობენ, დემნასაგან უკვე „რაზვადნოი კლუჩის“ აქსესუარებს ველოდებითო, მაგრამ შური ნიჭს ვერაფერს დააკლებს. სხვათა შორის, თავის დროზე ასევე შურდათ თამაზ ნოდიასი, რომელიც შორეულ ციმბირში ექვსი წლის განმავლობაში ბავშვებს სკოლაში ინგლისურის ნაცვლად მეგრულს ასწავლიდა. მის სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა შორის საუკეთესოს რეპუტაცია ჰქონდა, ამასთან, ბავშვებს უყვარდათ და თანაც თავის ყველა მოსწავლეს შესანიშნავად შეასწავლა მეგრული. ბოლოს ის ფოთში ცხოვრობდა, სადაც ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. მე მისი ყოფილი მეზობელი რობერტ სეხნიაშვილი მოვძებნე, რომელმაც სიამოვნებით მიამბო მსოფლიოში ფულის კუთების ყველაზე იოლ ქართულ გზაზე.

**ოჯახი აბაშიდან იყო წარმოშობით, მაგრამ ჩვენი თამაზი ფოთში გაიზარდა და მთელ ჩვენს ქალაქს უყვარდა. მერე რუსეთში წავიდა სამუშაოდ და სწორედ იქ შეემთხვა ეგ ამბავი, – ინგლიურის ნაცვლად მეგრულს ასწავლიდა 1974-დან 1979 წლამდე. თამაზ ნოდია კარგი კაცი იყო, იქაც ყველას უყვარდა, მოსწავლესაც და მშობელსაც. ეგ ამბავი ხუთი წლის შემდეგ „გასკდა“, როდესაც თამაზის ერთ-ერთმა მოსწავლემ სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად წავიდა. იქ ვერავინ მიხვდა, ბავშვი რა ენაზე ლაპარაკოდა. ცხრა პროფესორი მიუყვანეს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს მიხვდა. ბოლოს მისი მასწავლებელი მოიკითხეს და თამაზ ნოდია შერჩათ ხელში. დაავლეს ხელი და წაიყვანეს ციხეში. ჰოდა, კი ხეხა მისი კედლები კაი ხანს...**




**— ბატონო რობერტ, ვინ იყო თამაზ ნოდია, ავანტიურისტი თუ გულმხურვალე პატრიოტი, რომელსაც სურდა მეგრული ენა საზღვრებს გარეთ გაეტანა?**

— ვინ იყო და, კარგი კაცი! მაგარი ფოთელი! ოჯახი აბაშიდან იყო წარმოშობით, მაგრამ ჩვენი თამაზი ფოთში გაიზარდა და მთელ ჩვენს ქალაქს უყვარდა. მერე რუსეთში წავიდა სამუშაოდ და სწორედ იქ შეემთხვა ეგ ამბავი, — ინგლიურის ნაცვლად მეგრულს ასწავლიდა 1974-დან 1979 წლამდე.

**— თავად არასოდეს უთქვამს, ეს ხალხი წლების მანძილზე რატომ ვერ ხვდებოდა, რომ ატყუებდნენ?**

— თამაზი ჩუქჩებში იყო, იმ ხალხმა კიდევ ინგლისური არ იცოდა. აბა, ვინ მიხვდებოდა, რომ მათ შვილებს მეგრულს ასწავლიდნენ?! ვინ იცის, მშობლებიც იზეპირებდნენ მეგრულს...

თამაზი კარგი კაცი იყო, იქაც ყველას უყვარდა, მოსწავლესაც და მშობელსაც. ეგ ამბავი ხუთი წლის შემდეგ „გასკდა“, როდესაც თამაზის ერთ-ერთმა მოსწავლემ სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად წავიდა. იქ ვერავინ მიხვდა, ბავშვი რა ენაზე ლაპარაკოდა. ცხრა პროფესორი მიუყვანეს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს მიხვდა. ბოლოს მისი მასწავლებელი მოიკითხეს და თამაზ ნოდია შერჩათ ხელში. დაავლეს ხელი და წაიყვანეს ციხეში. ჰოდა, კი ხეხა მისი კედლები კაი ხანს.

**— აქ რომ ჩამოვიდა ციხის შემდეგ, რა გითხრათ?**

— გვითხრა, სხვა გზა არ მქონდა, სადმე ხომ უნდა მემუშავა და რადგან მეგრულის გარდა არაფერი ვიცოდი, მეგრულის სწავლება დავიწყე, რა დავაშავეო?.. ვთხოვდით, ჩამოგვიყვანე ის პატიოსანი ჩუქჩები, ვაქეიფებთ და ბარემ სადღეგრძელოებსაც ვასწავლით მეგრულადო. ამბობდა, ამდენ ენას ასწავლიან მსოფლიოში და ჩემმა მეგრულმა რა დააშავაო; ჩადით და ნახეთ, ბავშვებს მეგრული როგორ შევაყვარეო... წუთით არ უფიქრია, რომ დამნაშავე იყო. ღმერთმა აცხონოს... ჩვენი ქართულიც და მეგრულიც მაგ კაცივით კიდევ ერთი-ორმა რომ გაიტანოს და ასწავლოს, ცუდი რატომ იქნება?! იმას გაუმარჯოს, ვინც ამას იზამს!

*ეთერ ერაძე*

# „ოპოზიცია ყველაფერს უკუღმა აკეთებს, ამიტომ შედეგს ვერასდროს მიიღებენ“



*„ოპოზიცია დაბნეულია“ — ასეთ შთაბეჭდილებას უქმნის ანალიტიკოსებსა და ექსპერტებს ოპოზიციონერი ლიდერების ბოლოდროინდელი განცხადებები და გადაწყვეტილებები. „საერთოდ გაურკვეველია, აქვს თუ არა ოპოზიციას დღის წესრიგი, ხან ერთი მიმართულებით მიდის, ხან მეორით, ხან რადიკალურ ლოზუნგებს აანონსებენ, ხან პარლამენტში დაბრუნებას აპირებენ. ეს არასერიოზულობის განცდას ქმნის“, — ამბობს კონსტიტუციონალისტი* ***ვახტანგ ძაბირაძე.***

— ქუჩის გადატანა პარლამენტში რეალობას ვერ შეცვლის. პარლამენტში ოპოზიციას სხვაგვარი სტრატეგია უნდა ჰქონდეს. შეიძლება ერთი და იგივე პირები იდგნენ ქუჩაშიც და საპარლამენტო ტრიბუნასთანაც, მაგრამ მათი რიტორიკა ქუჩაში სხვა უნდა იყოს, პარლამენტში — სხვა. შესაბამისად უნდა გამოიყენო ადგილობრივ არჩევნებში მოპოვებული წარმატებაც. ოპოზიცია ამბობს, ხალხში გავალთო. ჰგონიათ, თუ ხალხში გავლენ და პირისპირ დაელაპარაკებიან, მიიმხრობენ. ოპოზიციას ხალხთან სალაპარაკოდ მძლავრი მედიასაშუალებები აქვს... ამით იმის თქმა მინდა, რომ მნიშვნელოვანი ხალხთან ლაპარაკი კი არა, ლაპარაკის შინაარსია. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის უინტერესო საკითხზე ტელევიზიიდან დამელაპარაკები თუ პირისპირ?! ოპოზიციის მთავარი შეცდომა ის არის, რომ რეალობის გაანალიზებასა და ამის მიხედვით სამოქმედო გეგმის შედგენას კი არ ცდილობს, თავისი შეხედულების მიხედვით ადგენს გეგმას და უნდა მისთვის სასურველი რეალობა მოახვიოს ხალხს თავზე. ყველაფერს უკუღმა აკეთებენ, ამიტომ შედეგს ვერასდროს მიიღებენ. დღემდე ვერ გაიგო ოპოზიციამ, რომ ხალხს საპროტესტო აქციებზე გამოსვლის განწყობა არა აქვს. არ უშველა ამ ამბავს არც სააკაშვილის ჩამოსვლამ, არც „ნაციონალების“ წინასაახალწლო შიმშილობამ. შე დალოცვილო, გაარკვიე, როგორი რეალობაა, რა უნდა ხალხს და იმის მიხედვით იმოქმედე.

**— დაუჯერებელია ოპოზიცია ვერ ხვდებოდეს, რომ დღეს ხალხისთვის უმთავრესი სოციალური თემებია და არა ვადამდელი არჩევნები ან სააკაშვილის პატიმრობა-გათავისუფლება.**

— როდესაც რაღაცას გეგმავ, გეგმას პერსონიფიცირება ხომ უნდა?! რაც თავი მახსოვს, ამ ქვეყანაში კორუფცია იყო, არის და როგორც ვატყობ, მომავალშიც იქნება. უბრალოდ, ფორმა იცვლება — იყო საყოველთაო, შემდეგ ელიტური გახდა, ახლა შერეულია. რატომ ვამბობ ამას? „ოცნება“ ბიუჯეტის ფულს იპარავსო, უბულავა რომ იტყვის, ხომ არავინ მოუსმენს?! საზოგადოების 60%-ს ძალიანაც აღარ მოსწონს ეს ხელისუფლება, მაგრამ არც ოპოზიციის სჯერა და მის ბრძოლას კარიერისთვის, ახალი ბიზნესებისთვის ბრძოლად აღიქვამს. ოპოზიციას ერთი გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, ხან ერთიანდებიან, ხან ერთმანეთს ლანძღავენ...

**„დღემდე ვერ გაიგო ოპოზიციამ, რომ ხალხს საპროტესტო აქციებზე გამოსვლის განწყობა არა აქვს. შე დალოცვილო, გაარკვიე, როგორი რეალობაა, რა უნდა ხალხს და იმის მიხედვით იმოქმედე“**

**— „ნაცმოძრაობის“ დღის წესრიგი გასაგებია, მაგრამ დანარჩენი ოპოზიცია „ნაციონალებთან“ თანამშრომლობის გამო საყვედურებმაც ხომ არ დააბნია?**

— გეთანხმებით. მოდი, ისიც ვთქვათ, რატომ ცდილობენ „ნაციონალებთან“ თანამშრომლობას, იმიტომ ხომ არა, რომ ეშინიათ, პარლამენტს მიღმა არ დარჩნენ? სიმართლე ის არის, რომ ვერ უძლებენ ვერც „ოცნების“ და ვერც „ნაცმოძრაობის“ ზეწოლას. ეს ორი ძალა ცდილობს წვრილ-წვრილი პარტიები გადაინაწილონ. ამას ვერ გაუძლეს პატარა პარტიებმა და ამან ამომრჩეველიც დააბნია.

**— ბოლო დროს პატარა ოპოზიციური პარტიის ლიდერები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას, რომ მედია უმეტესად სააკაშვილსა და „ნაციონალებთან“ დაკავშირებულ საკითხებს აშუქებს. დანარჩენი ოპოზიცია რომ პოლიტიკურ დღის წესრიგს ვერ ქმნის, ამის მიზეზი მედიაა თუ თავად მათ არა აქვთ თემები?**

— ნაწილობრივ ვიზიარებ მათ პოზიციას, მაგრამ პატარა პარტიებმაც უნდა გაანძრიონ ხელი. ვერ ვიტყვი, რომ მაგალითად, ვაშაძეს, „ლელოს“ ლიდერებს ან „გირჩის“ დეპუტატებს შეზღუდული აქვთ ტელესივრცე. კი, ოპოზიციური ტელევიზიები ქმნიან სააკაშვილსა და „ნაციონალებზე“ მორგებულ დღის წესრიგს, მაგრამ შენც ხომ გითმობენ დროს? თუმცა რა აქვთ მათ სათქმელი? პრესაც ხომ არსებობს, ვხედავ, თქვენთან ხშირად იბეჭდებიან ოპოზიციონერი ლიდერები, რისი თქმა სურთ და ვერ ამბობენ? ხომ შევიდნენ პარლამენტში „ლელოც“, „სტრატეგია აღმაშენებელიც, „მოქალაქეებიც“, „გირჩიც“, რატომ არ არიან აქტიურები?

**— შეეძლო თუ არა საპარლამენტო ოპოზიციას თუნდაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებისთვის მეტი წინააღმდეგობა გაეწია?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამავე დროს მეტი რისკიც იყო იმისა, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილიყვნენ. თუ ასეთ რისკზე წასვლა არ შეგიძლია, მაშინ მოგიწევს შენი ვაგონი მუდმივად სხვის მატარებელს ჩააბა. გასაგებია, რომ „ოცნებას“ ხმათა უმრავლესობით საბოლოოდ მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, მაგრამ ოპოზიციას მეტად რომ ეაქტიურა და აქცენტი იმაზე გაეკეთებინა, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში ამ სამსახურის გაუქმება მაინცდამაინც ახლა, პოლიტიკური დისკუსიისთვის ახალი ასპარეზი გაიხსნებოდა. ოპოზიციამ სწორედ პოლიტიკურ დისკუსიაში უნდა აჩვენოს, რომ ხელისუფლებაზე ძლიერია...

„ნაცმოძრაობა“ სააკაშვილის საკითხს არ მოხსნის დღის წესრიგიდან. სანამ სააკაშვილია უპირველესი თემა, პატარა ოპოზიციური პარტიები განწირული არიან მარცხისთვის.

**— ახლა რა არის გამოსავალი პატარა ოპოზიციური პარტიებისთვის?**

— გადაჯგუფება! რაც უფრო სწრაფად გადაჯგუფდებიან, მით უკეთესი მათთვის. „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ უნდა დატოვონ ცალკე ორბიტაზე და თავად შექმნან ახალი, ერთიანი ბლოკი ან ალიანსი. გასაგებია, რომ თავდაპირველად მათი ელექტორატი არ იქნება დიდი, არც ქუჩა იქნება მათი ასპარეზი, მაგრამ მომავლისთვის უნდა ეცადონ. მაშინ მიეცემათ შანსი იმისა, რომ 2024 წლის არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# „საპარლამენტო მმართველობისგან ძალიან შორს ვართ“

*საქართველოში მართვის სისტემა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზეა აგებული, რაც უპირველესად პარლამენტის მიერ მთავრობის გაკონტროლებას გულისხმობს. ამასთან, გამარჯვებულად ითვლება ყველა ის პარტია, რომლებიც საარჩევნო ბარიერს გადალახავენ, და იმის გამო, რომ ნორმალურ ქვეყნებში 20-25%-ის აღებაც კი ძალიან მაღალი შედეგია, ერთპარტიულ მთავრობას ვერავინ აკომპლექტებს. თუ პირველ-მეორე ადგილზე გასულები ვერ თანხმდებიან და ვერ აკომპლექტებენ მთავრობას, გადამწყვეტი ხდება მესამე და შემდეგ ადგილებზე გასული პარტია. ასეთ შემთხვევაში მას პირობების კარნახი შეუძლია და მის მოთხოვნას (ძირითადად, თანამდებობრივს) რომელი პარტიაც დაეთანხმება, მასთან ერთად ქმნის კოალიციას. საქართველოში ეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის შემდეგ გახდა შესაძლებელი ცალკეულ მუნიციპალიტეტში, სადაც გახარიას პარტიამ გადამწყვეტი ხმები მიიღო. მათ სადაც შეეძლოთ, თავმჯდომარის პოსტი მოითხოვეს. ბედის ირონია ის იყო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გახარია „ნაცებთან“ კავშირში დაადანაშაულა, მანამდე კი თავად „ნაცები“ ვერ მალავდნენ გაოცებას, რატომ ითხოვთ ამ პოსტებს, თქვენ ხომ მესამე ადგილზე ხართო. ყოველივე ეს აჩენს განცდას, რომ საზოგადოებასა და განსაკუთრებით დიდ პოლიტიკურ პარტიებს სრულყოფილად არა აქვთ აღქმული, რას ნიშნავს საპარლამენტო რესპუბლიკა. რატომ არ მუშაობს ეს მოდელი საქართველოში და სად არის პრობლემა, ამ საკითხებზე სამართალმცოდნე* ***ლევან ალაფიშვილს*** *ვესაუბრეთ:*

— შესავლისთვის უნდა ვთქვა, რომ ის მოდელი, რომელიც 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით შეიქმნა, კლასიკური გაგებით არც ერთ მოდელს არ მიესადაგება, რაღაც ნაკრებია აღებული. თუმცა განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ შესაძლოა მართვის ეს მოდელი არც იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს. თუნდაც პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი, ხმოსანთა კომპლექტაცია და ამ კონტექსტში თვითმმართველობებისა და ავტონომიების გათანაბრება, რაც კონსტიტუციონალიზმში წარმოუდგენელია, ცხადყოფს, რომ ეს სისტემა, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემურია. პოლიტიკური ერთეულის თვითმმართველობასთან გათანაბრება არ შეიძლება და ყოველივე ამას საქართველოს სპეციფიკას თუ დავუმატებთ, განსაკუთრებით კი იმას, რომ ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს და მათთან საუბარი გვჭირდება, რას ვთავაზობთ? იმას, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა პრეზიდენტის არჩევნებში ისეთივე სუბიექტი იქნება, როგორიც, მაგალითად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, საკრებულოდან რომ შეირჩევა წარმომადგენელი? ამასაც რომ თავი დავანებოთ, მსოფლიოში ვერც ერთ საპარლამენტო რესპუბლიკას ვერ ნახავთ, რომელშიც თავიდანვე რაიმე ფორმით მონაწილეობდეს თვითმმართველობა, რადგან მისი ფუნქცია სხვა არის.

ამ არჩევნებზე მმართველმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რომ საკრებულოებში ისევ უმრავლესობა ჰყოლოდა, რაც ნიშნავს, რომ ხმოსანთა მიერ არჩეული პრეზიდენტი იქნება „ქართული ოცნების“ ფავორიტი, რაც პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს საერთოდ კარგავს და იცვლება საპარლამენტო რესპუბლიკის არქიტექტურა — არც კლასიკური საპარლამენტო გამოდის და არც შერეული.



**— სად არის პრობლემა, მოდელი არ არის ქართული რეალობის შესაბამისი?**

— ბოლოდროინდელმა მინიმუმ 10-წლიანმა პერიოდმა დაგვანახა, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონის არსებობა უმრავლესობის მქონე პოლიტიკური ძალისთვის პრობლემა არ არის და მეტიც, ერთ მხარეს შეიძლება აღმოჩნდეს რეგულაციები, კონსტიტუცია და კანონები და მეორე მხარეს ამ კანონებისგან განსხვავებული მართვა და გადაწყვეტილებები, ცხადია, ვერ ვიმსჯელებთ დემოკრატიულ მმართველობაზე. განსაკუთრებით კოვიდპანდემიამ წარმოაჩინა, რომ საპარლამენტო მმართველობა და საპარლამენტო კონტროლს დაქვემდებარებული მთავრობა კი არა გვყავს, პირიქით, პარლამენტი დაქვემდებარებულია მთავრობის ნება-სურვილს. მაგალითად, თურქეთიდან წამლების შემოტანაზე პრემიერმა თქვა, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ახლა კანონებშიც არის ცვლილება საჭირო და დაიწყეთ პარლამენტთან მუშაობაო. ასეთი რამ ნებისმიერ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრემიერთან მძიმე კითხვებს გააჩენდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყველაზე კარგი მაგალითი იყო, როდესაც პარლამენტმა პირბადის ტარების წესების დაუცველობა დასჯად ქმედებად გამოაცხადა. კანონში ჩაწერეს, რომ დასჯადი მხოლოდ დახურულ სივრცეში ტარების წესების დარღვევა იქნებოდა. მეტიც, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ განხილვისას განცხადებაც კი გააკეთა, რომ ღია სივრცეში პირბადის გარეშე სიარული დასჯადი არ იქნებოდა. კანონში ეს ეწერა, მაგრამ მთავრობა 4 თვის განმავლობაში მოქალაქეებს აჯარიმებდა ღია სივრცეში პირბადის უქონლობისთვის. მეტიც, მაშინდელმა პრემიერმა გახარიამ გამოსცა დადგენილება, საჯარო სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო უნდა იყოსო. ამ ოთხი თვის განმავლობაში ხალხს უკანონოდ აჯარიმებდნენ და ამაზე პარლამენტმა რა რეაგირება მოახდინა? კიდევ უარესი, 4 თვის თავზე ოთხმა დეპუტატმა ინიცირება გააკეთა და კანონში ჩაწერეს, საჯარო სივრცეშიც დასჯადი იქნებაო — ანუ მთავრობის ნება ისე აღასრულეს, ერთი კითხვაც არ დაუსვამთ.

ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში ასეთი მახინჯი და არადემოკრატიული დამოკიდებულება დამკვიდრდა — „თუკი უმრავლესობაში ვარ, ყველაფერი შემიძლია“. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მაია ნადირაძემ რომ თქვა, ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და ასე ვაკეთებთ, არც კანონი გვაინტერესებს და არც არაფერიო. „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ ღირსეული მემკვიდრეა.

**— რა მოდელი იქნება უკეთესი?**

— მოდელი არ არის პრობლემა, საქმე პოლიტიკურ ნებასა და კანონზეა. ეს მხოლოდ მმართველი პარტიის პრობლემა არ არის, საზოგადოების, ქართული ცნობიერების პრობლემაა.

მოქალაქე, რომელიც საგზაო მოძრაობის წესებს დაარღვევს, უნდა დაისაჯოს, რადგან კანონს არღვევს, მაგრამ როცა პრემიერი და მთავრობის წევრები კანონს დაარღვევენ — პასუხს არ აგებენ. პარლამენტიც მათ ასე რომ ემორჩილება და არღვევს კანონს, არც მას სთხოვენ პასუხს. ეს არის ჩვენი პრობლემა და სანამ ასეთი დამოკიდებულება იქნება კონსტიტუციისა და კანონისადმი, ჩვენი სახელმწიფო ჭაობიდან ვერ ამოვა.

*რუსა მაჩაიძე*



# დაიწყება თუ არა დიდი ომი?!

## „რუსეთი გააგრძელებს რქებით მიწოლას“

**მ**თელი მსოფლიო, მათ შორის თეთრი სახლი, რუსეთ-უკრაინის შესაძლო ომზე საუბრობს. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ომი რუსეთისთვისაც დამღუპველი იქნება. სამხედრო უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ამირან სალუქვაძე „კვირის პალიტრასთან“ მოსალოდნელ სცენარებზე საუბრობს.

— რუსეთის რიტორიკის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ ფართომასშტაბიანი ომი არ იქნება. კრემლმა რა სცენარიც უნდა გაათამაშოს, ჩვეული ხელწერა ექნება. პუტინი ყოველთვის ცდილობს კონფლიქტის დაწყებაში, განახლებასა თუ გამწვავებაში სხვა დაადანაშაულოს. ასე მოიქცა 2008 წელს საქართველოსთან, 2014 წელს კი უკრაინასთან. არაერთ ჟურნალისტთან საუბრისას ან საერთაშორისო ფორუმებში გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტი დაჟინებით იმეორებს, რომ მოსახლეობამ მათზე შეაჩერა არჩევანი და მომხდარში უკრაინის მაშინდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს — გადატრიალება მოხდა და ყირიმის მოსახლეობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოო. უამრავ ქვეყანაში მომხდარა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ამერიკამ ან სხვა რომელიმე ქვეყანამ რომ ისარგებლოს და ტერიტორიები წაართვას, რუსეთი მაშინვე ატეხს საერთაშორისო სკანდალს, ნატო ჩემს საზღვრებთან ფართოვდება და უპასუხოდ ...

... ჩავარდება. თავად რუსეთიც რას მიაღწევს, რუსეთს ახალი დაპყრობილი ტერიტორიების მართვისა და რჩენის თავი ნამდვილად არა აქვს. აქვე გასათვალისწინებელია „მომაკვდინებელი სანქციები“, რომელთაც დასავლეთი ჰპირდება. გარდა ამისა, თუ მართლა ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს, პუტინის არმიას უკრაინაში მარტივი გასეირნება არ გამოუვა. დონბასიც სრულად არც აქვს ოკუპირებული, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უამრავი სანქცია დაუწესა, მეტის გაკეთების შემთხვევაში კი პასუხიც სხვაგვარი იქნება. ამასთან, 2014 წლის უკრაინის არმიის შეიარაღებასა და მომზადებას შორის განსხვავება ნამდვილად არის. შესაბამისად, პუტინის არმიას მსხვერპლიც ძალიან დიდი ექნება.

„ჯაველინების“ გარდა, უკრაინას საკუთარი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებიც აქვს და სამხედრო-სისტემური მზადყოფნაც. დახმარების გარდა, მარაგიც საკმარისი. არა მგონია, კრემლი ამას ვერ აც...



**„ჯაველინების“ გარდა, უკრაინას საკუთარი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებიც აქვს და სამხედრო-სისტემური მზადყოფნაც. დახმარების გარდა, მარაგიც საკმარისი. არა მგონია, კრემლი ამას ვერ აცნობიერებდეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ პუტინი მოლაპარაკებას გააგრძელებს და თან შეეცდება სახიფათო ფონის წყალობით განსხვავებული რეალობა შექმნას, რომელსაც შემდგომში სასურველი სცენარით განავითარებს**

ამერიკის პრეზიდენტმა იგულისხმა, რომ განიხილავდნენ ერთ სცენარს — რუსეთის დონბასში შეჭრას, ანუ 2014 წელს დაწყებული აგრესიის გაგრძელებას, რაზეც ამერიკას შესაბამისი პასუხი ექნება, ...

წლების განმავლობაში რუსეთის თავხედურ მანევრებს თან ახლავს ევროპაში ენერგეტიკული კრიზისი. ივლის-აგვისტოში დაიწყო და ძალიან მალე გაზის ფასი ევრო-...





# „საქართველო რუსეთს მეორე ფრონტს ვერ გაუხსნის“





**ბ**ოლო დროს ყველაზე დიდ ყურადღებას რუსეთ-უკრაინის შესაძლო ომი იქცევს. ნუთუ რუსეთის მუქარა ბლეფია, სად არის დასავლეთის სუსტი და ძლიერი მხარეები და როგორია საქართველოს პოლიტიკა, ამ საკითხებზე „კვირის პალიტრა“ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორს, პროფესორ თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.

— რუსეთი კარგად ხედავს, რომ დასავლეთი არ არის ერთსულოვანი, მათ შორის არც სანქციების დაწესების საკითხში. ხედავს, რომ დასავლეთს უკრაინის დაცვის არანაირი ვალდებულება არა აქვს და, როგორც ჩანს, ინფორმაციაც აქვს, რომ ...

... ალბათ, უკრაინას ბოლოს მოუღებს და დანაკარგიც დიდი ექნება. ჩვენ ხომ მიჩვეული ვართ, რომ რუსეთისთვის ადამიანური თუ მატერიალური დანაკარგი არაფერია და ამაზე მიდის. მაგალითისთვის ჩეჩნეთის ომები გავიხსენოთ. თუ უკრაინა-...

**„რუსეთი თუ ომს დაიწყებს, ალბათ, უკრაინას ბოლოს მოუღებს“**

... ნოს, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს. ახლა დადის ყველაფერი — აქვს თუ არა უკრაინას ომის შნო თავისი ძალებით, მაგრამ დასავლეთის იარაღის დახმარებით.

— **დასავლეთმა შეცდომა სად დაუშვა — რუსეთს დღეს ამის საშუალება რომ აქვს?**

— ამერიკამ ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა — ავღანეთში დიდხანს დარჩა, რის გამოც რესურსები გახარჯა. მერე იყო ერაყის ომი. ...

— რუსეთის ქმედებებს ერთსულოვნად გმობენ, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებებზე. კონტრზომებზე აშკარად აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ქვეყანა თავისი მდგომარეობის გამო ლიბერალურად არის განწყობილი რუსეთის მიმართ და ამით კრემლი ძალიან კარგად სარგებლობს. რაც შეეხება ლიდერობას, არა მგონია, ეს იყოს მათი ქმედებების განმსაზღვრელი.

— **დასავლეთში პოზიციების განსხვავებას რა განაპირობებს, მხოლოდ რეალობა თუ ცალკეული ქვეყნები ლიდერობას ცდილობენ?**

**უკრაინა აცნობიერებს, რომ თვითონ უნდა იომოს, არავინ დაეხმარება. დასავლეთი ეხმარება იარაღით, შესაძლოა სანქციები დაადოს რუსეთს, მაგრამ მის მაგივრად ვერ იომებს. რუსეთთან ატომურ ომს არავინ დაიწყებს და ძალიან კარგი, რადგან ამას მთელი მსოფლიო გადაჰყვება. ახლა მთავარი ის არის, უკრაინა რამდენად არის მზად, ბოლოსდაბოლოს აჩვენოს ძალა და დასავლეთის მიერ მიცემული იარაღით სერიოზული ზიანი მაინც მიაყენოს, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს**

... ვერ ვიომებთ.

# „ოპოზიცია ყველაფერს უკუღმა აკეთებს, ამიტომ შედეგს ვერასდროს მიიღებენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 25)

... აქვს, ქუჩის პროტესტი არ გამოსდის და საინტერესოა, როგორ აიძულებს ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას?

... ზა, იმასთან ითანამშრომლა. ხელისუფლების შეცდომაა ასეთ თემებზე აპელირება, ისევე როგორც ოპოზიციის შეცდომაა ხელისუფლების მუდმივად დადანაშაულება პრორუსობაში.

სიმართლე გითხრათ, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რუსული გავლენისგან „ოცნება“ თავისუფალია, ან ...

... თამაშები ვიყოთ, თორემ ასე თამაშის უნარი არც ამ ხელისუფლებას აქვს, არც წინას ჰქონია. უბრალოდ, დასავლეთისთვის პლაცდარმი ვართ და ოდნავ უკეთესი ვითარება გვაქვს სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, ისიც იმ თვალსაზრისით, რომ მათ ერთმანეთთან ომი აქვთ.

„ოცნებას“ ჰგონია, დუმილით ამ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალი

# „თუ ასე გაგრძელდა, ექიმები თავიანთი მოვალეობის შესრულებას ველარ შეძლებენ“



*ამ დღეებში ერთ-ერთ რეგიონულ კოვიდცენტრში მომხდარი მძიმე ფაქტი გამჟღავნდა, რომლის ამსახველი მძიმე კადრებიც გავრცელდა. მომხდარი ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე სალომე ლოლუამ გაახმაურა.*

*2021 წლის 21 დეკემბერს, დილის ხუთ საათზე, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შემოვლისას ექთანმა შენიშნა, რომ პაციენტი წუხდა. დაინტერესდა, მასთან მივიდა, ჟანგბადის ნიღაბი მიაწოდა და სცადა, სისხლში ჟანგბადის კონცენტრაცია განესაზღვრა, მაგრამ როცა სატურაციის აპარატის ასაღებად დაიხარა, მას თავს დანით შეიარაღებული პაციენტი დაესხა. როგორც სალომე ლოლუა ამბობს, ექთანს ორი ჭრილობა აქვს, ერთ-ერთი — ლოყის არეში, რომელზეც შვიდი ნაკერი დასჭირდა. მას ასევე დაუზიანდა სანერწყვე ჯირკვალი და რთული რეაბილიტაციაც ჩაუტარდა. მეორე ჭრილობა მას ყელის არეში აქვს. ამჟამად ექთნის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბრალდებული კი სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების მე-18 დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც სალომე ლოლუა ამბობს, სამწუხაროდ, ეს არ არის მედპერსონალზე თავდასხმის ერთადერთი შემთხვევა. პანდემიის პირობებში მედპერსონალზე ძალადობის ფაქტები გახშირდა. ამიტომ ექიმების უფლებათა დაცვის ასოციაცია მოუწოდებს ხელისუფლებას, უკეთ დაიცვას მედპერსონალის უფლებები და მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებები, რადგან მედპერსონალი თავს დაცულად ვერ გრძნობს. განსაკუთრებით რთული ვითარებაა რეგიონულ კლინიკებში.*

**„ყველა კადრი ვერ გამოვაქვეყნე, რადგან ძალიან მძიმე სანახავია. კადრები თავიდან ბოლომდე სათვალთვალო კამერით არის გადაღებული. ჩანს, რომ თავდასხმისთვის ემზადებოდა: დანა ჯერ მოიმარჯვა და მერე დაარტყა. ხმაურზე პაციენტებმა გაიღვიძეს, შემოვიდნენ მორიგე ექიმები და დახვდათ ასეთი მძიმე სურათი. მორიგე ექიმების დანახვისთანავე დამნაშავემ დანა დააგდო...**

სალომე ლოლუა: — ეს ინფორმაცია ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა და დეტალებით დავინტერესდით. გვინდოდა გაგვეგო, ხომ არ ჰქონდათ მათ უთანხმოება ან ადრე ხომ არ იცნობდნენ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ მათ შორის პრობლემა არ ყოფილა. ეს პაციენტი რამდენიმე დღე იწვა რეანიმაციაში, იქიდან ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადმოიყვანეს და ორი კვირა იქ იყო. არაერთხელ იმორიგევა ამ ექთანმა და მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა. ექთანს ჰყავდა ერთი დამხმარე და ეს ორი ადამიანი უწევდა მეთვალყურეობას როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა პალატებს, იმ დღეს კი მთელი განყოფილება ექთნის გარეშე დარჩა... ყველა კადრი ვერ გამოვაქვეყნე, რადგან ძალიან მძიმე სანახავია. კადრები თავიდან ბოლომდე სათვალთვალო კამერით არის გადაღებული. ჩანს, რომ თავდასხმისთვის ემზადებოდა: დანა ჯერ მოიმარჯვა და მერე დაარტყა. ხმაურზე პაციენტებმა გაიღვიძეს, შემოვიდნენ მორიგე ექიმები და დახვდათ ასეთი მძიმე სურათი. მორიგე ექიმების დანახვისთანავე დამნაშავემ დანა დააგდო.

— **ფსიქიკური პრობლემები ხომ არ ჰქონდა პაციენტს, ან ნარკოდამოკიდებული ხომ არ იყო და ნარკოტიკს ხომ არ ითხოვდა?**

— როგორც ვიცით, ნარკოდამოკიდებული არ იყო. ბრალდებულმა გამოკითხვისას თქვა, არ ვიცი, ეს რატომ ჩავიდინეო. მანამდე არც ფსიქიკური პრობლემები გამოუვლენია, აბსოლუტურად მშვიდი პაციენტი იყო და უცებ ასეთი რამ გააკეთა.

— **დაჭრილ ექთანს ელაპარაკეთ?**

— ვცადეთ, მაგრამ უარი თქვა. ვიდეო და ფოტომასალა ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა. საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით. საბედნიეროდ, ექთნის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მორიგე ექიმებს შეეშინდათ, გადაჭრილი არ ყოფილიყო საძილე არტერია, ლოყის ჭრილობა დაუმუშავეს და მერე სხვა კლინიკაში გადაიყვანეს. რეაბილიტაციის პროცესი დიდხანს გაგრძელდა. აღარაფერს ვამბობ დაზარალებულის ფსიქოლოგიურ და მორალურ მდგომარეობაზე.

— **ეს ფაქტი ამ დრომდე არ გახმაურებულა. რას ამბობს კლინიკის ხელმძღვანელობა?**

— კლინიკის ხელმძღვანელობა ჩვენთან კომენტარს არ აკეთებს.

— **მსგავსი ფაქტები მომხდარა?**

— დიახ, უკვე ბევრი ფაქტი გვაქვს. იანვარში ჰოსპიტალში სცემეს ექიმს, რომელმაც ოჯახს პაციენტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. გამოიძახეს პატრული და დამნაშავე დააკავეს, თუმცა ის პატიმრობას გადაურჩა — სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. სამი კვირის წინ ექიმს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს 10-წუთიანი დაყოვნების გამო. პაციენტს სწრაფი ტესტი გაუკეთეს და პასუხის მოლოდინში შეაყოვნეს, ამას კი გინება და შეურაცხყოფა მოჰყვა, არადა, ეს პროცედურა პროტოკოლით არის გათვალისწინებული. ორი წლის წინ ვიცავდით ექიმს, რომელსაც პაციენტმა სცემა იმის გამო, რომ ნარკოტიკული საშუალება არ გაუკეთა. ექიმს ჰქონდა ტვინის შერყევა, სახეზე დასჭირდა რვა ნაკერი, თუმცა გირაოს გადახდის შემდეგ დამნაშავე ციხიდან გამოვიდა... დაზარალებული მედპერსონალი ხშირად მოგვმართავს, მაგრამ კონფიდენციალობის დაცვას გვთხოვენ, რადგან კერძო კლინიკებში მუშაობენ და საქმის გაფუჭება არ უნდათ. ჩვენ კონფიდენციალობას ვიცავთ, მაგრამ ამის მიუხედავად ბევრი მაინც ერიდება მომხდარის ჩვენთვის გამხელას.

საზოგადოდ კი მედპერსონალი კლინიკაში თავს დაცულად ვერ გრძნობს. მოგეხსენებათ, კლინიკების უმეტესობა კერძოა და ბიზნესმენს არ სურს, მის დაწესებულებასთან დაკავშირებით ზედმეტი ხმაური ატყდეს, ამიტომ მედპერსონალს მოთმენას ავალდებულებს მაშინაც კი, როცა საქმე დანაშაულთან გვაქვს, იქნება ეს სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა. მედპერსონალი რეგიონებში უფრო დაუცველია, ვიდრე თბილისში. თბილისში ადგილობრივი დაცვის სამსახური მოვალეობას უკეთ ასრულებს, ვიდრე რეგიონებში, არადა, როცა ექიმი თავის მოვალეობას ასრულებს, ის დაცული უნდა იყოს. პანდემიის დროს ბევრი შემთხვევა იყო, როცა „სასწრაფოს“ დაგვიანების გამო ოჯახი გალიზიანდა და ექიმებს შეურაცხყოფა მიაყენეს. ბორჯომში მსგავსი ინციდენტის შედეგად ექიმს ცხვირის ოპერაცია დასჭირდა. ჩვენ ვმუშაობთ საკანონმდებლო ინიციატივაზე და, იმედია, კანონი გამკაცრდება, თორემ ასე თუ გაგრძელდა, ექიმები თავიანთი მოვალეობის შესრულებას ველარ შეძლებენ.

*თეა ხურცილავა*

## განცხადებები

### მადლობა

**ქ.თბილისის მერს პატივცემულ - კახი კალაძეს**

გამორჩეულ, ღირსეულ, ნიჭიერ, აღზრდილ მერს დიდი მადლობა, ასეთი უხვი, გამეტებული და განსხვავებული საჩუქრებისათვის, ასევე მერიის თითოეულ თანამშრომელს. დიდი მადლობა ვაკის გამგეობას და მის ყველა თანამშრომელს. მორალური პატივისცემა ღირსეულ, ალალმართალს, პირდაპირს, გაწონასწორებულ და პრიცაპულ - ქვეყნის პრემიერს პატივცემულ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობის თითოეულ წევრს. უფლის ლოცვა-კურთხევა არ მოაკლოს ერის სახელოვან ქველმოქმედს, ქვეყნის მფარველს ბატ: ბიძინა ივანიშვილს, თავისი ლამაზი ოჯახით. დავიხმარ ბრძენი ხალხის გამონათქვამს - „მტრობა, ბოროტება, მავნებლობა, სიძულვილი, ღვარძლი, დაუნახაობა, უმადურობა და ა.შ - უბადრუკთა ხვედრია“... დასასრული თქვენთვის მომინდვია.

*მარიკა წულაძე-ბარამიძე*

### გთავაზობთ

„ლიტვური საცხობი“ აცხადებს ვაკანსიას „დამხმარე მუშაკის“ პოზიციაზე. სამუშაო მოითხოვს ფიზიკურ სიძლიერეს. მოთხოვნები: ფიზიკურად შრომისუნარიანი, სუფთა/მოწესრიგებული, პუნქტუალური, ენერგიული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, გაწონასწორებული, უპირატესობა მიენიჭებათ არამწეველ კანდიდატებს. სტაბილური კადრი. ხელფასი: 1000 ლარიდან. განაკვეთი: კვირაში 6 დღე. დაგვიკავშირდით ნომერზე: 591 945 975. მისამართი: ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №1, დიდუბის მეტროს ზედა ამოსასვლელი, ყოფილი კიროვის ქარხნის ტერიტორია. „ლიტვური საცხობი“.

შპს „ლიტვური საცხობი +“ აცხადებს ვაკანსიას (ღუმელთან მომუშავე) მცხობელის და მცხობელის დამხმარის პოზიციაზე, საქმის ადგილზე შესწავლის პერსპექტივით. დასაქმებულ პირებს მოუწევთ ცვლაში მუშაობა, რაც მოიცავს ღამის ცვლასაც. მოთხოვნები: ფიზიკურად შრომისუნარიანი. სუფთა/მოწესრიგებული, პუნქტუალური, ენერგიული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, გაწონასწორებული, უპირატესობა მიენიჭებათ არამწეველ კანდიდატებს. ხელფასი - 1 000 ლარიდან (კვალიფიკაციის მიხედვით). დაგვიკავშირდით ნომერზე: 555 903 966. მისამართი: ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №1, დიდუბის მეტროს ზედა ამოსასვლელი, ყოფილი კიროვის ქარხნის ტერიტორია. „ლიტვური საცხობი“.

დასაქმდი კომპანია „ორ ნაბიჯში“ მოლარე-კონსულტანტის პოზიციაზე. სრული განაკვეთი: კვირაში 6 სამუშაო დღე, 8-საათიანი გრაფიკი ანაზღაურება: 600 ლარი; ნახევარი განაკვეთი: კვირაში 6 სამუშაო დღე, 4-საათიანი გრაფიკი ანაზღაურება: 300 ლარი. დაგვირეკეთ: (032) 2 00 22 00 / 595 12 20 79

კომპანია „ორ ნაბიჯში“ ვეძებთ მძღოლს, C კატეგორიის მართვის მოწმობით. სამუშაო საათები: კვირაში 4-5 ღამე – 23:00 საათიდან 09:00-მდე. სამუშაო ადგილი: ალმაშენებლის ხეივანი, მე-6 კილომეტრი. ანაზღაურება: 850 ლარი + ბონუსი. დაგვირეკეთ: (032) 2 00 22 00 / 598 08 70 07

დასაქმდი კომპანია „ორ ნაბიჯში“ საწყობის თანამშრომლის პოზიციაზე. სამუშაო საათები: კვირაში 6 სამუშაო დღე, 8-საათიანი გრაფიკი. სამუშაო ადგილი: ალმაშენებლის ხეივანი, მე-6 კილომეტრი. ანაზღაურება: 600-700 ლარი + ბონუსი და კვება. დაგვირეკეთ: (032) 2 00 22 00 / 598 08 70 07

### მკურნალობა

სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ ბინაზე მომსახურებით კბილების პროთეზირებას შეღავათიან, ხელმისაწვდომ ფასში, კეთდება იტალიური და იაპონური კბილები . 555 726498

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება: დამოკიდებულების მოხსნა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციების აღდგენა, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, წონის მომატება, იმუნიტეტის გაძლიერება, ქოლესტერინისგან გაწმენდა და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენა. შიშები, აგრესია, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, მოუსვენრობა, მუდმივი შფოთვა, უძილობა, იმპოტენცია. გაჯანსაღება გარანტირებულად, ანონიმურობით. საჭირო კვლევები უფასოა. მის: თბილისი,წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 577293741, 2340238

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 3-25 წლამდე მოზარდებისთვის. 3-6 სმ მომატება კურსით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის და ქონდროზის დროსაც, მცენარეული ვიტამინებისა და ძვლის მკვებავი მინერალების ნაკრებით +ვარჯიშებით, ინდივიდუალური პროგრამა-დანიშნულებებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებულად. მრავალწლიანი გამოცდილებით შედეგები იდეალურია, კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგის მისაღებად. მის: თბილისი,წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 599913765, ტელ. 2340238

მამაკაცებისთვის: მხოლოდ ჩვენთან ისარგებლეთ უფასო კვლევებით და მოიგვარეთ ნებისმიერი მამაკაცური პრობლემა სწრაფად და ეფექტურად: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება), ადენომა (ავთვისებიანიც), და მისგან გამოწვეული გართულებები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, სუსტი და გაორებული ნაკადი), ენურეზი (ბავშვებში და მოზარდებში), ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ტკივილი, ქავილი) რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა, შენარჩუნება. კენჭის დაღნობა თირკმელებში უმტკივნეულოდ-წარმომქმნელი მიზეზების აღმოფხვრით. უკუჩვენების გარეშე, გარანტირებულად. მის: თბილისი,წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: მარიამი. მობ. 599722148

ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პროფილაქტიკა დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში. ტკივილების, დაჭიმულობების, დაბუჟების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრებისა. წონის დაკლებით თვეში 5-20კგმდე. წნევების დარეგულირებით. მრავალწლიანი გამოცდილებით. გარანტირებულად. მის: თბილისი,წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 599722138, ტელ: 2475883

სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ფირმა „Simens“ და „Widex“-ის მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში 1-წლიანი გარანტიით, შერჩევა და კონსულტაცია უფასოა, ასევე წარმოებს აპარატების სარემონტო სერვისი და სათადარიგო ნაწილების, ელემენტების მიწოდება ნებისმიერ მისამართზე. ტელ: 272-95-11, 597 99-15-19

### სხვადასხვა

იურიდიული კონსულტაციის და დახმარების მობილური ცენტრი გთავაზობთ: განცხადების, საჩივრის, სარჩელის, შესაგებლის, ხელშეკრულებების მომზადებას, ასევე: სამკვიდროს მიღება, დაუკანონებელი ქონება (სახლი,მიწა), გამიჯვნა, წილის გამოყოფა, განქორწინება. იპოთეკასთან, საბანკო სესხებთან, გირაოსთან, ლიზინგთან, წილებთან, ხელშეკრულებებთან, ანდერძთან, ბინადრობასთან, აღსრულებასთან, გამოსახლებასთან, ლომბარდებთან, აუქციონთან, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებში დახმარებას. ტელ: 568 637 929

# დიდი ომი მთელი უკრაინის „მოსარჩულებლად“ თუ პატარა – დონბასის რუსეთისთვის მისაერთებლად?

**კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება პუტინის სამხედრო-პოლიტიკური ბლეფი და რითი დამთავრდება ის უკრაინისთვის?**

***თითქმის მთელი მსოფლიო ელოდება, დაიწყებს თუ არა რუსეთი სამხედრო მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ და რა მასშტაბის შეიძლება იყოს ეს საბრძოლო მოქმედებები. რუსეთის შეიარაღებული ძალების საბატალიონე-ტაქტიკური ჯგუფები უკრაინას, ფაქტობრივად, ოთხივე მხრიდან „შემოეწყვნენ“. უკრაინის საზღვრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ისინი დისლოცირებული არიან უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთით — ბელარუსში, დასავლეთით — მოლდოვის სეპარატისტულ დნესტრისპირეთში, სამხრეთით კი — ანექსირებულ ყირიმის ნახევარკუნძულზე.***

დიდი ომის დაწყების შემთხვევაში კრემლის მთავარი მიზანი კიევში უკრაინის ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლა იქნებოდა, მაგრამ ამას თუ ვერ მიაღწევდა, უკრაინის შავ და აზოვის ზღვებზე გასასვლელებისა და საზღვაო პორტების ოკუპაციას მაინც შეძლებდა, მაგრამ იქნებ პუტინი დიდ ბლეფს ათამაშებს და უკრაინას, დასავლეთთან ერთად, მუდმივ დაძაბულობას უქმნის, რომ მისი შიში არ დაკარგოს?

ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებთ: 2008 წელს საქართველოში და 2014 წელს ყირიმსა და დონბასში შეჭრის წინა მოსამზადებელ სამხედრო გადასროლებს რუსეთის არმია შეძლებისდაგვარად ფარულად ახორციელებდა და სოჭში ეფ-ეს-ბემ ქალებიც კი დაიჭირა, რომლებმაც რკინიგზის ეშელონზე ტანკები დაინახეს და ამის შესახებ ერთი მესიჯი გაგზავნეს, ეხლა კი თავად რუსულ ინტერნეტსივრცეში დღეში ათობით ვიდეო ქვეყნდება რუსული სამხედრო ავტოკოლონებისა და სარკინიგზო ეშელონების გადაადგილების შესახებ და რუსეთის კონტრდაზვერვა ამას ხელს კი




*უკრაინაზე რუსეთის არმიის შესაძლო შეტევის მიმართულებები რუსეთიდან, ბელარუსიდან და ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულიდან*

არ უშლის, პირიქით, თითქოს ახალისებს კიდეც, რათა გაჩნდეს პანიკა, რომ რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალები თავს უკრაინის საზღვართან იყრიან...

გვინდა თუ არა ამის აღიარება, მსოფლიოს პოლიტიკაში უკვე „დედოვშჩინის მამად“ აღიარებული პუტინი თავისი „კაგებეშნიკური“ ცბიერებით, სამწუხაროდ, აშკარად სჯაბნის დასავლელ პოლიტიკურ ლიდერებს, იმის გათვალისწინებითაც, რომ ბევრ მათგანზე კრემლს „საინტერესო“ კომპრომატები აქვს მომარაგებული.

უკრაინის თემით პუტინი ბაიდენსა თუ სხვა დასავლელ პოლიტიკურ ლიდერებს აიძულებს, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და ანგარიში გაუწიონ რუსეთის ინტერესებს.

ეს თემები ასეთი აქტუალური რომ არ იყოს, მხოლოდ ეკონომიკისა თუ ეკოლოგიის შესახებ რუსეთთან თანასწორი მოლაპარაკებები დასავლეთისთვის მაინცდამაინც საინტერესო არ იქნებოდა, ამიტომაც უკრაინის, საქართველოს ნაწილობრივი ოკუპაციისა თუ ნატოს გაფართოების პრობლემების მუდმივი გააქტიურებით კრემლი მსოფლიოს პოლიტიკის ეპიცენტრში რჩება, რაც არის კიდეც პუტინის მთავარი მიზანი.

არც აგვისტოს ომამდე და არც ყირიმის ოკუპაციამდე დასავლეთს რუსეთის მიმართ ასეთი გამაფრთხილებელი ზომები არ მიუღია.

„თუკი რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრება, დასავლეთი და, უპირველესად, აშშ, მის მიმართ ჯერ არნახული მასშტაბის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს განახორციელებს,“ — იმუქრებიან ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან და მაშინვე ამატებენ, რომ მართალია, უკრაინის მიწების დასაცავად ამერიკელ ჯარისკაცებს არ გაგზავნიან, მაგრამ, სამაგიეროდ, უკრაინელ სამხედროებს უკვე აწვდიან და კვლავაც მიაწვდიან თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო შეიარაღებას.

პუტინის ბლეფსაც უნდა ჰქონდეს საზღვარი და, სავარაუდოდ, ის მაინც ვერ გარისკავს მთელი უკრაინის წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებიდან ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედების წამოწყებას და კიევში რუსული სამფეროვანი დროშის აღმართვას.

უფრო მოსალოდნელია, კრემლმა კვლავ გამოიყენოს არაერთხელ კარგად ნაცადი ტაქტიკა და ისევ დონეცკისა და ლუგანსკის პრორუსი სეპარატისტების ხელით, რუსული ტაკებისა და არტილერიის მხარდაჭერით, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში სცადოს ტაქტიკური უპირატესობის მოპოვება, რომ შემდგომ აღიაროს ამ სეპარატისტული „რესპუბლიკების“ „დამოუკიდებლობა“, ისევე, როგორც საქართველოს წინააღმდეგ გააკეთა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ.

## საბაბის მოძებნა ომის წამოსაწყებად...

**რა საბაბიც გამოიყენა ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომის დასაწყებად, იმავეს ამზადებს პუტინი უკრაინაში შესაჭრელად?!**

ომის წამომწყები აგრესორი ქვეყანა ყოველთვის ეძებს საბაბს, თუგინდ თითიდან გამოწოვილს, რომ მსოფლიოს თავისი „სიმართლე“ დაუმტკიცოს.

1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომის დაწყების საბაბად ჰიტლერმა გამოიყენა ფაქტი, რომ წინა დღეს საზღვრისპირა ქალაქის გერმანულ რადიოსადგურს პოლონეთის არმიის ფორმიანი სამხედროები დაესხნენ თავს და რადიოეთერით პოლონურ ენაზე გერმანიის საწინააღმდეგო მოწოდებები გადასცეს, რაც ჰიტლერმა გერმანიაზე პოლონეთის თავდასხმად შეაფასა. სინამდვილეში პოლონურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გერმანელი დივერსანტები თავად დაესხნენ გერმანულ რადიოსადგურს და იქვე „ნივთმტკიცებად“ დატოვეს პოლონურ სამხედრო-ფორმიანი რამდენიმე ადამიანის ცხედარი, რომლებიც მანამდე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში დახოცეს.

მაშინ ჰებელსის პროპაგანდამ თითქმის ნახევარი მსოფლიო დაარწმუნა გერმანულ რადიოსადგურზე პოლონელების „თავდასხმაში“ და დღეს პუტინის პროპაგანდისტული მანქანა ფაშისტური გერმანიის დროინდელს განა რამით ჩამორჩება?!

საქმე ის არის, რომ დასავლეთის პოლიტიკური წრეები თავიანთი დაზვერვის სამსახურების ანალიტიკურ მასალებზე დაყრდნობით ალაპარაკდნენ ერთ-ერთ სცენარზე, რომელიც შეიძლება კრემლმა უკრაინაში უფრო დიდი ძალებით შეჭრისთვის გამოიყენოს. ჰიტლერის არ იყოს, პუტინის ბრძანებით რუს სპეცრაზმელებს უკრაინულ სამხედრო ფორმებს აცმევენ შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნებით და მათ დონეცკისა თუ ლუგანსკის პრორუსული სეპარატისტული რაიონების ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციას ატარებინებენ, რაც ოპერა-



*აგვისტოს ომის დროს საქართველოში შემოჭრის საბაბად კრემლმა ცხინვალთან მდებარე რუსი „სამშვიდობოების“ ამ შენობისა და რუსული ტანკის საპასუხო ცეცხლით განადგურება გამოიყენა. საინტერესოა, რა საბაბს იპოვის მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის გასაძლიერებლად?*

ტიულად შუქდება რუსული სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების მიერ, უკრაინელ სამხედროებს კი, მთელი მსოფლიოს გასაგონად, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი ბრალდებათ და კრემლიც თამამად აცხადებს, რომ რუსი ეროვნების და რუსული პასპორტების მქონე მოსახლეობის (დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულ რაიონებში დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა) უფლებების დასაცავად თუ მათ გადასარჩენად უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ძალების ამჯერად უკვე ოფიციალურად შეყვანაა საჭირო.

ხომ გეცნობათ სცენარი?

2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებისას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის არმიის შემოჭრის ოფიციალური საბაბიც დაახლოებით ასეთი იყო — რუსი „სამშვიდობოების“ დახმარება და საქართველოსთვის მშვიდობის იძულება.

სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ თავისი უცოდინარობით, შეცდომებითა თუ (არც კი მინდა უარესის გაფიქრება)... საშუალება მისცა კრემლს, ამ საბაბს ფესვები გაედგა და მსოფლიოს რუსეთი ერთპიროვნულ აგრესორად ძნელად აღექვა.

სხვათა შორის, აგვისტოს ომის დაწყებამდე ქართულ საჯარისო და პოლიციურ ძალებს ჰქონდათ სპეციალური ბრძანება, არ ესროლათ რუსი „სამშვიდობოების“ პოსტების მიმართულებით.

8 აგვისტოს დილიდან თავად ვიყავი მომსწრე, გორი-ცხინვალის გზაზე ერგნეთისკენ მიმავალი ქართული ტანკების ეკიპაჟები როგორ მშვიდად უვლიდნენ გვერდს სოფელ მეღვრეკისის ჩასახვევთან მდებარე რუსი „სამშვიდობოების“ პოსტს, რათა რუსებისთვის პროვოკაციის საბაბი არ მიეცათ, მაგრამ შეტევის სხვა მიმართულებაზე, როდესაც ქართული ჯავშანტექნიკა სოფელ ნიქოზიდან ცხინვალისკენ, „შანხაის“ დასახლებისკენ დაიძრა და რუსი „სამშვიდობოების“ „ვერხნი გოროდოკს“ ჩაუარა, საპასუხო ცეცხლის გახსნა მოუხდა, რადგან მანამდე იმ მიმართულებიდან ყუმბარსატყორცნები გვესროლეს.

არ არის გამორიცხული, რომ ეს პირველი პროვოკაციული გასროლა არა რუსი „სამშვიდობოების“, არამედ ოსი სეპარატისტების დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო, მაგრამ შედეგი ჩვენთვის ძალზე სავალალო აღმოჩნდა — ქართველებმა „რუსი სამშვიდობოები“ დაბომბეს და მათ გადასარჩენად ცხინვალში რუსული ტანკები გავგზავნეთო, გაიძახოდა მაშინ კრემლის პროპაგანდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული არმიის შემოჭრის გასამართლებლად.

უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, მერვე წელია, ავტომატების კაკანი და ჰაუბიცების გრუხუნი არ შეწყვეტილა და იქ ძალიან იოლია რუსეთისთვის ხელსაყრელი სცენარის გათამაშება, მაგალითად, ქალაქ დონეცკის საცხოვრებელი კორპუსების დაბომბვა საარტილერიო ცეცხლით ისე, რომ ეს უკრაინელ არტილერისტებს დაბრალდეთ, რაც კრემლს საშუალებას მისცემს, უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია გააძლიეროს.

**მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# „დღეს ფოთში არ არსებობს სახლი, სადაც ამძაღებული თევზის სუნი არ დგას“

ფოთში, პირდაპირ ქუჩაში დაყრილ, მამასისხლად ღირებულ ქაფშიას თუ დაინახავთ, ნურც გაგიკვირდებათ და ნურც თევზით „მდიდარი“ ფოთელების შეგშურდებათ — ამ ქალაქის მოსახლეობას ქაფშიას გაგონებაც არ უნდა. არც ის იფიქროთ, ქუჩაში დაყრილი თევზი დაავადებულია. ასე რომ იყოს, იმედი მაინც იქნებოდა, რომ საქმეს როდესმე ეშველებოდა, მაგრამ პრობლემა უსაშველოა და ფოთელების მრავალწლიანმა პროტესტმაც ვერაფერი დააკლო. მძიმე მდგომარეობაში კი ქალაქი აქაურმა თევზის გადამმუშავებელმა ქარხნებმა ჩააგდო. წლებია, ისინი ტონობით ქაფშიას ფილტრების გარეშე ფქვავენ, რის შემდეგ პროდუქცია თურქეთს მიეწოდება, თევზის ფქვილის მტვერი და სუნი კი ქალაქში რჩება. ქუჩებში ქაფშიას პორტიდან ქარხნისაკენ მიმავალი, თევზით დატვირთული, გაუმართავი ურიკები ტოვებენ, ქალაქის გასუფთავება კი მოსახლეობას უხდება. დამუშავებული თევზის ნარჩენი პალიასტომის ტბის სანაპიროზე იყრება, სადაც ლპება, არხით ზღვაში გაედინება და თევზს წამლავს.



ეკა იოსავა, *ქალაქ ფოთის მცხოვრები, აქტივისტი:* — ფოთელებმა გავიხარეთ, როცა აქ თევზის გადამმუშავებელი ოთხი ქარხანა აშენდა, თუმცა შემდეგ ჯოჯოხეთი დაიწყო. ქარხნებში ყოველდღიურად ტონობით ქაფშია იფქვება და ამ ფქვილის მტვერი და სუნი მთელ ქალაქში ვრცელდება! დღეს ფოთში არ არსებობს სახლი, სადაც ამძაღებული თევზის სუნი არ დგას. ამას დავუმატოთ ისიც, რომ პორტიდან ქარხნამდე, 6-7 კილომეტრზე, თევზი ძველი და გაუმართავი ურიკებით გადააქვთ, საიდანაც ქაფშია ქუჩაში ცვივა, ხანდახან იმდენი, რომ გორებად დგება, მისი ახვეტით კი თავს არავინ იწუხებს. მთელი ქალაქი, ფაქტობრივად, იმ ადამიანების მონად იქცა, რომლებიც ხელისუფლებას დაუახლოვდნენ და ამის გამო მათ ბიზნესაც ვერავინ აუფრენს.

**— ასეთ მდგომარეობას მთელი ქალაქი რატომ არ აპროტესტებს?**

— თევზის სეზონი ისე არ ჩაივლის, ფოთის ქუჩებში აქციები არ მოეწყოს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროც ბევრჯერ ჩაერია საქმეში — გადამუშავებული თევზის ნარჩენები ხომ პალიასტომის ტბის ნაპირას იყრება, ლპება, არხით ზღვაში გადადის და თევზს ხოცავს! მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი. დადებენ პირობას, ფილტრებს ამა და ამ წლისთვის დავამონტაჟებთო და... კანონით, ამ ქარხნებს 5.000 დოლარით აჯარიმებენ და ისინიც, ასე ვთქვათ, სიამოვნებით იხდიან, რადგან ფილტრების დაყენება ჯარიმასთან შედარებით გაცილებით ძვირია... რამდენიმე წლის წინ ხალხის პროტესტმა ისეთ დონეს მიაღწია, ქარხნების მფლობელები იძულებული გახდნენ, ფილტრების დასაყენებლად სამზადისიც კი დაეწყოთ, მაგრამ მერე ან ხელისუფლებაში გადაინაცვლეს, ან ხელისუფლებას დაუახლოვდნენ და ფილტრების მონტაჟიც გადაიფიქრეს. მეტიც — თევზის ქარხნებთან ერთად, ფოთში ლითონის ქარხანაც უფილტროდ მუშაობს. ამ ქარხნის მტვერს, მართალია, ასეთი მძაფრი სუნი არ აქვს, მაგრამ სამოსში ისე ჯდება, ვერაფრით მოაშორებ და ხომ ადვილი წარმოსადგენია, ადამიანის ფილტვებს რას უზამს!

**„პორტიდან ქარხნამდე, 6-7 კილომეტრზე, თევზი ძველი და გაუმართავი ურიკებით გადააქვთ, საიდანაც ქაფშია ქუჩაში ცვივა, ხანდახან იმდენი, რომ გორებად დგება, მისი ახვეტით კი თავს არავინ იწუხებს**

**„გვესმის, რომ ქარხნების მფლობელები ფულისთვის ყველაფერს კადრულობენ, მაგრამ ხელისუფლება რას აკეთებს? მაინცდამაინც სოციალური აჯანყება უნდა მოხდეს, რომ ამ უბედურებას ბოლო მოეღოს?!**

გვესმის, რომ ქარხნების მფლობელები ფულისთვის ყველაფერს კადრულობენ, მაგრამ ხელისუფლება რას აკეთებს? მაინცდამაინც სოციალური აჯანყება უნდა მოხდეს, რომ ამ უბედურებას ბოლო მოეღოს?!

P.S. როგორც ფოთის თევზის გადამმუშავებელ ქარხნებში აცხადებენ, ფილტრების დასაყენებლად სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

*ეთერ ერაძე*

პორტრეტი

# ალექსანდრე მრევლიშვილის შესრულებული ნიკო ფიროსმანის ნაკლებად ცნობილი ჩანახატი

***„ალექსანდრე მრევლიშვილმა მხატვრულად გააფორმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ასე რომ, ის ქართული საბეჭდი წიგნის ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარ-გამფორმებელიცაა... მრევლიშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების აღწერით შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც, ალბათ, უფრო ზუსტია...“***

***საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის, ვინ არის ალექსანდრე მრევლიშვილი. ფართო საზოგადოებისთვის უცნობია მისი შესრულებული ნიკო ფიროსმანის ჩანახატიც, რომელზეც ინფორმაციას ხელოვნებათმცოდნე სოლომონ ნადიმაშვილი გვაწვდის.***



— გამოჩენილი ქართველი მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის, თაოსნობით 1916 წლის 11 აპრილს ქართველ ხელოვანთა საზოგადოება დაფუძნდა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული, ალმასრულებელ მდივნად კი — დიმიტრი შევარდნაძე. საზოგადოების მაისის სხდომაზე მოიწვიეს იმ ხანად უკვე ცნობილი თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი. სხდომის მიმდინარეობისას ნიკო ფიროსმანმა წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: „ავაშენოთ მხატვრებმა ერთი დიდი სახლი, დავდგათ სამოვარი, დავლიოთ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზე“. სწორედ ამ გამოსვლისას მხატვრებმა ალექსანდრე მრევლიშვილმა და შალვა ქიქოძემ და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ ნატურიდან შეასრულეს ნიკო ფიროსმანის პორტრეტული ჩანახატები, რომელთა ფოტოები დღეისათვის გამოფენილია ეროვნული გალერეის ფიროსმანის ნამუშევრების საგამოფენო დარბაზში, ხოლო დედნები დაცულია აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

ამჯერად წარმოგიდგენთ ალექსანდრე მრევლიშვილის შესრულებულ ნიკო ფიროსმანის ნაკლებად ცნობილ ჩანახატს, რომელსაც, სხვა ორ ჩანახატთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფიროსმანის პორტრეტული იკონოგრაფიისთვის.

**„წარმოგიდგენთ ალექსანდრე მრევლიშვილის შესრულებულ ნიკო ფიროსმანის ნაკლებად ცნობილ ჩანახატს, რომელსაც, სხვა ორ ჩანახატთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფიროსმანის პორტრეტული იკონოგრაფიისთვის“**



*„ალექსანდრე მრევლიშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების აღწერით, შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც, ალბათ, უფრო ზუსტია“*

**— როგორც ქა ნახატი, თავად ალექსანდრე მრევლიშვილიც არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის...**

— დიახ... ალექსანდრე მრევლიშვილი, ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 1866 წელს მცხეთაში დაიბადა. იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის მეოთხე კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ლუდვიგ ლონგოს კერძო სამხატვრო სკოლაში. 1884-1890 წლებში სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა რეალისტური ხატვის მანერა. 1898-1901 წლებში ალექსანდრე მრევლიშვილი სწავლობდა პარიზის ჟიულიენის სამხატვრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იმოგზაურა იტალიასა და გერმანიაში და ხელოვნების ცნობილ ნამუშევრებს გაეცნო. ამის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და იყო სხვადასხვა ჟურნალის მხატვარი. მან მხატვრულად გააფორმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ასე რომ, ის ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარ-გამფორმებელიცაა. ალექსანდრე მრევლიშვილის ნამუშევრებში ასახულია უბრალო ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობა ცარიზმის ჩინოვნიკების ხელში. ის დოკუმენტურად ასახავს იმ დროის ქართული სოფლის ცხოვრებას. გარდა სოციალური უსამართლობის ამსახველი სურათებისა, ალ. მრევლიშვილს აქვს ქართული ყოფის ამსახველი სურათები, რომლებსაც ეთნოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ალექსანდრე მრევლიშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების აღწერით, შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც, ალბათ, უფრო ზუსტია. ალექსანდრე მრევლიშვილის ქალიშვილი იყო მწერალი მაყვალა მრევლიშვილი, რომლის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებზე თაობები აღიზარდნენ. ალექსანდრე მრევლიშვილის შემოქმედება ქართული რეალისტური მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

*მანანა გაბრიჭიძე*

# „უკვე გავაფორმეთ „პაქსლოვიდის“ შეკვეთა — თუ მას დალევთ, 89%-ით დაცული ხართ მდგომარეობის დამძიმებისგან“



**კორონავირუსი ყველა ტალღაზე ახალ-ახალი შტამებით გვიტევს და, სამწუხაროდ, უკვე ორი წელია, ფანტაზია არ ღალატობს. მეექვსე ტალღის მიმდინარეობისა და პროგნოზის შესახებ „კვირის პალიტრის“ კითხვებს თსსუ პროფესორი, იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე ჩხაიძე უპასუხებს.**




**— ბატონო ივანე, ჩვენი ინტერვიუ ეპიდვითარების შეფასებით დავიწყოთ. როგორც ცნობილია, ამ დროისთვის რეგიონებში შემთხვევათა განსაკუთრებული მატებაა...**

— რეგიონებში მატება მოსალოდნელია და ამას ახსნაც აქვს. საქართველოში მხოლოდ ორი რეგიონია, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი 60%-ის ფარგლებშია — ეს არის თბილისი და აჭარა. სხვაგან, განსაკუთრებით — სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ვაქცინაციის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდის რისკიც არსებობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერჯერობით ქვეყანა კორონავირუსის პანდემიის მეექვსე ტალღის აღმავალ მრუდზეა და ინფიცირებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. აგვისტოს ტალღის დროს მნიშვნელოვანი ნაწილი ინფიცირებულებისა იყო საავადმყოფოებში. 8700 საწოლიდან 8650 გამოყენებული იყო. ეს კრიტიკული ნიშნული გახლდათ და ამიტომ იძულებული გავხდით, საველე ჰოსპიტლები გაგვეხსნა. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ 63 000-ია აქტიური შემთხვევა, 3900 თავისუფალი საწოლი გვაქვს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ტალღა გამოწვეულია „ომიკრონით“, რომელიც შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და პაციენტების უდიდესი ნაწილი სახლში რჩება.

სავარაუდოდ, შემთხვევების რაოდენობა მოიმატებს იანვრის ბოლომდე. „ომიკრონი“ იმით არის გამორჩეული, რომ ძალიან სწრაფად ვრცელდება და პიკსაც ძალიან სწრაფად აღწევს, მაგრამ პიკზე მაღალი მაჩვენებელი ძალიან ცოტა ხნით შენარჩუნდება. მეხუთე ტალღისას საქართველოში თითქმის სამი თვის განმავლობაში ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი იყო. იმედი გვაქვს, რომ „ომიკრონით“ გამოწვეული შემთხვევების მატება ხანგრძლივი არ იქნება, თუმცა, დარწმუნებული ვართ, პიკზე ინფიცირების 12-15 ათასი შემთხვევა გვექნება და შეიძლება ეს რიცხვი 25-30 ათასამდეც გაიზარდოს. სავარაუდო პიკური პერიოდია იანვრის ბოლო-თებერვლის დასაწყისი. შემდეგ უკვე შემთხვევების ძალიან სწრაფი კლება დაიწყება.

> **„ფაიზერმა“ დამატებითი კვლევების საფუძველზე გამოაქვეყნა დასკვნა, რომ მისი წარმოებული ვაქცინა ეფექტიანობას ინარჩუნებს ფლაკონზე მითითებული ვადის გასვლიდან კიდევ სამი თვის განმავლობაში**

**— მეზობელ სომხეთში ინფიცირებულთა რიცხვი ძალიან დაბალია. როგორ ახერხებენ ამას და ჩვენ შორის ამხელა სხვაობა რისი შედეგია?**

— არამარტო სომხეთში, აზერბაიჯანშიც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. აზერბაიჯანში ეს გასაგებია, ვინაიდან მათ ორჯერ აცრილი ადამიანი ჩვენზე მეტი ჰყავთ. რაც შეეხება სომხეთს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხეთში „ომიკრონი“ ჯერჯერობით არ არის. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტესტირებას. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რამდენი ტესტი კეთდება სომხეთში. თუ ტესტირების მაჩვენებელი დაბალია, გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობაც ნაკლები იქნება.

**— რომელი ვაქცინები მუშაობს „ომიკრონის“ წინააღმდეგ?**

— „ფაიზერი“ „ომიკრონით“ დაავადების შემთხვევაში განსაკუთრებულად ეფექტიანია. ბუსტერიც „ფაიზერით“ უფრო მიზანშეწონილია, ვინაიდან სწორედ ეს ვაქცინა ზრდის მნიშვნელოვნად ორგანიზმის იმუნურ პასუხს, მაგრამ თუ ვინმეს რაღაც მიზეზით „ფაიზერის“ ეშინია, მაშინ აუცრელობას ნებისმიერი სხვა ვაქცინით აცრა სჯობია.

**— კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატების შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— საქართველოში შემოტანილია „რემდესივირი“, რომელსაც, სამწუხაროდ, ყველა კოვიდდაწესებულება არ იყენებს, მაგრამ ვინც იყენებს, მას ძალიან კარგი შედეგი აქვს. „რემდესივირი“ შეტანილია როგორც აშშ-ის ჯანმრთელობის ინსტიტუტის, ისე სხვა ინსტიტუციების პროტოკოლში. ის არის ჩვენს ეროვნულ პროტოკოლშიც. ასევე გვაქვს „ტოცილიზუმაბი“. შემოტანილი იყო მონოკლონური ანტისხეულების შეზღუდული პარტია, რომელსაც ვიყენებდით ინფიცირების დასაწყისში, ამბულატორიულ, არცთუ მძიმე პაციენტებთან, რათა ისინი დამძიმებისაგან დაგვეცვა. საქართველომ გააფორმა „ფაიზერის“ მედიკამენტ „პაქსლოვიდის“ შეკვეთა. თუ მას დალევთ ინფიცირების პირველი 10 დღის მანძილზე, 89%-ით დაცული ხართ მდგომარეობის დამძიმებისა და საავადმყოფოში მოხვედრისაგან. ახლა სწორედ ამ პრეპარატს ველოდებით. რა თქმა უნდა, ის არ შემოვა იმდენი, რომ ყველა ინფიცირებულს ეყოს, მაგრამ რისკ-ჯგუფებისთვის აუცილებელი იქნება.

**— ლაპარაკობენ ვადაგასულ „ფაიზერის“ ვაქცინაზე...**

— ვადაგასული კი არა, ვადაგახანგრძლივებული. ვადის გახანგრძლივება არ არის არც ჩვენი ჯანდაცვის სამინისტროს და არც ჩვენი დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადაწყვეტილება, ეს არის „ფაიზერის“ მიერ დამატებითი კვლევების საფუძველზე გამოქვეყნებული დასკვნა, რომ მისი წარმოებული ვაქცინა ეფექტიანობას ინარჩუნებს ფლაკონზე მითითებული ვადის გასვლიდან კიდევ სამი თვის განმავლობაში. ყველა, ვინც იანვარში გაიკეთა ეს ვაქცინა, ადასტურებს, რომ რეაქცია, გვერდითი მოვლენები და ა.შ. ზუსტად ისეთივე ჰქონდა, როგორიც ვაქცინის პირველი-მეორე დოზის გაკეთებისას.

**— შეიძლება ვთქვათ, რომ „ომიკრონი“ არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა, როგორც ველოდით?**

— ჩვენ ვამბობდით, რომ მთავარი იყო, რა რეაქცია ექნებოდათ „ომიკრონზე“ რისკის ჯგუფებს. ამ ვარიანტით, ძირითადად, ინფიცირებული არიან ახალგაზრდები. ახლა ყველა ქვეყანა თვალყურს ადევნებს, როგორ გავრცელდება ის და როგორი ექნება აუცრელებისა და რისკჯგუფების რეაქცია. მონაცემები, რომლებიც ჩვენ გვაქვს დაავადების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მიღებულია ევროპის ქვეყნებიდან, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი მაღალია. ახლა საქართველოს მაგალითი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვნახავთ, როგორ გავრცელდება „ომიკრონი“ აუცრელ მოსახლეობაში — ჩვენთან ხომ მოსახლეობის მხოლოდ 40%-ია ვაქცინირებული.

**— შექმნილ ვითარებაში სკოლებისა და საბავშვო ბაღების ონლაინრეჟიმზე გადასვლას ემხრობით?**

— არ მიმაჩნია სწორად, რომ ხელაღებით ყველა ონლაინრეჟიმზე გადავიდეს.

**ეკა სალაღაია**





www.gemrielia.ge

გამოიწერე 6 თვით ჟურნალი
გემრიელია
მიიღე წიგნების ორიგინალური სადგამი
საჩუქრად



უფასო მიტანა

გამოწერისთვის დაგვიკავშირდით | 2 38 26 73; 2 38 26 74
elva@elva.ge
www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საჰაერო კოცნა“ ცაში



**ჩინეთში, ჩუნცინის პროვინციაში გასართობი თემატური პარკის ახალი ატრაქციონი „საჰაერო კოცნა“ გულგრილს არავის ტოვებს. მსგავსი ექსტრემალური სანახაობა ჯერ არავის მოუგონია. 915 მ სიმაღლის კლდეზე აღმართულ ქალისა და მამაკაცის გიგანტურ, 50-მეტრიან მოძრავ ქანდაკებებს ხელში კარუსელები უჭირავთ, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ექსტრემალური გართობის მოყვარულებს არანაირი უსაფრთხოების ქამრები არ უკეთიათ და მათ უფსკრულისგან მხოლოდ მოძრავი კარუსელების არცთუ მაღალი, დაახლოებით წელამდე სიმაღლის მოაჯირები ყოფთ.**

კარუსელების სახით მოწყობილი სამზერი პლატფორმების დიამეტრი 6,5 მ-ია. ისინი განუწყვეტლივ ბრუნავს, ხოლო გიგანტური ქანდაკებების „ამბორის“ დროს კარუსელები ერთმანეთს მაქსიმალურად უახლოვდება. პლატფორმა-კარუსელზე სტუმრების ასაყვანად უზარმაზარი მექანიკური ფიგურები თავდაპირველად მიწამდე იხრება, ხოლო შემდეგ თავისი მგზავრები პირდაპირ ცაში აჰყავს, სადაც ყველას შეუძლია დატკბეს საოცრად ლამაზი ბუნებით გამორჩეული თემატური პარკის ზღაპრული სანახაობით.

აქაურ სტუმრებს ნამდვილად „რკინის ნერვები“ უნდა ჰქონდეთ. მათ უფლება აქვთ თავისუფლად იმოძრაონ კარუსელის ერთი კიდიდან მეორეში, ხოლო „საერთო კოცნის“ მომენტში დაუვიწყარი საჰაერო ამბორი გაუგზავნონ ერთმანეთს. აღსანიშ-



ნავია, რომ კარუსელებზე არათუ ქამრები, დასაჯდომი ადგილებიც არ არის. ამ დროს კი თითოეული კარუსელი-პლატფორმა საკმაოდ რთულ მოძრაობებს აკეთებს — თან ბრუნავს და თან ზემოთ-ქვემოთ მკვეთრად ადი-ჩამოდის, თან ერთმანეთსაც ხან შორდებიან და ხან უახლოვდებიან. ამიტომ „საჰაერო კოცნის“ მოყვარულებს არცთუ მცირე ჯაფა ადგათ, რათა მოაჯირს კარგად მოეჭიდონ. ყოველივეს მიუხედავად, „საჰაერო კოცნის“ უშიშარ მოყვარულთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

აღსანიშნავია, რომ ეს გიგანტური ქანდაკებები ჩინური მითოლოგიური პერსონაჟებია, რომლებიც შეყვარებულებს განასახიერებენ. მათი საჰაერო ამბორის მიზეზიც, ბუნებრივია, „საჰაერო კოცნის“ მომხრეების აზრით, სწორედ სიყვარულია. ამიტომ მომხრეები ასე პასუხობენ ექსტრემალური ატრაქციონის კრიტიკოსებს, რომლებიც საკმაოდ გამოჩნდნენ, მათ შორის, საერთაშორისო დონეზეც — „სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს!“

**რამაზ გურგენიძე**

## სკანვორდი ჟურნალ „კარუსელისგან“

უფრო მეტი სკანვორდი, კროსვორდი, თავსატეხი და საინტერესო ამბები იხილეთ შემეცნებით - გასართობ ჟურნალში



თარაზულად: 4. ფეტვის მსგავსი მარცვლოვანი მცენარე; 10. კაზაკთა ჯარის უფროსი; 11. მართლმადიდებელ ეკლესიაში — საგალობელი რაიმე დღესასწაულის აღსანიშნავად ან ამა თუ იმ წმინდანის პატივსაცემად; 12. რუსი პოეტი, აისიდორა დუნკანის მეუღლე; 13. ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი; 14. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი; 15. დელფინისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარი ცხოველი; 17. კლავიშიან საკრავთა საერთო სახელწოდება; 18. ტერმინი, ნიშნავს მუსიკალური ნაწარმოების დინჯად შესრულებას; 20. გაერთიანებული ისრაელის სამეფოს პირველი მეფე; 21. სამხედრო წოდება; 24. მიდამო; 28. ყველა გემის ერთობლიობა; 31. ხმელთაშუაზღვისპირეთის მცენარეულობა, რომელიც შედგება მარადმწვანე ბუჩქებისა და დაბალი ხეებისგან; 32. კომიკოსი მსახიობი ნიკა ...; 33. საძირე ციტრუსოვანი მცენარე; 34. ჯეკ ლონდონის ნამდვილი გვარი; 35. ღვთაებრივი ხარი (ეგვ. მით.).

შვეულად: 1. რეჟისორი ფილმებისა: „არ დაიდარდო“, „მიმინო“, „შემოდგომის მარათონი“, „აფონია“; 2. მარგარიტა გოტიეს საყვარელი ყვავილი (დიუმა); 3. ჩიბუხი; 4. სილნარის სოკო; 5. ალალბედზე მოქმედება; 6. ყურის ანთება; 7. ახლანდელი მილიცია; 8. თავისი ძალით დანაშაულის ფარდი შურისძიება; 9. პირველი ქრისტიანი მეფე; 16. ზღვის დიდი ფრინველი; 17. მეფედ კურთხევა; 19. პაემანი; 21. პროსპერ მერიმეს ნოველა; 22. დაბრკოლების გადალახვის ხელოვნება; 23. ინგლისის უძველესი სახელწოდება; 25. სუპერკონტინენტი; 26. დიდი სიზუსტე; 27. გადამდები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში; 28. პატარა ძაღლი, გოშია; 29. მღვდლის სამოსლის ნაწილი; 30. ინგლისელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი ეშლი ....

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. რვალი; 8. მუარი; 9. ტვინი; 10. ოდინი; 11. სეკანსი; 14. ილიონი; 17. სატირა; 20. ნარგიზი; 21. ქანთრი; 22. კიტონი; 23. ოპერეტა; 24. მაგელანი; 26. ალაბამა; 27. ხომ; 28. სიბილა; 30. გრაცია; 31. კლიმატი; 33. როტონდა; 36. იდენი.

შვეულად: 1. არბიტრი; 2. მანდილი; 3. სინდი; 4. იმაგო; 5. მარკიზი; 6. მისტიკა; 11. სინიორა; 12. ანგარი; 13. ისიკავა; 15. ლიანდაგი; 16. ორთოპედი; 18. ტიტიკაკა; 19. რენეგატი; 25. იხვი; 26. ამია; 29. აკორდი; 30. გიტარა; 32. მიო; 34. ტყე; 35. ნეი.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

გამომშვები რედაქტორი
გიორგი კვიტაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ლია იაკობაშვილი; ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88 რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

კოლორ ჯგუფი — დაიბეჭდა სტამბა კოლორში

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: (+995 32) 2 38 26 73; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის – წიგნები სუპერფასდაკლებით!

დაიწყე სუპერკუპონის 4 შემადგენელი ნაწილის შეგროვება მიიღე საოცნებო ფასდაკლება „პალიტრა L“-ის წიგნზე:

„სამი მუშკეტერი“

განაღდება შესაძლებელია მხოლოდ „ბიბლუსის“ მაღაზიებში! ფასდაკლების მისაღებად აუცილებელია ოთხივე კუპონის შეგროვება

ალექსანდრე დიუმას ორი გამორჩეული რომანი - „სამი მუშკეტერი“ და „ოცი წლის შემდეგ“, სასაჩუქრე გამოცემა. ეს არის რომანი, რომელშიც მოთხრობილია ახალგაზრდა გასკონელის, დ'არტანიანის თავგადასავალი. სიუჟეტის მიხედვით, იგი ჩადის პარიზში, რადგან სურს, გახდეს სამეფო მუშკეტერი. საგულისხმოა, რომ სამ მუშკეტერში იგულისხმებიან შემდგომში მისი მეგობრები: ათოსი, პორთოსი და არამისი. მათი მთავარი დევიზია — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“.

*კუპონის განაღდება შესაძლებელია: 24 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით

სუპერკუპონებს სხვადასხვა პროდუქტზე მომავალშიც შემოგთავაზებთ!

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი
2 19 60 13; 2 19 60 53
ან მოგვწერეთ: 91110